# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№304(12675) 26 დეკემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი



# ამ კუპერისაც გამკვირვებია...



## რა აკლია ნაკრებს ყველაზე მეტად?

ინტერვიუ შოთა არველაძესთან » 4

## ცხადაძე გადადგა

რაღა დარჩა ახალგაზრდულ ნაკრებამდე? » 2

## ულტიმატუმი ციმაკურიძეს: ან უკრაინის მოქალაქე გახდები, ან წახვალ

» 3



## გოგშელიძე

## პირველობას არ თმობს » 13





## კატალონიელი, რომელმაც საქართველო ადღეგრძელა » 12

ეს არის ბევრისთვის უცნობი ქვეყანა, სადაც უამრავი მარგალიტი მოიპოვება...

პრესკონფერენცია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



მარცხნიდან: კახა ამირიძე, კახა ჭუმბურიძე, რევაზ არველაძე, ტარიელ ხეჩიკაშვილი, გიორგი დევდარიანი

# საბურთალოდან... ბარსელონამდე

## ...იანვარში კი მაგდებურგისკენ

დეკემბრის კი არა, ალბათ, საქართველოში 2008 წლის ერთ-ერთი უმთავრესი საფეხბურთო მოვლენა 15 წლის **გიორგი ჭანტურიას** „ბარსელონაში" ჩარიცხვა გახლდათ. რა თქმა უნდა, მსოფლიო ფეხბურთის გრანდის ასაკობრივ გუნდზეა ლაპარაკი, მაგრამ ვაღიაროთ, რომ მართლაც უმნიშვნელოვანესი ამბავია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ არცთუ მცირე ნიუანსს: როგორც წესი, „ბარსელონის" საფეხბურთო სკოლაში უცხოელების ჩარიცხვა კი არა... გასინჯვაც არ ხდება! თანაც, ნორჩ ქართველ ფეხბურთელს სამკვირიანი სტაჟირება უნდა გაევლო და ამ დროს, ბევრისთვის მოულოდნელი ფაქტიც მოხდა: საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" აღზრდილმა გიორგი ჭანტურიამ სამ დღეში(!) იმდენად მოაწონა თავი „ბარსელონის" საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობას, რომ გუნდში დატოვეს...

სწორედ ამ მოვლენას (დიახ, მოვლენას!) მიეძღვნა კიდეც „ფოლკსვაგენის" ცენტრში გამართული პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ - **ტარიელ ხეჩიკაშვილი** („იბერია ბიზნესჯგუფისა" და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" პრეზიდენტი), **რევაზ არველაძე** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი), **კახა ჭუმბურიძე** („საბურთალოს" გენერალური დირექტორი), **კახა ამირიძე** („საბურთალოს" დირექტორი) და **გიორგი დევდარიანი** („საბურთალოსა" და საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

**ტარიელ ხეჩიკაშვილი:** *„ბედნიერი ვარ, რომ საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში" თანამოაზრეებთან ერთად ვმუშაობ. თანაც, ალბათ, არც ის არის პატარა ამბავი, რომ სკოლა გიორგი ნემსაძის სახელს ატარებს. ამით გიორგიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყოველთვის ქართული ფეხბურთის ერთგულია. ალარაფერს ვამბობთ აზრთა იმ თანხვედრაზე, რომ ჩვენი ფეხბურთის წინსვლა საძირკვლიდან უნდა დაიწყოს. ახლა კი, მინდა, განვლილი წელიწადი შევაფასო. ფაქტობრივად, ჩვენი ყველა ჩანაფიქრი 80 პროცენტით განვახორციელეთ - დანარჩენში კი აგვისტოს ცნობილმა მოვლენებმა შეგვიშალა ხელი. უპირველეს ყოვლისა, დანაპირები შევასრულეთ - უცხოურ კლუბთან მჭიდრო კონტაქტი დავამყარეთ. ალბათ, გახსოვთ, რომ ზაფხულში ჩვენი პარტნიორი გახდა დიდი ისტორიის მქონე აღმოსავლეთგერმანული კლუბი „მაგდებურგი". ამავე სახელწოდების ქალაქი, გერმანიაში, ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ ქალაქად მიიჩნევა - აქვთ ჩინებული ბაზა და საკლუბო ინფრასტრუქტურა. ჩვენი პარტნიორობის პირველი შედეგი კი ის გახლავთ, რომ სულ მალე, 2009 წლის იანვარში, „საბურთალოს" სკოლის 5 აღსაზრდელი და მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი მაგდებურგში ექვსთვიან სტაჟირებაზე გაემგზავრებიან. ეს არ იქნება ერთჯერადი მოვლენა - მსგავსი თანამშრომლობა გაგრძელდება ევროპის სხვა საფეხბურთო სკოლებთანაც. თუმცა უმთავრესი მოვლენა, ალბათ, მაინც ჩვენი სკოლის აღზრდილის, 15 წლის გიორგი ჭანტურიას „ბარსელონაში" ჩარიცხვა იყო. ვიცი, რომ ბევრს არ სჯეროდა, ქართველი ჭაბუკი თუ ასეთი დონის კლუბში ჩაირიცხებოდა. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ელჩს ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილს, ვისი უშუალო მეცადინეობითაც მოხდა „ბარსელონაში" ჭანტურიას გასინჯვა. თანაც, გიორგი უშუალოდ კლუბის პრეზიდენტ ხოან ლაპორტას მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. ჭანტურიამ მართლაც შეუძლებელი შეძლო და საკუთარი ნიჭი ისე წარმოაჩინა, რომ კლუბმა მისი დატოვება გადაწყვიტა".*



გიორგი ჭანტურია

**რევაზ არველაძე:** *„მოხარული ვარ, რომ სფფ-სა და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" შორის ასეთი მჭიდრო პარტნიორობაა. კლუბის ხელმძღვანელობაშიც თავისი საქმის მცოდნე ხალხი მუშაობს და მთავარი მწვრთნელის, გიორგი დევდარიანის კომპეტენტურობაზე ხომ არც ღირს ლაპარაკი. მან ეს უმაღლესი ლიგის „თბილისში" მუშაობის დროსაც დაამტკიცა და ჭაბუკებთანაც. საქართველოში ნიჭიერ ბავშვებს რა გამოლევს, მაგრამ მათ აღზრდას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს. იმავე გიორგი ჭანტურიას მაგალითი მისი თანატოლებისთვის ჩინებული სტიმული უნდა იყოს".*

**კახა ჭუმბურიძე:** *„რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა ჩვენი სკოლისთვის, ჭანტურია რომ „ბარსელონაში" ჩაირიცხა. იმედს ვიტოვებ, რომ ეს ფრაგმენტული მოვლენა არ იქნება და გიორგი თავისი ნიჭის რეალიზებას ბოლომდე მოახდენს. იმავეს ვიტყოდი მაგდებურგში ნამსვლელ ხუთეულზეც. ისინი ფეხბურთის ანბანს საფეხბურთო სკოლა „ოლიმპში" ეზიარნენ მწვრთნელ თემურ ფოცხვერიასთან, ხოლო გიორგი დევდარიანთან - დაოსტატდნენ. აქვე, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მალე დასრულდება სტანდარტული სტადიონისა და სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა. ამას გარდა, მომავალშიც არაერთი პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული".*

**გიორგი ჭანტურია:** *„რა უნდა ვთქვა... ყველაფერი იდეალური იყო. ფაქტობრივად, ყველანაირი საზრუნავი მოხსნილი მქონდა და ამისთვის ესპანეთში საქართველოს ელჩს მადლობა მინდა გადავუხადო... სხვათა შორის, ლაპორტასთან მას ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს. რაღა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი საფეხბურთო სკოლა „საბურთალოსაც", ასეთი შანსი რომ მომცა."*

**გიორგი დევდარიანი:** *„ქართულ ბავშვთა ფეხბურთში ნებისმიერ ასაკში შეხვდებით გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულებს. ოღონდ, მთავარია, ეს ნიჭი გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, ჭანტურიას მაგალითი თანატოლებისთვის სტიმული უნდა იყოს. აი, შესაძლოა, ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ ვიტყვი, რომ საკუთარი მონაცემებით, „მაგდებურგში" წამსვლელებიც არ ჩამოუვარდებიან ჭანტურიას. ანუ, მთავარია, ყველაფერს სწორი და გეგმაზომიერი მიმართულება ჰქონდეს. ამასთან, ისიც მინდა ვთქვა, რომ „ბარსელონაში" ჩვენი თანამემამულის ჩარიცხვის ფაქტიც ძალიან არ უნდა გავაფეტიშოთ"...*

დაბოლოს, იმ ხუთ ჭაბუკსაც გაგაცნობთ, გიორგი დევდარიანთან ერთად იანვარში ექვსთვიან სტაჟირებაზე რომ უნდა გაემგზავროს: **თორნიკე ნემსაძე, ბესო ამაშუკელი, ვაკო ყაზაიშვილი, დათი ხოჭოლავა და მამუკა კობახიძე.**

**გია ტუხაშვილი**

გადადგომა

# ცხადაძე სტანდარდიდან წამოვიდა

გუშინ საღამოს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **კახა ცხადაძემ** ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობამ, ფინანსური კრიზისის მიზეზით, ახალი მოთამაშეების დამატებასა და ზოგადად, ამბიციური კლუბის ჩამოყალიბებაზე უარი განაცხადა. „სტანდარდის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ცხადაძეს თბილისში დაუკავშირდა და აუწყა, რომ ზემოთქმულის გამო, მეორე წრეში განსაკუთრებული მიზნებისთვის ბრძოლას აღარ მოსთხოვდნენ. ამას გარდა, მას შეატყობინეს ისიც, რომ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ხელფასებს დროულად ვერ გადაუხდიდნენ.

ეს კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა ცხადაძის მოთმინების ფიალაში, რამაც გუნდის დატოვება გადააწყვეტინა. ასე რომ, დღეს ის ოფიციალურად უმუშევარია, არაოფიციალურად კი ცნობილია, რომ ცხადაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ხოლო „სტანდარდიდან" წამოსვლა იმას ნიშნავს, რომ ბატონი კახა მთლიანად ახალ საქმეზე იქნება კონცენტრირებული. ალბათ, ასეც სჯობდა...

**მერაბ მამულაშვილი**



მოსალოდნელი ტრანსფერი

# მაინც ვერ გავიგე, რა უნდათ

## ლომაია: აშდოდში? შეიძლება, არც წავიდე...

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** ისრაელის „აშდოდში" იმყოფებოდა. მან ეს ინფორმაცია დაადასტურა. ლომაია ისრაელში 16 დეკემბერს ჩავიდა...

*„სულ რაღაც ორი დღე ვიყავი, „აშდოდის" გუნდში ვივარჯიშე, მაგრამ ჯერაც გაურკვევლობაში ვარ. მითხრეს, 2 იანვარს შეკრებას ვიწყებთ და კარგი იქნება, თუ ჩამოხვალო. კონტრაქტზე ჯერ ლაპარაკი არ ყოფილა. საკონტროლო შეხვედრაში სურდათ ჩემი ნახვა. ბოლო ტურში ზუგდიდში „მგლებს" ვხვდებით და იქ შეეძლოთ ჩამოსვლა, მაგრამ მათთვის თბილისში ვიზიტი უფრო მოსახერხებელი იყო. ამიტომ, ზუგდიდზე უარი თქვეს. ამის გამო, კიდევ ერთხელ მთხოვეს ისრაელში ჩასვლა, ამხანაგურ მატჩებში უნდა შემამოწმონ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მაინც ვერ გავიგე, რა უნდათ... რეალური წინადადება თუ არ იქნა, არ წავალ. ვერ ვიტყვი, რომ ზერელე შეთავაზება იყო, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიგე, კონკრეტულად, რა გეგმები აქვთ"*, - გვითხრა ლომაიამ.

თუ ისრაელის ვარიანტი არ გამოვიდა, საქართველოს ნაკრების მეკარე პირველ რიგში დღევანდელ კლუბთან, თბილისის „ლოკომოტივთან" დაილაპარაკებს, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალ კონტრაქტზე ჯერ არ ულაპარაკია.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ლომაია

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პრეზიდენტის პრეტენზია და იმედი

## ნაუმოვი მუჯირს სერიოზულად ელაპარაკა. რას უპირებს ლოკომოტივი ასათიანს?

რუსულმა ვებგვერდებმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ **ნიკოლაი ნაუმოვის** ინტერვიუ გამოაქვეყნეს. მოგეხსენებათ, რკინიგზელთა კლუბს ორი ქართველის - **მალხაზ ასათიანისა და დავით მუჯირის** ბედი უკავშირდება. საინტერესოა, რას ამბობს ნაუმოვი ჩვენებურებზე. მცირე ფრაგმენტი ხსენებული ინტერვიუდან:

- ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ფეხბურთელებს შევხვდი. დავით მუჯირთან ძალზე სერიოზული საუბარი მქონდა. მისით უკმაყოფილო ვარ და ეს არც დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარი: „კრილიაში“ კაპიტანი იყავი, შენში პოტენციურ ლიდერს ვხედავდით და ამიტომაც გადმოგიყვანეთ „ლოკომოტივში“, მაგრამ საპასუხოდ რა დაგვანახვემეთქი.

**- ...მაგრამ მუჯირს ხომ ტრავმა ჰქონდა?**

- კი, ჰქონდა და საკმაოდ მძიმე ტრავმაც. მაგრამ ის თამაშის ან ვარჯიშის დროს არ დაშავებულა, ეს საყოფაცხოვრებო ტრავმა იყო, რომელიც ავტოფარეხში მიიღო. ერთი ხანობა, ექიმები ჰემატომაზეც ეჭვობდნენ და ჩვენც სერიოზულად ვიყავით შეშფოთებულები, მაგრამ საბედნიეროდ, დათო გამოჯანმრთელდა, მწყობრში ჩადგა და გვაჩვენა, რომ თამაში შეუძლია. ჩვენი საუბრის ბოლოს ის შემპირდა - ნიკოლაი ალექსეევიჩ, თქვენ კიდევ ნახავთ ნამდვილ მუჯირსო. ასე რომ, ჩვენ ამისი იმედი გვაქვს.

ჟურნალისტებმა ნაუმოვს ასათიანზეც ჰკითხეს.

- მალხაზ ასათიანს „ლოკომოტივში“ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა. მან იჯარით სხვა გუნდში განათხოვრება მთხოვა. იქვე კიევის „დინამოს“ ვარიანტიც“ გამოჩნდა... კარგად ვიცი, თუ რაოდენ დიდი სიმპათიები აქვს იური სიომინს ასათიანის მიმართ. ჩვენც არ დავაბრკოლეთ ფეხბურთელი და კიეველებს საერთოდ უსასყიდლოდ დავუთმეთ. ეს საიჯარო ვადა ამოიწურა და ფეხბურთელი კვლავ ჩვენს განკარგულებაშია. კიეველებს ასათიანის გამოსყიდვაზე ექსკლუზიური უფლება აქვთ. ჩვენ მათგან სიმბოლურ თანხას ვითხოვთ და პასუხს ველით, - აცხადებს ნაუმოვი.

**დავით ცაბაძე**



მალხაზ ასათიანი



დავით მუჯირი

# ფარცვანია ხარკოვში გაანათხოვრეს

უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ქართველი მცველი **თემურ ფარცვანია** კარიერას „ხარკოვში“ გააგრძელებს. ეს კლუბი, ფაქტობრივად, კიევის „დინამოს“ ფარმკლუბია. შესაბამისად, „ხარკოვში“ ის ფეხბურთელები ხვდებიან, რომლებიც დუბლების დონეზე უკვე მაღლა დგანან, თუმცა ჯერ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, პრაქტიკის მისაღებად კი უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსს აძლევენ.

ფარცვანიასთან ერთად, „ხარკოვში“ კიევის „დინამოს“ დუბლშემადგენლობიდან კიდევ ორი ფეხბურთელი გაუშვეს. თემური უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული და „დინამოს“ ხელმძღვანელობა მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლაშა ნოზაძემ შახტიორი დატოვა

## ისევ ყაზახეთი თუ საქართველო?

„ვიტ ჯორჯიისა“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა **ლაშა ნოზაძემ** ყარაღანდის „შახტიორი“ დატოვა და ახალი კლუბის ძებნა დაიწყო.

*„კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა და წამოვედი. სიმართლე გითხრათ, იქ დარჩენის დიდი სურვილი არ მქონია. მათ ჩემი და, საერთოდ, მოთამაშეების საკმაოდ დიდი დავალიანება აქვთ და თუ გამისტუმრებენ, მერე შეიძლება ვიფიქრო დარჩენაზე. მანამდე კი იქით გახედვაც არ მინდა“* - გვითხრა ნოზაძემ.

ბოლო ხანებში ყარაღანდის „შახტიორის“ პრეზიდენტ **გრიგოლ ლორიას** საქმეები აეწენა - ქვეყნის ფედერაციამ, ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობის გამო, ფეხბურთში საქმიანობა აუკრძალა და კლუბშიც სიტუაცია აირ-დაირია.

*„პრეზიდენტი რომ წავიდა, ბუნებრივია, კლუბიც აირეოდა. საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო, გაურკვევლობაში ვიყავით, რა მოხდებოდა, არავინ იცოდა. პრეზიდენტ ლორიას ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამ ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა და ამ სფეროში საქმიანობა აუკრძალა. თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს და ახლა სარჩელი შეიტანა. ალბათ, სასამართლოს მოიგებს და ფეხბურთს დაუბრუნდება. სხვათა შორის, ამის შემდეგ მისი ვაჟი, მეკარე დავით ლორია, ყაზახეთის ეროვნულ გუნდში აღარ აიყვანეს, არადა, იქ მართლაც საუკეთესო გოლკიპერია. ამბობენ, რომ ნაკრებში მამამისის გამო აღარ იწვევენ“*, - ამბობს ნოზაძე, რომელიც „შახტიორში“ ერთი წლის განმავლობაში თამაშობდა.

ახლა მან უნდა გადაწყვიტოს, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას: *„ერთ-ერთი ყაზახური კლუბი დამიკავშირდა და გადასვლას მთავაზობს. ამას გარდა, შეთავაზება საქართველოდანაც მივიღე, მაგრამ სად ვითამაშებ, ჯერ არ ვიცი. ამას უახლოეს პერიოდში გადავწყვეტ“*.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

გიორგი ციმაკურიძე



გიორგი ციმაკურიძე

ოთხი წლის წინ გიორგი ციმაკურიძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახლდათ. ბოლო წლებში მან ერთ-ერთ უკრაინულ გრანდ დონეცკის „შახტარშიც“ ითამაშა. სამწუხაროდ, გიორგის კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც ისურვებდა - ალჩევსკის „სტალიდან“ ლუგანსკის „ზარიაში“ გადავიდა, მაშინ, როცა დონეცკის „მეტალურგი“ და მეორე ბუნდესლიგის კლუბი იწვევდა. შარშან „ზარიამ“ ტრანსფერზე ლააყენა, მერე რამდენიმე კლუბში სცადა ბედი და ისევ ლუგანსკში დაბრუნდა. წელს ციმაკურიძემ რამდენიმე შეხვედრა გამართა, მაგრამ მოვიდა ზამთარი და „ზარიის“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ვალაბუევმა განაცხადა: „ციმაკურიძის საკითხთან დაკავშირებით, კითხვები ჯერ კიდევ არსებობს. არ ვიცი, მასთან დაკავშირებით საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. შესაძლოა, „პოლტავასთან“ წაგების შემდეგ ემოციებს ავყევი... მაშინ ძალიან უკმაყოფილო ვიყავი მისი თამაშით, რადგან ორივე გოლი მისი შეცდომების გამო გავუშვით. ამას გარდა, ჩვენ გვინდოდა, რომ გიორგის უკრაინის მოქალაქეობა მიეღო. დიახ, ასეთი ლაპარაკიც გვქონდა - თუ ის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებდა, მაშინ ის გუნდში დარჩებოდა. ჩვენ ლეგიონერები ისედაც მრავლად გვყავს... თუმცა მან მოქალაქეობის შეცვლა არ ისურვა. ამიტომაც გადავწყვიტეთ მასთან განშორება“.

ახლა კი ინტერვიუ გიორგი ციმაკურიძესთან...

# მწვრთნელის ულტიმატუმი: ან უკრაინის მოქალაქე გახდები, ან წახვალ

## 90 პროცენტით გადაწყვეტილია: ციმაკურიძე ჩერნომორეცში

**- გიორგი, ბოლო ორი წელია ლუგანსკის „ზარია“ ტრანსფერზე გაყენებს. თუმცა ახლანდელმა ულტიმატუმმა - ან უკრაინის მოქალაქეობას მიიღებ, ან გაგიშვებთო - გასაგები გახადა, რომ კლუბი, პრინციპში, არ იყო წინააღმდეგი, რომ „ზარიაში“ დარჩენილიყავი. მაინც რატომ წარმოიქმნა მოქალაქეობის შეცვლის აუცილებლობა?**

- მითხრეს, რომ ლეგიონერების შემცირება დაიწყებოდა და ასეთ შემთხვევაში ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ მოვხვდებოდი. თუმცა ეს ერთი-ერთი მიზეზი იყო. მეორე და მთავარი ვალაბუევის დაპირება იყო - მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, „ზარიიდან“ უკრაინის ნაკრებშიც გამოგიძახებენო.

**- უკრაინის ნაკრებში?!**

- დიახ... თავიდან უარი ვუთხარი, მაგრამ წამოსვლამდე სამჯერ გამიმეორეს - სანამ დაბრუნდები, კარგად მოიფიქრეო.

**- ნატურალიზაციისთვის საჭიროა, რომ უკრაინაში ოთხი წელი ითამაშო. ამ მხრივ, პრობლემა არ გექნებოდა - იქ 2000 წლიდან ხარ. მეორე მომენტია - შენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების არათუ რიგითი წევრი, არამედ, კაპიტანი იყავი. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამ ბარიერს როგორ დასძლევ?**

- ახალგაზრდულში კი მითამაშია, მაგრამ თუ ეროვნულ გუნდში არ გაქვს ნათამაშები, დანარჩენს მოევლება. ვალაბუევიც ამას მეუბნება. ასე არ იყო არტიომ მილევსკი?! ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი იყო, ახლა კი უკრაინის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია.

**- მილევსკის ნატურალიზაციის შემდეგ ფიფამ საფეხბურთო მოქალაქეობის შეცვლის წესი გაამკაცრა...**

- ...და ასეთ შემთხვევაშიც კი უკრაინის ნაკრებში მოხვედრის რეალური შანსი მაქვს. მაშინ ამგვარი წინადადება არც იქნებოდა.

**- მაგრამ ვალაბუევის შეთავაზებაში იქნებ ასეთი ქვეტექსტიც არის - მას ლეგიონერებზე ლიმიტის პრობლემის მოგვარება სურს და ამიტომაც დაგიყენა საკითხი მოქალაქეობის შეცვლაზე. ასეც ხომ შეიძლება იყოს?**

- რა გითხრათ... წავიკითხე მისი ინტერვიუ, სადაც ამბობს, თითქოს „პოლტავასთან“ წაგება ჩემი ბრალი იყო. სინამდვილეში, ეს მხოლოდ საბაბია. მთავარია, მივიღებ თუ არა მის წინადადებას.

**- ისე ჩანს, თითქოს უკვე გადაწყვეტილი გაქვს უკრაინის მოქალაქეობის მიღება...**

- საქმეც ისაა, რომ საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნის სახელით თამაში არ მინდა. ვალაბუევმა ულტიმატუმი ამიტომაც წამომიყენა - ან მოქალაქეობას მიიღებ და დარჩები, ან არა და, წახვალო. ახლა იმაზეც ვფიქრობ, საქართველოში ჩემი სიტყვები ისე არ გაიგონ, თითქოს აქეთ ვაყენებდე ულტიმატუმს - ან მათამაშეთ ეროვნულ ნაკრებში, ან არა და, უკრაინის მოქალაქე გავხდები... ისე, აქ ბევრისთვის მითქვამს კიდეც - პირდაპირ მითხარით, თუ საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშე არ ვარმეთქი. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა. უკვე 25 წლის გავხდი და მინდა, შინაარსიანი კარიერა მქონდეს. თუ აქ მართლა არავის ვჭირდები, მერე ნუ გამამტყუნებენ, ერთ დღესაც სხვა ქვეყნის ნაკრების მაისურა რომ მოვირგო.

**- ისე კი ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებში შენს მიწვევაზე ლაპარაკიც არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...**

- მართლაც არანაირი ინტერესი არ ჩანს. არადა, ეროვნულ ნაკრებში თამაში ძალიან მინდოდა...

**- ეს ყველას ოცნებაა, შენი შესაძლებლობებიც ცნობილია სპეციალისტებისთვის, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ბოლო ორი წელია, ძალზე არასტაბილურად თამაშობ, ზოგჯერ სულაც არ გაყენებენ შემადგენლობაში და საქართველოს ნაკრებში როგორ მიგიწვევდნენ?**

- მესმის, მაგრამ როცა სტაბილურად ვთამაშობდი, ამბობდნენ - ჯერ პატარა ბიჭია, მაგისთვის ნაკრები ადრეაო. მერე ტრავმებით გავწვალდი და გასაგებია, რომ არავინ გამომიძახებდა. წელსაც ტრავმა მქონდა და სეზონის სტარტიც ამის გამო გამიცდა. მერე კი თითქმის ყველა შეხვედრა ჩავატარე და 4 გოლიც გავიტანე. მგონი, მცველისთვის ცუდი შედეგი არ არის. როცა საქართველოს ნაკრების თამაშებს ვუყურებ, სულ ცუდ ხასიათზე ვდგები, მეტირება ხოლმე, ისეთ ფეხბურთს ვთამაშობთ... გუნდში მისვლაც აღარ მინდა, ყველა ჩვენზე ლაპარაკობს - გაცილებით მეტი შეგიძლიათ, მაგრამ ვერაფერს აღწევთ, რა გჭირთო? საქართველოს ჩემპიონატიდან თუ იწვევენ ბევრ, მართლაც ნიჭიერ მოთამაშეს, უკრაინის პირველობა რა, სუსტია? მეც მინდა, საქართველოს ნაკრებისთვის რაღაც გავაკეთო...

**- კარგი, რა მოხდება იმ შემთხვევაში, უკრაინელთა წინადადება თუ არ მიიღე?**

- „ზარიაში“ მხოლოდ მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში დამტოვებენ. თუ არა და, უკრაინის საკმაოდ ძლიერ კლუბში გადასვლის შანსი მაქვს. გაგიმხელთ კიდეც - 90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ „ჩერნომორეცში“ გავაგრძელებ კარიერას. ოდესელები არდადეგების შემდეგ მელოდებიან. რაც უნდა იყოს, „ჩერნომორეცი“ „ზარიაზე“ უკეთესი კლუბია, როგორც სპორტული, ისე ფინანსური თვალსაზრისით.

**- მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უკრაინული ფეხბურთიც აზარალა - პირველ ლიგაში ხუთი კლუბი დაიშალა. ვითომ „ჩერნომორეცს“ არ აქვს პრობლემები?**

- ცხადია, უპრობლემოდ არც ოდესელები არიან და არც სხვები, მაგრამ ფაქტია - მაგალითად, „ზარიას“ პრობლემები ჯერჯერობით არ შეხებია, ხელფასებსა და პრემიებს არ აგვიანებდნენ. „ჩერნომორეცის“ კრიზისზეც არაფერი მსმენია.

**- ერთადერთი დაინტერესებული კლუბი „ჩერნომორეცია“?**

- მე ესეც აგენტისგან ვიცი, ოდესელები სერიოზულად დაინტერესდნენო. სხვაზე კი რა გითხრათ, არაფერს მეუბნება...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ზამთარში

# სტადიონი ისევ ასიგნალებს: ყინული არ დამდნარა!

## დინამო-მესხეთიც გადაიდება?

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო"-"ზესტაფონი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო შეხვედრა არ გამართულა. ხვალ „დინამოს" ისევ შინ აქვს თამაში, ახალციხის „მესხეთს" უნდა უმასპინძლოს, თუმც შესაძლოა, ეს მატჩიც გადაიდოს. გუშინ ეროვნული სტადიონიდან პროფლიგას აცნობეს, მოედნის ნახევარი ისევ გაყინულიაო...

„დინამო"-"ზესტაფონი" 18 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მატჩის გადადებაზე გადაწყვეტილება კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ორი დღით ადრე მიიღო. ცხადია, უცნაურია, თამაშის გადადება ორი დღით ადრე რომ წყდება...

ამით რომ დავინტერესდით, ეროვნული სტადიონის დირექტორმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა** გვითხრა, მომხდარში ქვეტექსტების ძიება სასაცილოა, თოვლის მოწმენდა კი არ არის პრობლემა, არამედ მოყინული მოედანიო. იქვე მეძმარიაშვილმა დასძინა - საფარს ყინული რომ მოვაცილოთ, მინდორი გაფუჭდება, თუ ექსტრემალური ვითარება არ არის, ასეთ რისკზე ვერ წავალთო...

როგორც „დინამოში" გვითხრეს, კლუბს არ უთხოვია პროფლიგისთვის „ზესტაფონთან" თამაშის გადადება. ამის მერე დავინტერესდით, არსებობს თუ არა „დინამოსა" და ეროვნულ სტადიონს შორის კონტრაქტში ისეთი პუნქტი, რომლის თანახმადაც სტადიონს უფლება აქვს, კლიმატური თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო უარი უთხრას „დინამოს" არენის მიქირავებაზე.

სტადიონის დირექტორის მოადგილე **გია უგულავამ** გვითხრა, მატჩის გადადებაზე გადაწყვეტილება „დინამოსთან" შეთანხმებით მივიღეთო. პროფლიგაშიც დაგვიდასტურეს - როცა ეროვნულ არენაზე ვითარების გასაცნობად მივედით, „დინამოს" ხელმძღვანელობაც იქ იყოო. ისიც ფაქტია, სტადიონი მომსახურებაში გარკვეულ თანხას იღებს და ლოგიკურად, მატჩის გადადება არ უნდა აძლევდეს ხელს.

საქართველოს საუკეთესო სტადიონს არ აქვს საიმისო მოწყობილობა, რომ მოედანი გაათბოს და ყინვამედეგი გახადოს. ეროვნულ სტადიონს იმის საშუალებაც არ აქვს, თოვლისგან დასაცავად გაზონს სპეციალური ქსოვილი გადააფაროს.

პრობლემები გასაგებია, სტადიონის საფარს მოფრთხილება უნდა, ოღონდაც, რა ქნას „დინამომ"? თუ „დინამოს" მართლა არ სურდა თამაშის გადადება, თბილისში ვერ მოიძია სხვა სტადიონი?

მოკლედ, რაღაც ჩახლართულ ამბავთან გვაქვს საქმე. დაველოდოთ, რა მოხდება დღეს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროფლიგა, „დინამო"-"მესხეთის" ხვალ გასამართავ მატჩზე. ბოლო დღეებში დედაქალაქში თოვლმა და ყინულმა ლღობა დაიწყო, მაგრამ ეროვნული სტადიონის მინდორს მზე ბოლომდე ვერ სწვდება - არის ასეთი განმარტებაც და ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

მსაჯები

# კიდევ ორი ასისტენტი ფიფასთვის

ქართველი მსაჯების მხრივ, ფიფას არჩევანი ეზრდება. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური გვამცნობს, მომავალი წლის 1 იანვრიდან ორ ქართველ თემიდელს - **ლევან თოდრიასა** და **ზაზა ფიფიას**, ფიფას ასისტენტის სტატუსი ექნება. ანალოგიური სტატუსით დღემდე 6 ქართველი მსაჯი სარგებლობდა - **ბესიკ ქიქინაძე, გურამ ჩიგოგიძე, მამუკა ელიკაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ზაზა მენთეშაშვილი** და **ლევან მიქელაძე**. ზარემ აქვე შეგახსენებთ, ფიფას არბიტრი ოთხი გვყავს - **ლევან ფანიაშვილი, ლევან კვარაცხელია, ლაშა სილაგავა** და **გიორგი ვადაჭკორია**. გარდა ამისა, **არსენ ნონიკაშვილი** და **შოთა ქუხილავა** ფიფას არბიტრის სტატუსით ფუტზალში არიან დასაქმებულნი.

**დავით ცაბაძე**

რა ხდება?

# მორიგი ტყუილი: დინამოს თურქეთი არ გადაუდვია

სიმართლე გითხრათ, უკვე დავიბენით - აზერბაიჯანული ვებპორტალი „აზერსპორტი" მერამდენედ იტყუება და თან ერთსა და იმავე თემაზე, თითქოსდა, თბილისის „დინამო" ზაქათალის „სიმურგს" უნდა ესტუმროს და ამხანაგური მატჩი გამართოს. პატარა ინფორმაციას შთამბეჭდავი სათაურიც აქვს - **„დინამოს" „სიმურგთან" თამაში სურს** (რაღაც ვერ ვატყობთ, რომ საქართველოს ჩემპიონი ამგვარი სურვილით იწვოდეს). უფრო საინტერესოა სტუმრობის მიზეზი - ფინანსური კრიზისის გამო, თბილისელებმა თურქულ შეკრებაზე უარი თქვეს და ჩვენ გვესტუმრებიანო.

როგორც გავარკვიეთ, მსგავსი ტყუილების გასაქარწყლებლად „დინამოს" წარმომადგენლები ვებპორტალის ადმინისტრაციას ადრეც დაუკავშირდნენ, მაგრამ რად გინდა, არ იშლიან თავისას. როგორც იტყვიან - შეაყარე კედელს ცერცვი...

„აზერსპორტმა" წელს ორჯერ დაწერა „დინამო"-"სიმურგის" „ამხანაგურ შეხვედრებზე", რომელიც ნამდვილად არ გამართულა...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

შოთა არველაძე

# ამ კუპერისაც გამკვირვებია...

## რა აკლია საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტად?



შოთა არველაძე

**შოთა არველაძე, ვისაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი, 26 გოლი გაუტანია, ახლა „ალკმაარის" მთავარი მწვრთნელის, ლუის ვან გაალის თანაშემწეა. „ალკმაარი" ჰოლანდიის ჩემპიონატს ლიდერობს, თუმც ამჯერად შოთასთან ამაზე არ გვისაუბრია. ისევ ქართული ფეხბურთი, ისევ ჩვენი ნაკრები და პრობლემები - ვფიქრობთ, ქართველი გულშემატკივრისთვის ეს უფრო საინტერესოა. ზოგადი საუბრის გარდა, შოთასგან ერთი საინტერესო სიახლეც შევიტყვეთ. ინტერვიუ კი მისი ხელობით დავიწყეთ, რომელსაც სულ რაღაც 6 თვის წინ მოჰკიდა ხელი...**

**- ერთი ტურიც და ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდება. რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს მწვრთნელის ამპლუაში?**

- მწვრთნელობას ფეხბურთის თამაში მირჩევნია, თუმცა მწვრთნელი რომ ვარ, ეს გარკვეულწილად აკომპენსირებს იმ მონატრებას, რასაც ფეხბურთელობა ჰქვია. ისიცაა, რომ ახლა მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვარ და ასეთ დროს სტრესი ნაკლებია - ყველაფერზე პასუხისმგებელი პირველ რიგში ხომ მთავარი მწვრთნელია. თან, „ალკმაარი" პირველ ადგილზეა, კარგ ფეხბურთს თამაშობს და ყველა კმაყოფილია. ერთი სიტყვით, ახალ პროფესიასთან სამდურავი ჯერ არაფერი მაქვს.

**- თემურ ქეცბაიამ სამწვრთნელო სარბიელზე საკმაოდ ბევრს მიაღწია. ეს, ალბათ, თავისებური გამოწვევაცაა მწვრთნელ შოთა არველაძისთვის...**

- ქეცბაია მართლაც სამაგალითო მწვრთნელია, მისი წარმატებები ძალიან მიხარია და მიძლიერებს იმის სურვილს, რომ მეც მივაღწიო მნიშვნელოვან წარმატებებს.

**- მწვრთნელობის გარდა, საქველმოქმედო საქმიანობასაც მისდევთ. „ფონდ არველაძის" უახლოეს პროექტებზე რას გვეტყვით?**

- ჰოლანდიაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ტურნეს ვგეგმავთ, ამ საკითხზე უკვე დავიწყეთ კიდეც მუშაობა. ჩვენი ჭაბუკები გაზაფხულზე უნდა ჩამოვიდნენ ჰოლანდიაში და სამი სავარაუდო მეტოქეც შევურჩიეთ - „ალკმაარი", „ფეიენოორდი" და „აიაქსი". ამ ასაკში სამივე კლუბს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს. ტურნეს ჩვენი ფონდი დააფინანსებს, თუმცა შესაძლოა, სპონსორებიც გამოვნახოთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც გაგვიწიოს დახმარება.

**- თქვენი ძმა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი გახდა. როგორ ფიქრობთ, მას არ დასჭირდება თქვენი რჩევები?**

- თუკი მე და რეზი რამეზე ვსაუბრობთ და ვკამათობთ, პირველ რიგში, ფეხბურთზე. რა თქმა უნდა, მისი გენმდივნობის შემდეგაც ასე იქნება. მაქვს იმის იმედი, რომ მას სერიოზული პროექტები ექნება, რაც ძალიან გამოადგება ქართულ ფეხბურთს.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით - შესაძლოა, მეც წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზეო. მაინც, რას გააკეთებდით, ფედერაციის პრეზიდენტი რომ იყოთ?**

- ჯერ ის უნდა ვიცოდე, ბიუჯეტი რამდენია და ამის მიხედვით დავგეგმავდი ყველაფერს. მთავარი პრიორიტეტები კი - სტადიონები, ზოგადად ინფრასტრუქტურა და საქართველოს ჩემპიონატი იქნებოდა. სახელმწიფომ წელიწადში ერთი 7-ათასიანი სტადიონი რომ ააშენოს, ხუთ წელიწადში წელში გამართული ეროვნული ჩემპიონატი გვექნება. კომფორტული სტადიონები ძალიან ბევრს ნიშნავს, შევეგუოთ იმას, რომ ამის გარეშე ხალხი თამაშებზე არ ივლის.

**- მხოლოდ სტადიონები ვერ უშველის საქმეს...**

- გეთანხმებით, მაგრამ ამით ხომ საქმეს წინ წავიგდებთ. იმ ხუთ არენას დაუმატეთ ეროვნული და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონები - ამდენი სტადიონით მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაც შეიძლება. ამას წინათ, ტელევიზიით ვუყურე „ვიტ ჯორჯია"-"ოლიმპის" მატჩს და შევნიშნე ათასამდე გულშემატკივარი, რომელიც ტრიბუნაზე არ იჯდა. სტადიონზე მეტი კომფორტი რომ ყოფილიყო, ალბათ, მეტი ხალხიც დაესწრებოდა ამ შეხვედრას და გულშემატკივარი ფეხზე დამდგარი არ ნახავდა ამ თამაშს.

**- ეროვნული ჩემპიონატი მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნული ნაკრების სიძლიერეს. სხვათა შორის, როცა კლაუს ტოპმიოლერის წასვლის შემდეგ ვაკანსია გაჩნდა, თქვენ საქართველოს ეროვნული გუნდის გაწვრთნას გთავაზობდნენ...**

- მწვრთნელობა ყველაზე რთული ნაბიჯით არ დავიწყე. სულითა და გულით მსურდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა, მაგრამ... შემოთავაზება რომ მიმეღო, არასწორი იქნებოდა, ოჯახის წევრებმაც მირჩიეს, უარი მეთქვა ამ წინადადებაზე. ექვსი თვეა, რაც მწვრთნელი ვარ და უკვე ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. წარმოიდგინეთ, თანხმობა რომ მეთქვა, რაოდენ გამოუცდელი ვიქნებოდი ამ საპასუხისმგებლო საქმისთვის.

**- ეს კითხვა არა ერთხელ დაგვისვამს საქართველოს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელებისთვის, თუმცა მკაფიო პასუხი არასოდეს მიგვიღია. ახლა მწვრთნელი ხართ და, ალბათ, ანალიზის მეტი შესაძლებლობა გაქვთ. რა არის საქართველოს ნაკრების მთავარი პრობლემა?**

- მთავარი პრობლემა თამაშის წინ იქმნებოდა - არანაირი ინფორმაცია მეტოქეზე და იმის არცოდნა, თუ როგორ უნდა გვეთამაშა მეტოქის წინააღმდეგ, კონკრეტული თამაშისთვის კონკრეტული გეგმით ვერ ვემზადებოდით. თუ წლებს დავითვლით, საქართველოს ნაკრებში ყველაზე დიდხანს მე ვითამაშე და ასეთ დასკვნასაც აქედან ვაკეთებ. იყო რამდენიმე გამონაკლისიც...

**- კონკრეტულად რომელ მატჩებს გულისხმობთ?**

- ყველაფერი ზუსტად მახსოვს: ალბანეთს 3:0 რომ მოვუგეთ, უკრაინაში 2:3 რომ წავაგეთ და პარაგვაისთან 0:1 რომ დავმარცხდით. სამწუხაროდ, მეტი თამაში არ მახსენდება, როცა კონკრეტულად ვიცოდით, როგორ უნდა გვეთამაშა კონკრეტულ მოწინააღმდეგესთან.

**- ექტორ კუპერის ნაკრებზეც საინტერესოა შოთა არველაძის აზრი...**

- კუპერი ხედავს, აფასებს სიტუაციას და შეუძლია მოქმედება - ამიტომაცაა, რომ გუნდი მეორე ტაიმს უკეთესად თამაშობს. ერთადერთი, რაც მიკვირს, ისაა, რომ კუპერი არ ცვლის განლაგებას - დაინახა, რომ გარემარბები არ გვყავს, მაგრამ მაინც 4-3-3 სქემას ანიჭებს უპირატესობას.

**- რა შეუძლია საქართველოს ნაკრებს ფეხბურთელთა დღეს არსებული კონტინგენტით?**

- ჯგუფში მესამე ადგილზე გასვლა რეალური იქნება, მთავარია, თამაში დაიჭირო.

**- რას ეტყოდით საახალწლოდ ქართულ საფეხბურთო სამყაროს?**

- საქართველოს ვუსურვებ მშვიდობასა და პატრიარქის კარგად ყოფნას. დარწმუნებული ვარ, ღმერთი არ მიგვატოვებს...

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე და ლუის ვან გაალი

ბენდელას თასი

ნახევარფინალი

# ნაძალადევი და სეუ, მესამედ...

## კალაძემ პენალტი გააფუჭა, ბურდულმა კი დუბლი მიითვალა. ნოზაძეების დერბი და მემარნიშვილები ფინალში

„ბენდელას თასის" ტრადიციულ, რიგით მე-17 ტურნირზე გუშინ ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. გათამაშებას ხიბლი და დაძაბულობა გუშინაც არ მოჰკლებია. როგორც გაცნობეთ, პირველი ნახევარფინალი სეუსა და „საჯარო რეესტრის" გუნდს შორის შედგა, მერე კი ერთმანეთის პირისპირ ტურნირის ფავორიტად მიჩნეული „ნაძალადევი" და „დუშეთი" წარდგნენ.

ხსენებულ მატჩებამდე ბავშვთა და გოგონათა გუნდების ნახევარფინალებიც გაიმართა. შედგა ერთი ამხანაგური შეხვედრაც - პატიმართა ნაკრები სეუ 2-ს დაუპირისპირდა და 7:2 მოიგო. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ითამაშა გულშემატკივართათვის კარგად ნაცნობმა იმიტატორმა **ოთარ მამასახლისმაც** და გოლიც გაიტანა. საბოლოო ანგარიში სწორედ მან დააფიქსირა...

ახლა კი მთავარ მატჩებზე. სეუ-სა და „საჯარო რეესტრის" მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ძმებმა, **გიორგი** და **დათო მემარნიშვილებმა** (სეუ), „საჯარო რეესტრს" ფინალის გზა გადაუკეტეს. ძმები **ნოზაძეები** კი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ (ლაშა სეუ-ში გამოდის, ბექა კი „რეესტრში"). საძმო დერბი უგოლოდ დასრულდა. ძირითადი დროის დასრულებისთანავე პენალტების სერია დაინიშნა. ლაშამ პენალტი გამოიყენა, ბექამ კი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- ვერა. „ლატარიაში" კი იმარჯვა (4:2) სეუ-მ და ფინალში გავიდა. ამ გუნდიდან პენალტები **გიორგი მემარნიშვილმა, ლადო დვალიშვილმა, გოგი ფიფიამ** და **დათო მემარნიშვილმა** გაიტანეს, „საჯარო რეესტრიდან" კი თავი **მიხეილ ულენტმა** და **ბაჩა ჯანელიძემ** გამოიჩინეს, ხოლო **ანზორ კალაძესა** და **ბექა ნოზაძეს** ხელი მოეცარათ.

ალალად რომ ვთქვათ, მეორე ნახევარფინალური მატჩისადმი ინტერესი უფრო დიდი იყო. ეს გასაკვირი სულაც არ არის. თავად განსაჯეთ, მეორე ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „დუშეთს" გამორჩეული ფეხბურთელების კრებული დაუპირისპირდა - **გოჩა ჯამარაული, ზაქარია ბეგლარიშვილი, ლადო ბურდული, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი მოდებაძე, გიორგი ჩივაძე, მიხეილ მაზიაშვილი, გიორგი ბათიაშვილი**... გუშინ არ უთამაშია **გიორგი ნემსაძეს**, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობდა. ნემსაძე დღეს ფინალში ითამაშებს...

პირველი ტაიმი „ნაძალადევმა" კლასისა და აგრესიის ხარჯზე მოიგო - 5 „მშრალი" ბურთი გაუტანა მეკარე **უჩა ტუხაშვილს**. ბურდულმა დუბლი მიითვალა, თითო გოლი კი მაზიაშვილმა, ბობოხიძემ და მოდებაძემ შეაგდეს. შესვენების შემდეგ „დუშეთი" კი გაცხარდა, მაგრამ სამ გოლზე მეტს ვერ გასწვდა - დუბლი **ზურაბ ზვიადაურმა** (ძიუდოისტში არ აგერიოთ) ჩაიწერა აქტივში, ერთიც ბურთიც **იოსებ მუჩაშვილმა** გაიტანა. ამ გოლების შემდეგ დუშელები მადაზე მოვიდნენ, მაგრამ დრო აღარ ეყოთ...

დღეს მე-3 ადგილისთვის მატჩი 14 საათზე დაიწყება. მასში ერთმანეთს „დუშეთი" და „საჯარო რეესტრი" შეხვდებიან. ფინალი კი 17 საათზე დაიწყება და „ნაძალადევი" სეუ-ს დაუპირისპირდება, და სხვათა შორის, მესამედ - „ბენდელას თასის" ტურნირებში. აქამდე, ორივე მატჩი ნაძალადევის წარმომადგენლებმა მოიგეს. სეუ-ს თავკაცმა, ახლა ჩვენი ჯერიაო. ვნახოთ...

ინტერვიუ

ლუკა რაზმაძე

# პენალტის საიდუმლო გახსნილია

## რაზმაძე მთავარ კონკურენტად დინამოს მიიჩნევს

არახალია, რომ „ვიტ ჯორჯია" ზამთრის ჩემპიონი გახდა. საამისოდ, წინა ტურში ვეტერინარებს ფრეც ჰყოფნიდათ. ისინი რუსთავის „ოლიმპთან" მატჩს აგებდნენ, მაგრამ ლუკა რაზმაძის გოლმა ვიტელებს ქულა მოუტანა. გოლი კი მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ - უბადლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, პირდაპირ „ცხრიანში"... სხვათა შორის, ამის წინა შეხვედრის გმირიც რაზმაძე იყო. სწორედ მისი ერთადერთი გოლით „ვიტ ჯორჯიამ" „ლოკომოტივი" დაამარცხა...

ერთი სიტყვით, ვიტჯორჯიელთა „მხსნელად" შერაცხულ ლუკა რაზმაძეს დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

- როცა პირველი წრე მოვიგეთ, ფეხბურთელებმა ერთმანეთში ვილაპარაკეთ და რალაც შეთანხმებასავით დავთქვით, რომ ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა საიმისოდ, რათა ზამთრის ჩემპიონებიც გავმხდარიყავით. „ვიტ ჯორჯია" ერთხელ უკვე იყო ჩემპიონი, მაგრამ უჩემოდ. სწორედ იმ სეზონის შემდეგ მივედი გუნდში გორის „დილიდან". ამიტომაც ძალიან მინდა, რომ „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ამ სეზონში ჩემპიონი გავხდე. ერთი სიტყვით, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და მაისში ოქროს მედლები ვიზეიმოთ.

**- ყველაზე მეტად „დინამოს" ფაქტორს ითვალისწინებთ ალბათ...**

- რა თქმა უნდა. მოქმედი ჩემპიონი მეორე ადგილზეა და ბუნებრივია, ამ სეზონშიც ოქროსთვის იბრძოლებს. „დინამოს" ზამთრის ჩემპიონობაც უნდოდა, მაგრამ წაიფორხილა, „ოლიმპმა" მოუგო და ამით ჩვენი საქმე გააკეთა.

**- მოდით, რუსთაველებთან მატჩი გავიხსენოთ. პირველი ტაიმი 1:0 წააგეთ, შესვენების შემდეგ კი კაცნაკლულებმა შეძლით თამაშის გადარჩენა. ამას რით ახსნით, მარტო მონდომებით?**

- ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯია" შეკრული გუნდია. და ეს მართლაც ასეა. „ოლიმპთან" მატჩის შესვენებისას ფეხბურთელებმა გასახდელში ვთქვით, რომ რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ეს თამაში არ უნდა წაგვეგო. მართალია, ტაიმზე მეტი 10 კაცით ვითამაშეთ, მაგრამ მობილიზების, ბოლომდე ბრძოლისა და მონდომების ხარჯზე შევძელით და ფრეს მივაღწიეთ.

**- ქულა თქვენ მიერ უბადლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით მოიპოვეთ. გოლი მართლაც ეფექტური და ლამაზი გამოვიდა. როგორ გაიხსენებდით იმ ეპიზოდს?**

- სხვათა შორის, ჯარიმა ჩემებრ გორელმა ყველაშვილმა მოიპოვა... დასარტყმელად მე და კვარაცხელია ვემზადებოდით. გადავწყვიტე, მე დამერტყა და ვახტანგს ვუთხარი კიდეც - მე შევასრულე-მეთქი. დამითმო. ეტყობა, ინტუიციამ მიკარნახა, რომ სწორედ მე უნდა დამერტყა... სხვა რა გითხრათ, პირდაპირ „ცხრიანში" მოვარტყი... შევნიშნე, რომ ის კუთხე შედარებით დაუცველი იყო. არადა, „ცოცხალი კედელი" სწორედ იმ კუთხესა და კარის ნახევარს ფარავდა, რომელსაც მეკარე აკონტროლებდა. ვაკვირდები, რომ მეკარეები, რატომღაც, იმ კუთხეს ფარავენ ხოლმე, რომელსაც „ცოცხალი კედელი" იცავს. ეტყობა, ჰგონიათ, რომ საჯარიმოს დამრტყმელი ბურთს „ცოცხალ კედელს" გადაატარებს". მე კი შორეულ კუთხეში დავარტყი და გავიტანე.

**- საერთოდ, „სტანდარტულები" გეხერხებათ, გუნდში შტატიანი პენალტისტიც ხართ...**

- ზოგი მეუბნება კიდეც, ნერვები არ გაქვსო. ამის რა მოგახსენოთ, მაგრამ 11-მეტრიანის შესრულებას მართლაც რკინის ნერვები უნდა, მაგრამ რა ვიცი, მე კი არ მიჭირს და... ვინ მოთვლის, რამდენი პენალტი მაქვს გატანილი, თუნდაც გორის „დილიდან" მოყოლებული...

**- ...და არც ერთი არ გაგიფუჭებიათ?**

- კი, როგორ არა, გასული სეზონში მოხდა, აღარ მახსოვს რომელი ტური იყო, მაგრამ იმ ეპიზოდს რა დამავიწყებს, მატჩის ბოლოს „დინამოს" ვერ



გავუტანე პენალტი. ისიც მახსოვს, 11-მეტრიანამდე ორჯერ სახიფათოდ დავარტყი და ორჯერვე „დინამო" ძელმა იხსნა. თითქოს, ბედის ირონია იყოო, პენალტის ნიშნულიდან დარტყმული ბურთიც ძელს მოხვდა... წინა სეზონშიც ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, მაგრამ იმ გაფუჭებული პენალტის გამო დაკარგულმა ქულებმა საერთო სიტუაციაზე იმოქმედა და ფაქტობრივად, ოქროსთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ...

**- პენალტების მხრივ რაღაც საიდუმლოც გექნებათ...**

- კი, მაქვს ჩემი მეთოდი. გავამხილო საიდუმლო? კარის ცენტრში არასდროს ვურტყამ, მართლა უნერვო კი არ ვარ! ყოველთვის ვაკვირდები მეკარის მოძრაობას და ამისდა მიხედვით ვირჩევ კუთხეს, რომელშიც უნდა დავარტყა.

**- წლის ბოლო მატჩიც რთული იქნება „ვიტ ჯორჯიისთვის" - სტუმრად „ზესტაფონს" ხვდებით. ქართველ ფეხბურთელებს სჩვევიათ ხოლმე რალაც მომენტში მოდუნება, ყურადღების გაფანტვა... ზამთრის ჩემპიონები უკვე გახდით და ხომ არ მოდუნდებით?**

- არავითარ შემთხვევაში! რომელ მოდუნებაზეა ლაპარაკი, როცა ოქროსთვის ვიბრძვით?! ახლა ქულები რომ დავკარგოთ, ვინ იცის, ბოლოს სად დაგვაკლდეს. ასე რომ, „ზესტაფონშიც" გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ...**

- „ზესტაფონს", „ოლიმპს", „დინამოს", „ლოკომოტივს"... ამ ჩემპიონატის ხიბლიც სწორედ ისაა, რომ ჩემპიონობა რამდენიმე გუნდს შეუძლია. მოულოდნელი შედეგებიცაა, ფავორიტებიც ხშირად კარგავენ დაუგეგმავ ქულებს. თუმცა... მოდით, ასე ვიტყვი - მთავარ კონკურენტი მაინც „დინამოა". ისე, თასის ნახევარფინალშიც ვართ გასულები. ეს ტიტულიც გვინდა...

**- ...და ორ ფრონტზე ბრძოლა არ გაგიჭირდებათ?**

- მონდომებულები და მაქსიმალურად მობილიზებულები თუ ვიქნებით, არც ეს გაგვიჭირდება... თუმცა იღბალიცაა საჭირო.

**- ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, მაინც რა დაინახა ასეთი ექტორ კუპერმა ლუკა რაზმაძეში?**

- საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ. თუმცა ის კი შემიძლია ვთქვა, რომ შრომისმოყვარე ვარ და ალბათ, ეს დაინახა... თუმცა ამაზე უფრო კუპერის აზრი იქნებოდა საინტერესო. ჩემი ტიპის ფეხბურთელებზე ამბობენ ხოლმე, მოედნის ცენტრში ბევრს მუშაობენ, მაგრამ მათი გარჯა იმდენად თვალსაჩინო არ არისო. რა გითხრათ, ალბათ, კუპერმაც ამ მომენტებს მიაქცია ყურადღება.

**- როგორ ფიქრობთ, ნაკრებში რაც აჩვენეთ, ეს მაქსიმუმია თუ მეტიც შეგიძლიათ?**

- ვგრძნობ, რომ აშკარად მეტი შემიძლია. ეროვნულ ნაკრებში პირველ მატჩებს ყოველთვის გარკვეული დაძაბულობა ახლავს თან, მერე და მერე უფრო იხსნები და ლაღად თამაშობ. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი.

**- კუპერზე რა აზრის ხართ?**

- კარგი მწვრთნელია... დავალებებსა და მითითებებს იოლად და გასაგებ ენაზე გვიხსნის. მერე კიდევ გვავარჯიშებს, რომ ნახოს, როგორ ვითვისებთ ამ დავალებებს. მაგრამ მარტო მწვრთნელი რას გახდება, თუ ჩვენც, ფეხბურთელებმაც არ შევუწყვეთ ხელი. სწორედ ჩვენი თამაშით უნდა დავაფასოთ მისი შრომა. ალბათ, ყველამ რაღაც დავაკელით ნაკრებს და ამიტომაცაა, რომ შესარჩევში ჯერ მოგება არ გვაქვს. თუმცა მერწმუნეთ, გაისად ბევრად უკეთესი გუნდი გვეყოლება და გამარჯვებებიც მოვა.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის წინ

# ითამაშებს თუ არა ტორესი?

## მანჩესტერის არყოფნაში ერთმა კონკურენტმაც კი ვერ მოიგო

| დღეს | |
|---|---|
| სტოკ სიტი-მანჩესტერ იუნ. | 16:45 |
| ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 17:00 |
| პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 17.00 |
| ტოტენჰემი-ფულჰემი | 17:00 |
| ლივერპული-ბოლტონი | 19:00 |
| მანჩესტერ სიტი-ჰალ სიტი | 19:00 |
| მიდლსბრო-ევერტონი | 19:00 |
| სანდერლენდი-ბლექბერნი | 19:00 |
| ვიგანი-ნიუკასლი | 19:00 |
| ასტონ ვილა-არსენალი | 19:15 |

პრემიერლიგის ლიდერმა "ლივერპულმა" ბოლო ოთხი მატჩიდან სამი ფრედ დაასრულა და ექვსი ქულა გაატანა ქარს. ქულების განიავებაში მას არც "ჩელსი" ჩამორჩა. შედეგად, გუნდებს ერთმანეთისაგან კვლავ ერთი ქულა ჰყოფთ. "ლივერპული" ჩემპიონობისათვის იბრძვის. მერსისაიდელებს ოქროს მედლები შორეული 1990 წლის შემდეგ არ მოუგიათ. პირველად 1996 წლის შემდეგ, ლივერპულელები შობის დღესასწაულს ლიდერის რანგში შეხვდნენ.

**ფერნანდო ტორესმა** ტრავმა მოიშუშა და მოედანზე გასასვლელად ემზადება. ესპანელი თავდამსხმელი სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ხუთმატჩიანი პაუზის შემდეგ ის კვლავ განაცხადში იქნება, თუმცა უცნობია, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ, თუ არა. ტორესმა უკანასკნელად 26 ნოემბერს "მარსელთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ითამაშა. გამოჯანმრთელდა **ხავიერ მასკერანო**. არგენტინელმა ნახევარმცველმა "არსენალთან" ერთი კვირის წინანდელი შეხვედრა გამოტოვა. დღეს "ლივერპული" "ბოლტონს" მასპინძლობს. **გარი მეგსონს** ახალი საკადრო პრობლემები არ აქვს.

გასულ ორშაბათს, "ჩელსის" რომ "ევერტონი" დაემარცხებინა, პირველ ადგილზე გადავიდოდა, მაგრამ შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, თანაც "არისტოკრატებს" **ჯონ ტერი** გაუძევეს. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ლონდონელთა კაპიტანს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ის "ვესტ ბრომვიჩთან" დღევანდელი მატჩის გარდა, კვირას, "ფულჰემთანაც" ვერ ითამაშებს. ტერის გარეშე ჩაივლის ინგლისის ასოციაციის თასზე, "საუთენდთან" შეხვედრაც.

"ევერტონთან" ფრემ "ჩელსის" რეკორდულ სერიას დაუსვა წერტილი: **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებს მეტოქის მოედანზე ზედიზედ 11 მატჩი ჰქონდათ მოგებული. სკოლარი იმით თუ დაიმშვიდებს თავს, რომ **რიკარდო კარვალიო** მოედანს უბრუნდება. პორტუგალიელმა მცველმა მუხლის მძიმე ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა, თუმცა უცნობია, ითამაშებს თუ არა დღეს.

"ვესტ ბრომვიჩი" პრემიერლიგის უსუსტესი გუნდია. ის ბოლო ადგილზეა და უსაფრთხო ზონისაგან ოთხი ქულა ჰყოფს. გასულ უქმეებზე "ვესტ ბრომვიჩმა" "მანჩესტერ სიტის" სძლია, თუმცა სატურნირო მდგომარეობა ვერ გამოისწორა. გუნდს კაპიტანი **ჯონათან გრინინგი** უბრუნდება. "სიტისთან" მატჩისას მას მოულოდნელად თავბრუ დაეხვია და შეცვალეს. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს ფლეიმეიქერი **ბორხა ვალერო**. უკვე ერთი კვირაა, მას გრიპის ვირუსი აქვს და მკურნალობს.

"მანჩესტერ იუნაიტედი" იაპონიიდან ხელდამშვენებული დაბრუნდა. მან საკლუბო მუნდიალი მოიგო და ახლა კვლავ საჩემპიონო მარათონში ჩაერთვება. უცნაურია, მაგრამ "ეშმაკების" არყოფნაში მისმა ვერც ერთმა კონკურენტმა ვერ მოიგო. "ჩელსიმ", "ლივერპულმა" და "არსენალმა" (ეს ორი უკანასკნელი გასულ უქმეებზე ერთმანეთს შეხვდა) მატჩები ფრედ დაასრულეს. "ეშმაკებმა" ამ გუნდებზე ორით ნაკლები მატჩი გამართეს. დაკარგულები ქულებით, ისინი მხოლოდ "ლივერპულს" ჩამორჩებიან.

დღეს "იუნაიტედი" "სტოკ სიტის" ესტუმრება, ხოლო ორშაბათს "მიდლსბროს" გაავარჯიშებს. "მანჩესტერი" სტოკს უკანასკნელად 1984 წელს ეწვია. უჩვეულო დამთხვევაა - ის შორეული შეხვედრაც შობის მეორე დღეს, "ბოქსინგ დეიზე" შედგა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. დღეს "მანჩესტერი" ქულების დაკარგვას აღარ აპირებს. სერ **ალექს ფერგიუსონი** დღევანდელი შემადგენლობით ისეთი კმაყოფილია, რომ ამბობს, იანვრის ტრანსფერებისას ერთ ფეხბურთელსაც არ ვიყიდითო.

"ეშმაკებს" **პატრის ევრა** ვერ დაეხმარება. ფრანგი მცველი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციას მოხდას იწყებს. ევრას ადგილს ირლანდიელი **ჯონ ოში** დაიჭერს. სერ ალექს სხვა საკადრო პრობლემები არ გააჩნია. "სტოკ სიტის" ძირითადში მეკარე **ტომას სორენსენი** მწყობრში ჰყავს - მან კინალამ ხელის თითები მოიტეხა. საეჭვოა გუნდის ოთხი წამყვანი ფეხბურთელის - **კიტსონის, გრიფინის, დიაოსა** და **კორტის** თამაშია.

**არსენ ვენგერი** მიიჩნევს, რომ "არსენალს" ჯერ კიდევ შეუძლია ჩემპიონობისათვის ბრძოლა. "მეთოფეებს" ოქროს მედლები 2004 წლის შემდეგ არ მოუგიათ. დღეს მათ სერიოზული გამოცდა ელით: ისინი "ასტონ ვილას" ეთამაშებიან. ბირმინგემელთა ამბიციებზე ბევრი დაიწერა. ინგლისელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ თუ რომელიმე დაბალი რანგის კლუბს ოთხეულში შეღწევა შეუძლია, ეს სწორედ "ასტონ ვილაა". **მარტინ ონილის** შეგირდები ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას აპირებენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ მათ ეს მოახერხეს, ლიგის მიღმა "არსენალი" დარჩება. დღევანდელი შეხვედრა, ერთგვარად, არის მატჩი მეოთხე ადგილისათვის.

ლონდონელებს **ფრანსესკ ფაბრეგასი** არ ეყოლებათ. ესპანელი ნახევარმცველი "ლივერპულთან" ბოლო ტურის მატჩისას დაშავდა. მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და ოთხთვიანი შვებულება გამოიწერა. ვენგერს სხვა პრობლემებიც აქვს: ვერ ითამაშებს საუკეთესო ბომბარდირი **ემანუელ ადებაიორი**. ის დასჯილია. **თეო უოლკოტი, ედუარდო** და **ტომაშ როსიცკი** კი ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფებიან.

მოსიე არსენმა კიდევ ერთი საკითხი უნდა გადაჭრას: ვინ იქნება დღეს "არსენალის" კაპიტანი. **ვილიამ გალასისათვის** სამკლაურის ჩამორთმევის შემდეგ, კაპიტნობა ფაბრეგასს დაეკისრა. როგორც ალვნიშნეთ, სესკი დაშავებულია. "ლივერპულთან" მატჩისას, ფაბრეგასის გასვლის შემდეგ, კაპიტნობა მეკარე **მანუელ ალმუნიას** დაეკისრა, თუმცა შეინარჩუნებს თუ არა სამკლაურს, უცნობია. "ასტონ ვილას" ორი საუკეთესო მცველი, **მარტინ ლაურსენი** და **კარლოს კუელიარი**, შეიძლება, ვერ დაეხმაროს. მათ ადგილას შესაძლოა, **რეო-კოკერმა** და **ნაიტმა** ითამაშონ.

"მანჩესტერ სიტი" გასაჭირშია. გუნდმა, რომელსაც მიმომხილველთა აზრით, მსოფლიოში ყველაზე დიდი ფინანსური რესურსები აქვს, ბოლო 13 მატჩში მხოლოდ ორჯერ მოიგო. მდიდარი და ამბიციური "სიტი" გასავარდნ ზონაში იმყოფება. **მარკ ჰიუზის** პოზიციები დღითიდღე ირყევა. ამიტომ როდესაც მანჩესტერელთა სატრანსფერო გეგმებზე საუბრობენ, ხშირად გაიგონებთ, რომ გუნდმა, შეიძლება, არა მარტო ფეხბურთელები, არამედ ახალი მწვრთნელიც დაიმატოს.

დღეს "სიტი" "ჰალს" მასპინძლობს, ხოლო ამ უქმეებზე "ბლექბერნში" მიემგზავრება. წინა ტურში "ბლექბერნმა" **სემ ელერდაისის** ხელმძღვანელობით ახალი ცხოვრება დაიწყო, თანაც შთამბეჭდავი გამარჯვებით (3:0 "სტოკ სიტისთან").

"ვესტ ჰემს" გასავარდნი ზონისაგან ერთი ადგილი და ერთი ქულა ჰყოფს. დღეს ის "პორტსმუთს" ეთამაშება. ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ **ჯანფრანკო ძოლა** გადადგომით იმუქრება. მიზეზი ის არის, რომ თითქოს კლუბის ხელმძღვანელობა წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას აპირებს. ძოლა სპეკულაციებს არ ადასტურებს და ჯერჯერობით მშვიდად განაგრძობს მუშაობას.

ლონდონელებს **ვალონ ბეჰრამი** გამოუჯანმრთელდათ. **სკოტ პარკერიც** მწყობრშია. "ჩაქუჩებს" სხვა საკადრო პრობლემები არ აქვთ. "პორტსმუთს" კვლავ არ ეყოლება **გლენ ჯონსონი**. მან ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშისას კვლავ წამოსტკივდა ფეხი.

და ბოლოს, ლონდონური დერბი - "ტოტენჰემი" "ფულჰემის" წინააღმდეგ. "მამლებს" შესაძლოა, **ჯერმეინ ჯენასი** დაუბრუნდეთ. თითქმის გამოჯანმრთელდნენ ცენტრალური მცველები, **ლედლი კინგი** და **ჯონათან ვუდგეიტი**. **დარენ ბენტი** განაცხადშია. **ალან ჰატონი** და **ჯოვანი დოს სანტოსი** კი ვერ ითამაშებენ. "ფულჰემის" ბანაკს საკადრო პრობლემებზე ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 18 | 11 | 6 | 1 | 27-12 | 39 |
| 2. ჩელსი | 18 | 11 | 5 | 2 | 36-7 | 38 |
| 3. ასტონ ვილა | 18 | 10 | 4 | 4 | 30-20 | 34 |
| 4. მანჩესტერ იუნ. | 16 | 9 | 5 | 2 | 27-10 | 32 |
| 5. არსენალი | 18 | 9 | 4 | 5 | 30-21 | 31 |
| 6. ჰალ სიტი | 18 | 7 | 6 | 5 | 27-31 | 27 |
| 7. ევერტონი | 18 | 7 | 5 | 6 | 23-25 | 26 |
| 8. ფულჰემი | 17 | 6 | 6 | 5 | 16-12 | 24 |
| 9. ბოლტონი | 18 | 7 | 2 | 9 | 22-24 | 23 |
| 10. პორტსმუთი | 18 | 6 | 5 | 7 | 20-28 | 23 |
| 11. ვიგანი | 17 | 6 | 4 | 7 | 21-20 | 22 |
| 12. ნიუკასლი | 18 | 5 | 7 | 6 | 24-25 | 22 |
| 13. სანდერლენდი | 18 | 6 | 3 | 9 | 21-26 | 21 |
| 14. მიდლსბრო | 18 | 5 | 5 | 8 | 17-27 | 20 |
| 15. სტოკ სიტი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-30 | 20 |
| 16. ტოტენჰემი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-23 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-26 | 19 |
| 18. მანჩესტერ სიტი | 18 | 5 | 3 | 10 | 31-27 | 18 |
| 19. ბლექბერნი | 18 | 4 | 4 | 10 | 20-34 | 16 |
| 20. ვესტ ბრომვ. | 18 | 4 | 3 | 11 | 14-33 | 15 |



ფერნანდო ტორესი გამოჯანმრთელდა და მოედანზე გასასვლელად ემზადება

მოსალოდნელი გარიგება

# ჩაბი ალონსო არსენალმა მოიკითხა

## ლივერპული გარეთ ბერის ყიდულობსო

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, „არსენალი“ **ჩაბი ალონსოთი** დაინტერესდა. „მეთოფეები“ ესპანელი ნახევარმცველის შეძენას ზაფხულის ტრანსფერების დროსაც ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. მერსისაიდელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. „არსენალი“ ამ თანხის გადასახდელად მზად არ აღმოჩნდა. ლონდონელებს მხოლოდ 14 მილიონი გააჩნდათ. ჩაშლილი მოლაპარაკებებიდან ოთხი თვის შემდეგ, არსენ ვენგერი კიდევ ერთხელ სცდის ბედს. ამ ტრანსფერს მისი გუნდისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, **ფრანსესკ ფაბრეგასმა** ტრავმა მიიღო და ოთხი თვე ვერ ითამაშებს.

გაყიდის თუ არა „ლივერპული“ ესპანელ ლეგიონერს, რომელსაც კონტრაქტი მხოლოდ 2012 წელს უმთავრდება? „დეილი მეილი“ ირწმუნება, რომ გაყიდის, რადგან მისი შემცვლელი უკვე შეგულებული ჰყავს: „ასტონ ვილისა“ და ინგლისის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **გარეთ ბერი**. ალონსოს „იუვენტუსიც“ ეპატიჟებოდა. ზაფხულში საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისურმა გაზეთებმა მისი ტურინში გამგზავრების ამბავი გვამცნეს, მაგრამ გარიგება არ შედგა. ახლა კი ჩაბი ალონსოს „არსენალის“ ვარიანტი აქვს.



ჩაბი ალონსო შეიძლება ლონდონში გაემგზავროს

ამბები

### ბასილე პიუზის ნაცვლად?

პრემიერლიგის ყველაზე მდიდარი კლუბი გასავარდნ ზონაში დაეშვა. ალბათ ყველამ იცის, ასეთ შემთხვევაში კლუბის მესაკუთრეები როგორ იქცევიან - მწვრთნელს თანამდებობიდან უშვებენ. სავარაუდოდ ახალი წლის შემდეგ თანამდებობას გამოეთხოვება „მანჩესტერ სიტის“ უელსელი თავკაცი **მარკ ჰიუზი**. ინგლისური პრესა არგენტინულზე დაყრდნობით წერს, რომ „ქალაქელთა“ ახალ თავკაცად **ალფიო ბასილე** განიხილება. არგენტინის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ის უმუშევარია. 65 წლის სპეციალისტი ამბობს, რომ ორი სარფიანი შეთავაზება აქვს - ერთი ინგლისიდან და ერთიც არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან. მას, როგორც ამბიციურ ადამიანს, ნისლიან ალბიონზე მუშაობის პერსპექტივა იზიდავს. სენიორ ბასილეს არ დაუზუსტებია, ესაუბრა თუ არა ის „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობას.

### ზე რობერტოს ახალი კონტრაქტი

„სან პაულუმ“, „კრუზეირომ“ და „ფლამენგომ“ **ზე რობერტოს** შეძენა გადაწყვიტეს. ბრაზილიულმა კლუბებმა „ბაიერნს“ მოლაპარაკებათა დაწყება ოფიციალურად შესთავაზეს. გერმანელებმა გარიგება შორს დაიჭირეს. მეტიც, რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ზესთან ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელება გადაწყვიტა. შეთანხმება თითქმის მიღწეულია. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზე რობერტო 2010 წლის ივნისში ფეხბურთიდან წასვლასა და კათოლიკურ აკადემიაში ჩაბარებას აპირებს. მას სურს, რომ პასტორი გამოვიდეს.

### ლუის ფერნანდესი სტად რეიმსში წავიდა

სახელგანთქმული ფრანგი სპეციალისტი **ლუის ფერნანდესი** ფეხბურთს დაუბრუნდა. ის საფრანგეთის მეორე ლიგის აუტსაიდერი კლუბის, „სტად რეიმსის“ თავკაცად დანიშნეს. ეს ინფორმაცია გაზეთმა „ეკიპმა“ გაავრცელა. „სტად რეიმსი“ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. შორეულ წარსულში მას ექვსგზის აქვს მოგებული საფრანგეთის პირველობა. 1956 და 1959 წლებში კი ჩემპიონთა თასის ფინალშიც უთამაშია. ამჯერად, როგორც ალვნიშნეთ, „სტად რეიმსი“ კრიზისშია. მოსიე ფერნანდესმა ის უნდა გადაარჩინოს. ლუის ფერნანდესს სხვადასხვა დროს „პარი სენ ჟერმენში“, „ბილბაოში“, „ესპანიოლსა“ და „ბეტისში“ უმუშავია.

### რომედალი სამსახურს ეძებს

**დენის რომედალი** სამსახურს ეძებს. 30 წლის დანიელი გარემარბი „აიაქსის“ საკუთრებაა. მას ამსტერდამული კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, მაგრამ ჰოლანდიური გრანდის თავკაც **მარკო ვან ბასტენს** რომედალი აღარ სჭირდება. მწვრთნელმა ფეხბურთელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადა - იანვრიდან თამაში რომ არ მოგენატროს, გირჩევნია, სხვა კლუბი მონახოო. რომედალმა მენეჯერს პრობლემის მოგვარება დაავალა. მენეჯერის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. დენისით სხვა წამყვანი ჰოლანდიური კლუბები - „ალკმაარი“, „ფეიენოორდი“ და „ეინდჰოვენი“ დაინტერესდნენ. ფეხბურთელს „მარსელიც“ შეეხმიანა. რომედალი საკმაოდ იაფი, 2 მილიონი ევრო ღირს.

### შრომა ყოველთვის ფასდება

„ტოტენჰემის“ თავკაც **ჰარი რედნაპს** ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საგანგებო ჯილდოს გადასცემენ. მისტერ ჰარი 25 წელიწადია, მწვრთნელად მუშაობს. ის ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ავტორიტეტული საფეხბურთო მოღვაწეა. აღნიშნული ჯილდო მიღებული აქვთ ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდებს - სელ **ალექს ფერგიუსონს**, სერ **ბობი ჩარლტონს**, სერ **სტენლი მეტიუზსა** და **დენის ლოს**. რედნაპს თებერვალში, ყოველწლიურ საქველმოქმედო ლონისძიებაზე დააჯილდოებენ. საღამოს ორგანიზატორი, ტრადიციულად, ბრიტანეთის საფეხბურთო საზოგადოება იქნება. შეგროვილი თანხა ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ტრავმირებული ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისური ტრანსფერები

# ძოლა გადადგომით იმუქრება

## კოლო ტურე 10 მილიონად და ჩელსის მორიგი პორტუგალიური სამიზნე




ჯანფრანკო ძოლა ვესტ ჰემს ნამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლონდონის დატოვებით იმუქრება

"ბლექბერნის" პარაგვაელი თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** აპირებს, გუნდის მთავარ მწვრთნელ **სემ ელერდაისს** შეხვდეს, რათა გუნდიდან წასვლის შესაძლო ვარიანტი განიხილოს. როკეს კონტრაქტი "ვარდებთან" 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. ის ესპანურ პასპორტსაც ფლობს. პარაგვაელი ევროკავშირის ქვეყნებში ლეგიონერად არ ითვლება, რაც ნებისმიერ ევროპულ კლუბს აძლევს ხელს.

"ჩელსის" "ნაპოლის" 21 წლის ცენტრალური ნახევარმცველის, სლოვაკი **მარეკ ჰამშიკის** შეძენა უნდა. 21 წლის მოთამაშეს იტალიურ კლუბთან ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს. მისი ფასი 14 მილიონი გირვანქაა. "არისტოკრატებს" მოთამაშის ხელში ჩაგდება იანვარში სურთ, რაზეც "ნაპოლის" ხელმძღვანელობა უარსაა. ფეხბურთელს იტალიაში უკვე რამდენიმე უსიამოვნება შეემთხვა. ცოტა ხნის წინ მას მანქანა მოჰპარეს, რის გამოც ალბათ უარს არ იქნება, გამოიცვალოს გარემო.

"ჩელსიმ" ისიც დაადასტურა, რომ "მიდლსბროდან" **ტუნჯაი სანლის** შეძენა სურს და საამისოდ 8 მილიონი გირვანქა გაამზადა. თურქ ფეხბურთელს ხელშეკრულება 2011 წელს უმთავრდება. იმასაც გეტყვით, რომ „ვალენსიის" 28 წლის პორტუგალიელ მცველ **მიგელს** კლუბის დატოვება სურს. „დეილი მირორის" ცნობით, ამ ბიჭზეც „ჩელსის" უჭირავს თვალი. „არისტოკრატებმა" ესპანურ გრანდს თანხის დასახელება სთხოვეს. ფეხბურთელი 8-10 მილიონ ევრომდე ეღირება. საინტერესოა, რომ ლონდონელებს უკვე ჰყავთ ორი პორტუგალიელი მარჯვენა მცველი - **პაულუ ფერეირა** და **ჟოზე ბოსინგვა**.

მადრიდის „რეალს" მარჯვენა ნახევარმცველი სჭირდება. მთავარი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** დირექტორებისგან კვალიფიციური ფეხბურთელის შეძენას ითხოვს. „დეილი მეილი" იუწყება, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი** „ვიგანთან" მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. მას ეკვადორელი **ლუის ანტონიო ვალენსია მოსკერას** შესახებ ინფორმაციის მოგროვება სურს. მოსკერა 23 წლისა. მისი ინგლისური კონტრაქტი 2011 წელს იწურება. ფეხბურთელი დაახლოებით 13-15 მილიონი ევრო ღირს.

"მიდლსბრომ" დაადასტურა, რომ დაინტერესებულია "ჯენოას" ბელგიელი ვარსკვლავის, 21 წლის მარჯვენა მცველ **ანტონი ვანდენ ბორეს** გადაბირებით. ფეხბურთელის გენუური ხელშეკრულება 2012 წელს იწურება. ანტონის ფასი, დაახლოებით, 4 მილიონი გირვანქაა. მიიჩნევა, რომ ვანდენ ბორე ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული განაპირა მცველია დღევანდელ ევროპაში.

"პორტსმუთი" ჯერ კიდევ განიხილავს **დევიდ ჯეიმსის** "ტოტენჰემში" გადასვლის შესაძლებლობას. მართალია, ფეხბურთელის ამას გამორიცხავს, მაგრამ **ჰარი რედნაპის** სიჯიუტის ამბავი ყველასათვის ცნობილია. „პორტსმუთი" თავს იზღვევს. მან ჯეიმსის შემცვლელის ძებნა დაიწყო. ინგლისური კლუბი "ლე მანის" 26 წლის კარის დარაჯ **იოან პელეს** უთვალთვალებს. ამ ფეხბურთელით, დიდი ხანია, დაინტერესებულია "რომაც".

მოგეხსენებათ, „პორტსმუთმა" **ლასანა დიარა** „რეალს" მიჰყიდა. **ტონი ადამსი** დიარას შემცვლელს ეძებს. მან „სელტიკისა" და შოტლანდიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **სკოტ ბრაუნს** დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი გლაზგოურ კლუბში 2007 წლის ზაფხულში, „ჰიბერნიანიდან" გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელს დღევანდელი ხელშეკრულება 2012 წელს უმთავრდება. „სელტიკს" მისი ტრანსფერის გაგონებაც არ სურს. მაგრამ გააჩნია, როგორი იქნება შეთავაზება. „პორტსმუთს" ფული აქვს. მან დიარას ტრანსფერით 20 მილიონი გირვანქა გააკეთა.

"ლივერპულს" "ტოტენჰემთან" ერთი ეშმაკური გარიგება აქვს ჩაფიქრებული. მერსისაიდელებს ლონდონში **ჯერმეინ პენანტის** გაშვება და იქიდან **აარონ ლენონის** შეძენა სურთ. პენანტის კონტრაქტი სეზონის ბოლოს მთავრდება. ლენონს "მამლებთან" შეთანხმება 2012 წლამდე აკავშირებს. ბუნებრივია, ენფილდელებს სერიოზული თანხის დამატება მოუწევთ. გარიგების შემთხვევაში, "ლივერპული" 12 მილიონ გირვანქას დაამატებს. ჰარი რედნაპს არ გაუჭირდება აარონთან განშორება, რადგან გუნდში მასზე არანაკლებ ნიჭიერი მარჯვენა ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი** ჰყავს. რედნაპს "მიდლსბროს" მარცხენა ნახევარმცველის, 24 წლის **სტიუარტ დაუნინგის** ყიდვაც უნდა. ამ უკანასკნელს რივერსაიდელებთან ხელშეკრულება 2013 წელს უმთავრდება. ის 10 მილიონი გირვანქა ღირს...

რუსული პრესა ამტკიცებს, **სტიპე პლეტიკოშა** მოსკოვის „სპარტაკის" ერთგულიაო, თუმცა დასავლეთ ევროპაში მისი ტრანსფერი მაინც სავსებით რეალურია. იტალიური პრესის ცნობით, პლეტიკოშათი „მილანი" დაინტერესდა. ბრიტანული გაზეთები კი გვაუწყებენ, რომ ხორვატი გოლკიპერის შეძენა „ტოტენჰემსა" და „სელტიკს" სურთ.

„ვესტ ჰემის" გასაჭირის შესახებ ყველასათვის ცნობილია. სავარაუდოდ, „ჩაქუჩებს" წამყვანი ფეხბურთელების - **რობერტ გრინის, სკოტ პარკერის, კირონ დაიერისა** და **კრეიგ ბელამის** გაყიდვა მოუწევთ. **ჯანფრანკო ძოლა** იმუქრება, რომ ერთი ვარსკვლავის აბარგების შემთხვევაშიც კი დაუყოვნებლივ გადადგება. ერთი სიტყვით, კლუბის დირექტორები ორ ცეცხლს შუა არიან. ბელამის შეძენა „ტოტენჰემს", „ასტონ ვილასა" და „სელტიკს" სურთ. კრეიგი „სელტიკის" შემადგენლობაში ადრეც თამაშობდა.

„მანჩესტერ სიტი" „არსენალს" 27 წლის ცენტრალურ მცველ **კოლო ტურეში** 10 მილიონ გირვანქას სთავაზობს. თავის მხრივ, „არსენალი" **ტომაშ როსიცკისა** და **ფრანსესკ ფაბრეგასის** შემცვლელებს ეძებს და რამდენიმე ფეხბურთელს დაადგა თვალი. საუბარია ვილიარეალელი **მარკოს სენას**, ბარსელონელი **იაია ტურესა** (კოლო ტურეს უმცროსი ძმა) და უდინეზელი **გიოქჰან ინლერის** შეძენაზე. რა თქმა უნდა, „არსენალს" მხოლოდ ერთი მათგანის გადაბირება სურს.

„ტვენტეს" განაპირა თავდამსხმელი **ელერო ელია** რამდენიმე ინგლისური კლუბის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის. ლაპარაკია, რომ მისით დაინტერესებულნი არიან „ევერტონი" და „მიდლსბრო". ჰოლანდიური „დე ტელეგრააფის" ცნობით, ელეროს გადაბირება უნდა „აიაქსსაც". ამბობენ, რომ რამდენიმე დღის წინ სამხრეთი ჰოლანდიის ქალაქს მიუნხენის „ბაიერნის" დელეგაციაც სტუმრობდაო.




დიეგოს იტალიაში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, ბრაზილიელმა ტურინში პაველ ნედვედი უნდა შეცვალოს

იტალიური ტრანსფერები

# დიეგო ნედვედის შემცვლელად?

## ინტერი სუპერთავდამსხმელს ეძებს, მილანმა როლფესს დაადგა თვალი

„იუვენტუსში" **პაველ ნედვედის** პოტენციური შემცვლელი ბუნდესლიგაში თამაშობსო, - წერს „ტუტოსპორტი". იტალიური გამოცემა, რა თქმა უნდა, „ვერდერის" ბრაზილიელ გამთამაშებელ **დიეგოს** გულისხმობს. ბრემენელთა ლიდერს გერმანული კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. ფეხბურთელი 25 მილიონ ევროდაა შეფასებული.

„ბებერი ქალბატონი" მზადაა, „ტოტენჰემს" **ვინჩენცო იაკვინტა** (29 წლის, კონტრაქტი 2012 წლამდე, ფასი 13 მილიონი ევრო) და 7 მილიონი ევრო შესთავაზოს ხორვატიის ნაკრების გამთამაშებელ **ლუკა მოდრიჩის** (23 წლის, კონტრაქტი 2014 წლამდე, ფასი 20 მილიონი ევრო) სანაცვლოდ. იაკვინტასთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ მას „არსენალსა" და „ზენიტშიც" ეპატიჟებიან.

არ ცხრება ჭორები „ბიანკონერის" სხვა ინტერესებზეც. ამბობენ, რომ ტურინელებს „ვესტ ჰემის" შვეიცარიელი ნახევარმცველი **ვალონ ბეჰრამი** (23 წლის, კონტრაქტი 2013 წლამდე, ფასი 8.5 მილიონი ევრო) სურს. ვრცელდება ხმები ბეჰრამით „რომასა" და „ჩელსის" დაინტერესებაზეც.

„ლევერკუზენის" 20 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **რენატო აუგუსტომ**, ვისი ყიდვაც ზაფხულის ტრანსფერებისას „პალერმოს" სურდა, „ინტერის" სკაუტების ყურადღება მიიპყრო. რენატოს გერმანული კონტრაქტი 2013 წელს მთავრდება. ის 12 მილიონი ევრო ღირს. „ინტერი" თავდასხმის გაძლიერებასაც აპირებს. სასურველი ფეხბურთელების სიაში მხოლოდ სუპერვარსკვლავები არიან. ტაბლოიდების მტკიცებით, **ჟოზე მოურინიოს** ჩელსელი **დიდიე დროგბას** (30 წლის, კონტრაქტი 2010 წლამდე, ფასი 35 მილიონი), ჰოფენჰაიმელი **ვედად იბიშევიჩის** (24 წლის, კონტრაქტი 2010 წლამდე, ფასი 12 მილიონი), ან არსენალელი **ემანუელ ადებაიორის** (24 წლის, კონტრაქტი 2012 წლამდე, ფასი 25 მილიონი) შეძენა სურს.

„მილანი" კვლავ **ჯენარო გატუზოს** შემცვლელს ეძებს. მოგეხსენებათ, „როსონერის" წამყვანმა ნახევარმცველმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. მილანელებს „ლევერკუზენიდან" **სიმონ როლფესის** იჯარით გადაყვანა სურთ. გერმანული კლუბი იჯარას, შეიძლება, არ დათანხმდეს. ასეთ შემთხვევაში იტალიელები „ფარმაცევტებს" 10 მილიონ ევროს მიუთვლიან.

აქვე ახალი ამბები სხვა იტალიური კლუბების ბანაკებიდან: „ტორინოს" წამყვანმა თავდამსხმელმა **რობერტო სტელონემ** შეიძლება „ჯენოაში" ამოყოს თავი. ის 31 წლისაა. მისი ტურინული კონტრაქტი 2009 წელს იწურება. სტელონე 1.5 მილიონი ევრო ღირს. გარიგების შემთხვევაში, „ტორინოში" გენუელთა 24 წლის მარჯვენა მცველი **ალესანდრო პოტენცა** ჩაირიცხება.

„ფიორენტინის" მარჯვენა ნახევარმცველ **ფრანკო სემიოლით** (28 წლის, კონტრაქტი 2011 წლამდე, ფასი 5 მილიონი ევრო) „ჯენოა", „ტორინო" და „რომა" დაინტერესდნენ. ტოსკანელებისთვის ოფიციალური წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს. ამასობაში, ფლორენციელთა 21 წლის ფორვარდმა **არტურო ლუპოლიმ** სამსახურის შეცვლა გადაწყვიტა. ის ინგლისის ჩემპიონშიფის აუტსაიდერ „ნორვიჩშია" განათხოვრებული. იტალიური გაზეთების ცნობით, ლუპოლი „სამპდორიას" სურს. გენუელებმა „ფიორენტინას" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს.

„გაძეტა დელო სპორტი" ვარაუდობს, რომ **ნიკოლა ვენტოლა** „ტორინოს" დატოვებს. ტურინელებმა მისი შემცვლელი უკვე იპოვეს. მის ადგილზე „ემპოლის" 22 წლის თავდამსხმელი **ნიკოლა პოცი** ითამაშებს. ვენტოლას ტოსკანური კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ის შედარებით იაფი, 2.8 მილიონი ევრო ღირს. იტალიური გაზეთები ნიკოლათი დაინტერესებული კლუბების თაობაზე არაფერს წერენ.

საინტერესო ინფორმაცია: „ჯენოას" ერთბაშად ორი პელეს ყიდვა სურს. „ტუტოსპორტის" ცნობით, საუბარია „პორტუს" 21 წლის საყრდენ ნახევარმცველ (კონტრაქტი 2012 წლამდე, ფასი 5 მილიონი ევრო) **ვიტორ უგო გომეშ პაკოშ პელესა** და „ლე მანის" კარის დარაჯზე, რომელსაც გაცილებით მარტივი სახელი, **იოან პელე** (26 წლის, კონტრაქტი 2009 წლამდე, ფასი 4.5 მილიონი ევრო) ჰქვია. გენუელთა გარდა, ფრანგ მეკარეს „რომაც" აკვირდება. „ჯენოა" და „ლაციო" სერია B-ში მოასპარეზე „პიზის" 26 წლის ფრანგი ფეხბურთელით, **გაელ ჟენევიევითაც** დაინტერესდნენ. სეზონის ბოლოს ის თავისუფალი აგენტი ხდება.

„კიევო", „ბოლონია", „პალერმო" და „უდინეზე" „ლანუსის" 26 წლის ცენტრალური მცველის **კარლოს დარიო კინტანას** (ფასი 4 მილიონი ევრო) ყიდვას ცდილობენ. ვერონელებს სურთ, იანვრის ტრანსფერებისას ფეხბურთელს საიჯარო კონტრაქტი გაუფორმონ, სეზონის ბოლოს კი საბოლოოდ გამოისყიდონ. „კიევოს" პრეზიდენტი **ლუკა კამპედელი** სამხრეთამერიკელის წარმომადგენელს უკვე შეხვდა.

„ნაპოლის" ხელმძღვანელობა პარმელთა საყრდენი ნახევარმცველის, **მაკდონალდ მარიგას** (21 წლის, კონტრაქტი 2012 წლამდე, ფასი 3.5 მილიონი ევრო) შეძენას აპირებს. საინტერესოა, რომ ამ ბიჭს „მილანმაც" დაადგა თვალი. „პალერმოს" „ტულუზის" მარცხენა მცველის, **ჟერემი მატიოს** (25 წლის, კონტრაქტი 2009 წლამდე, ფასი 4 მილიონი ევრო) დაბევება უნდა. მატიოს „რომა", „ინტერი" და „პალერმოც" სთავაზობენ თანამშრომლობას.

არგენტინის ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი **რობერტო ფაბიან აიალა** (115 თამაში „ალბისელესტეში"), შეიძლება, იტალიაში დაბრუნდეს. ვეტერანი ვარსკვლავის მენეჯერებმა „ლაციოს" პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს** მისი შეძენა სულ რაღაც ერთ მილიონ ევროდ შესთავაზეს. ამჟამად აიალა სეგუნდა დივიზიონის „სარაგოსაში" თამაშობს. მას არაგონული კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. აიალა კლუბის ხელმძღვანელობას უკვე მოურიგდა, რომ მას ტრანსფერზე დააყენებენ და სიმბოლურ ფასში გაყიდიან.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — იკერ კასილიასი

# მანდელა არ ვარ, რომ საკაცობრიო პრობლემები მოვაგვარო

## სამეფო კლუბის გოლკიპერს სჯერა, რომ წელს მისი გუნდი მეათე თასს დაეუფლება

**შობისა** და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით ესპანურ პრესაში ესპანური ფეხბურთისა და ზოგადად სპორტის ვარსკვლავების ვრცელი ინტერვიუების გამოქვეყნება დიდი ხნის ტრადიციაა. პრაქტიკულად არ დარჩენილა გაზეთი, რომ ამა თუ იმ ვარსკვლავის ინტერვიუ არ გამოექვეყნებინა. „დიარიო სპორტმა“ იკერ კასილიასზე გააკეთა არჩევანი და ერთგვარი წლის შემაჯამებელი ინტერვიუ შემოგვთავაზა. იკერი 2008 წელს ისტორიულსა და უაღრესად წარმატებულს უწოდებს, მაგრამ იმედი აქვს, რომ 2009 წელი არანაკლებ სასიხარულო იქნება. სამეფო კლუბის გოლკიპერს დიდი იმედი აქვს, რომ მომავალ წელს „რეალი“ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევს, ანუ ჩემპიონთა თასს მეათედ დაეუფლება.



**- იკერ, საშობაო სურვილად რა ჩაიფიქრე?**

- როგორც ყოველთვის, იმედი მაქვს, რომ ახალი წელი გასულ წელზე უკეთესი და წარმატებული იქნება, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი ოჯახია. ამის გათვალისწინებით, უპირველესი საახალწლო სურვილი ჩემი ახლობლების კეთილდღეობა და ჯანმრთელობაა. პროფესიულ ასპარეზსს რაც შეეხება, აქაც ყველაფერი უცვლელადაა. მე, როგორც მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ მომავალ წელს გულშემატკივრებთან ერთად ტიტულების მოპოვებით გავიხარო. ჩვენ ამისათვის ყველა პირობა გვაქვს. იმედია, ტრავმირებული ფეხბურთელები მალე გამოჯანმრთელდებიან და შედეგებს გამოვასწორებთ. პრიმერა დივიზიონში ლიდერს ძალიან დიდი სხვაობით ჩამოვრჩებით. უნდა ვაღიარო, რომ ესპანეთის პირველობაზე სიტუაციის გამოსწორება საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ ბრძოლას ბოლომდე არ შევწყვეტთ. აი, ჩემპიონთა ლიგაში კი ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

**- „ლივერპულზე“ რას ფიქრობთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მერსისაიდელები ახლა თქვენზე ბევრად კარგ ფორმაში არიან?**

- შესაძლოა, „ლივერპული“ ახლა ჩვენზე ძლიერად გამოიყურებოდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ფლეი ოფი თებერვლის ბოლოს გაიმართება. წინ ძალიან დიდი დრო გვაქვს. მართალია, რუუდ ვან ნისტელროისა და მაჰამადუ დიარასთვის სეზონი დასრულებულია, მაგრამ სხვა ტრავმირებული მოთამაშეები დაგვიბრუნდებიან და თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ. მოკლედ, ღრმად მწამს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. „ლივერპული“ რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს, თუ ჩვენ საუკეთესო ფორმაში ვიქნებით, მომდევნო ეტაპზე გასვლას ვერ შეძლებს. ეს გამორიცხულია.

**- თქვენი საახალწლო სურვილები ოჯახსა და „რეალს“ არ სცილდება?**

- სამწუხაროდ, ნელსონ მანდელას გაქანება არ მაქვს, რომ საკაცობრიო პრობლემების მოსაგვარებლად ვიბრძოლო, თუმცა ის კი ნამდვილად ვიცი, რომ მსოფლიოსთვის მშვიდობა და კეთილდღეობა მინდა. მოდით, ერთად ვისურვოთ, რომ მომავალი 2009 წელი მთელი მსოფლიოსთვის ბედნიერი და მშვიდობიანი ყოფილიყოს.

**- საინტერესოა, მსოფლიო პრობლემატიკას რამდენად კარგად იცნობთ?**

- სამწუხაროდ, დრო არ მყოფნის იმისთვის, რომ ამა თუ იმ პრობლემას სიღრმისეულად გავეცნო და ჩემი შეხედულება შევიქმნა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრ ინფორმაციას საერთოდ არ ვფლობ, მაგრამ როცა მეუბნებიან, რომ რომელიმე ქვეყანაში ადამიანებს უჭირთ, მათ დახმარებაზე უარს არასოდეს ვამბობ. დროს ყოველთვის ვნახულობ იმისთვის, რომ საქველმოქმედო შეხვედრაში მივიღო მონაწილეობა და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს მეტნაკლებად მაინც შევუმსუბუქო ყოფა. მაგალითად, ამასწინათ, მალარიის საწინააღმდეგო აქციაში მივიღე მონაწილეობა. სამუელ ეტოოც თამაშობდა. სხვათა შორის, „ბარსას“ ფორვარდს ელ კლასიკოს შემდეგ კიდევ ერთი პენალტი ავუღე. რა თქმა უნდა, მესმის, რომ საქველმოქმედო აქციების ჩატარება საკმარისი არ არის, მაგრამ როცა ჩემნაირ ადამიანს მეტი გაქანება და ძალა არ აქვს, ვერაფერს მოახერხებ.

**- რას ნიშნავს, ძალის არქონა?**

- იმედია, ძალიან კომუნისტურად არ გამომივა, მაგრამ თუ ადამიანი მართლა ქველმოქმედი, ქრისტიანი და უბრალოდ გულკეთილია, გაჭირვებულების დასახმარებლად მთელ ქონებას ხარჯავს. გულწრფელად და ხმამაღლა ვამბობ, რომ ამის ძალა არ მაქვს. კომფორტული ცხოვრება იმდენად მიყვარს და მივეჩვიე, რომ მთელ შემოსავალს ქველმოქმედებაში ვერ დავხარჯავ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს რეალობაა.

**- კარგი, მოდით, საფეხბურთო თემატიკას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, 2008 წელი ყველაზე წარმატებული იყო თქვენს კარიერაში?**

- ამ სეზონის დავიწყება უბრალოდ შეუძლებელია. ჯერ „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა. შემდეგ ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გავხდი. ეს არის საოცარი წელი, რომელიც მარადიულად იცოცხლებს ჩვენს გულებში. სხვათა შორის, ევრო 2008-ზე ჩასვლისთანავე ითქვა, რომ ესპანეთის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, მაგრამ მე ასეთი ფორმულირების წინააღმდეგი ვიყავი. ალბათ, გახსოვთ, ყოველი ტურნირის წინ აცხადებდნენ, ესპანელებს არაჩვეულებრივი გუნდი ჰყავთ და ჩემპიონობის ფავორიტები არიანო. ასეთი თამამი შეფასებისა და პროგნოზის მიუხედავად, სისტემატურად ხელმოცარულები ვრჩებოდით. რა დაგიმალოთ, არ მინდოდა, წელსაც ხელმოცარულები დავბრუნებულიყავით შინ. მეშინოდა, რომ ტრადიციული უიღბლობის მსხვერპლი გავხდებოდით, მაგრამ ამ ზაფხულს ყოველგვარ მოლოდინს გადავაჭარბეთ და ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიეთ. ჩემთვის ამაზე დიდი წარმატება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა შეიძლება იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ვისენტე დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით ჩვენ ამასაც შევძლებთ. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წამყვანი ფეხბურთელები ტრავმებისგან დაცული იქნებიან, მუნდიალზე გამარჯვების საუკეთესო შანსი გვექნება.

**- როდის იწამეთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება შეგეძლოთ?**

- პირველივე დღის შემდეგ. რუსები მინასთან გავასწორეთ, არადა, მათ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ. ჩვენთვის მიზანი ცხადი იყო, ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ ფინალამდე მაქსიმალურად მარტივად და იოლად მივსულიყავით. სიმარტივეში თავისუფალ და დაუძაბავ თამაშს ვგულისხმობ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ფინალამდე მეტ-ნაკლებად დასვენებული და ჯანმრთელი მივსულიყავით. შეიძლება ითქვას, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ. მართალია, დავიდ ვილიამ ტრავმა მიიღო, მაგრამ ამას ჩვენთვის ჩემპიონობის მოპოვებაში ხელი არ შეუშლია.

**- რუსეთის ნაკრებთან გამართული პირველი შეხვედრა მართლაც დაუვიწყარია.**

- გამოგიტყდებით, მეგონა, რომ ადვოკატი არაგონესს ძალიან უსიამოვნო სიურპრიზს მოუწყობდა და ტურნირს ძალიან ცუდად დავიწყებდით. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. დაგეთანხმებით, მეც სწორედ იმ შეხვედრის შემდეგ ვიფიქრე, რომ ჩემპიონობის შანსი გვქონდა.

**- მოდით, კიდევ ერთხელ გაიხსენეთ, რის ხარჯზე დაამარცხეთ რუსეთის ნაკრები და რითი გააოცეთ მთელი საფეხბურთო სამყარო?**

- მხოლოდ რუსების დამარცხებაზე საუბარი არ იქნება მართებული. უბრალოდ, რუსეთის ეროვნული გუნდი ჩვენი პირველი მსხვერპლი გახდა. გამარჯვების მიზეზი მარტივია, ესპანეთს უფრო კარგი ფეხბურთელები და მწვრთნელი ჰყავდა, თუმცა შეიძლება ბევრად უკეთესი გუნდი გყავდეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგო. მოკლედ, სელექსიონში თამაშის ორგანიზების თვალსაზრისითაც ყველაფერი რიგზე იყო. მადლობა ღმერთს, მომდევნო პაექრობებიც ძალიან მაღალ დონეზე გავმართეთ და საქმე ესპანეთის ნაკრების ჩემპიონობით დასრულდა.

**- იკერ, ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტად რომელი გუნდის წინააღმდეგ გაგიჭირდათ თამაში?**

- რა თქმა უნდა, იტალიის. მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, იტალიელებმა ძალიან ბევრი გვანერვიულეს. ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, გოლი გაგვეშვა და ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. მახსოვს, კამორანეზიმ ძალიან სახიფათოდ დამირტყა. ღვთის დახმარებით ის დარტყმა მოვიგერიე. არადა, რომ გამეშვა, დარწმუნებული ვარ, მთელი იტალია მათი მთავრობის მეთაურობით დაცვაში ჩადგებოდა და გოლს ველარ გავიტანდით.

**- იტალიელებთან თამაში, მართლაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობასა და წინდახედულობას მოითხოვს. თამაშის მსვლელობისას არ გქონიათ ცდუნება, რომ თავზე ხელი აგელოთ და მათთვის დიდი ძალებით შეგეტიათ?**

- არ ვიცი, მე კარში ვიდექი, მაგრამ მწვრთნელი ამის უფლებას არ მოგვცემდა. ყველას გვესმოდა, რომ იტალია დაცვაში მწვავე კონტრიერიშების მოწყობის იმედად იჯდა. ჩვენ რომ დიდი ძალებით შეგვეტია, ისინი კონტრშეტევაზე აუცილებლად გამოგვიჭერდნენ და სასტიკად დაგვსჯიდნენ. ასე რომ, არა მგონია, რომელიმე ესპანელს ცეცხლთან თამაშის ცდუნება ჰქონოდა.

**- იტალიის ნაკრებს სელექსიონი ყველა პარამეტრით სჯობდა, მაგრამ აპენინელების მაინც თითქმის მთელ ესპანეთს ეშინოდა. რა გახდა ამის მიზეზი?**

- პირადად მე მათი არ შემშინებია, თუმცა ძალიან კარგად მესმის იმ ხალხის ვისაც იტალიელთა შიშს ვერაფერი მოუხერხა. სკუადრა აძურას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ალბათ, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ იტალიელებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და რთულად დასამარცხებელი გუნდი ჰყავთ. ამ ყველაფრის გამო სრულიად ბუნებრივია, რომ გულშემატკივრებს აპენინელების ეშინოდათ, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენ მათ მართლაც ყველა პარამეტრით ვაჯობეთ და სამართლიანად გავედით ნახევარფინალში.

**- სადაც, ისევ რუსეთის ნაკრებს შეხვდით...**

- დიახ. რუსებს ისევ მარტივად მოვუგეთ. ყოველ შემთხვევაში, იტალიელებთან გაცილებით უფრო რთული მატჩი გვქონდა. მას შემდეგ, რაც იტალიური დაბრკოლება გადავლახეთ, დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობას ველარავინ შეგვეცილებოდა. რუსეთის ნაკრებს ნახევარფინალში ერთი ამოსუნთქვით მოვუგეთ.

**- გერმანიასაც?**

- არ დაგიმალავთ, გერმანიას გაცილებით დიდ პატივს ვცემდი, ვიდრე რუსეთს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ გერმანელები ვერ დაგვამარცხებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბრძოლო განწყობა და ის ოპტიმიზმი, რომლითაც მოედანზე გავედით. ეს ოპტიმიზმი წამითაც არ ჩამქრალა. არადა, მატჩი ძალიან დაძაბული და რთული გამოდგა.

**- როგორც მახსოვს, ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ იბისას მერიამ დიდი პატივი გცათ და ფეშენებელურ სასტუმროში დაგასვენათ...**

- ეს იყო დიდი შრომისა და გამარჯვების საუკეთესო კომპენსაცია. ცხოვრებაში ასე კარგად არ დამისვენია. ყველაფერი მქონდა, რაზეც შეიძლება ადამიანმა იოცნებოს. ისიც კი მქონდა, რასაც ჩვენი ფანტაზია ვერ წვდება. გაოცებული ვიყავი. პირადი იახტა და კაპიტანი გამომიყვეს. შუა ზღვაში გავდიოდით და ფეხბურთელები ჩვენ-ჩვენი იახტებით ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. საოცარი გრძნობები გვეუფლებოდა. ძალიან მაგარი დრო გავატარეთ. იბისას მერიას ამისთვის კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი.

**- დასასრულს ისევ შობაზე გკითხავთ. შვებულებას სად გაატარებთ?**

- ჩემი წინაპრების სოფელში მინდა ჩასვლა. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მაქვს, შვებულება ხანმოკლეა. ამიტომ, შორეულ ქვეყანაში წასვლას ალბათ, ვერ მოვასწრებ, თუმცა თუ თავში დამარტყამს გადაწყვეტილებას შევცვლი და სადმე გავფრინდები. ისე, კაცმა რომ თქვას, ახლა ზღვაში ცურაობა ძალიან სასიამოვნო იქნება. მეორე მხრივ, თხილამურებზე დადგომაც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ ასეთი გართობა აკრძალული მაქვს. თხილამურით ფეხი რომ მოვიტეხო, გუნდის ხელმძღვანელობა ტყავს გამაძრობს (იცინის).

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ოლივერ კანი

# ცუდი ბიჭი არასდროს ვყოფილვარ

**2008 წელი გერმანული ფეხბურთისთვის მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლით როდი იყო გამორჩეული. წელს კარიერა ისეთმა გიგანტმა დაასრულა, როგორიც ოლივერ კანია. ტიტანის წასვლით, გერმანულ ფეხბურთში უდიდესი ერა დასრულდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ოლის წლის მიწურულს „შპორტ აინსმა" ჩამოართვა.**

**- ჰერ კან, თუ გახსოვთ ის მომენტი, როდესაც გადაწყვიტეთ, რომ ფეხბურთელი, მეკარე უნდა გამხდარიყავით და იქნებ გაიხსენოთ, რამ გადაგაწყვეტინათ ფეხბურთელობა?**

- საერთოდ ისეა ხოლმე, რომ როდესაც სკოლაში ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ, კარში იმას აყენებენ, ვინც ყველაზე უნიჭოა. მინდა გითხრათ, რომ მე საკმაოდ ნიჭიერი ვიყავი და მაშინაც, როცა კარში არ ვიდექი, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი. ერთხელ, შობაზე ბაბუამ ზეპ მაიერის ფორმა მაჩუქა. მაშინ ვთქვი, მოდი, კარში ჩავდგები-მეთქი და მას მერე, 30 წლის განმავლობაში კარში ვიდექი.

**- ვინ იყო თქვენთვის მიბაძვის ობიექტი?**

- მამაჩემი, რომელიც ფეხბურთსაც თამაშობდა და მოგვიანებით მწვრთნელი გახდა. ძალიან კარგი იყო ის, რომ მამას წნეხის ქვეშ არასდროს მოვუქცევივარ და ჩემი, როგორც ფეხბურთელის განვითარებას არასერიოზულად უყურებდა. ყოველთვის მეუბნებოდა, სკოლა და უნივერსიტეტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფეხბურთიო.

**- მამის გარდა ვინ გაძლევდათ მოტივაციას?**

- რა თქმა უნდა, ვინფრიდ შეფერი, რომელიც ჩემი პირველი მწვრთნელია. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „კარლსრუეში" ჩატარებული პირველი თამაში ნამდვილი კატასტროფა იყო. სადებიუტო მატჩში ძალიან ცუდად ვითამაშე.

**- ხშირად ამბობენ, მეკარეები და მარცხენა მცველები სხვანაირი ხალხიაო. ეს მართალია?**

- მარცხენა მცველი არასდროს ვყოფილვარ, მეკარეები კი მართლაც სხვანაირები არიან. მათ ხშირად ზედმეტი თავდაჯერებულობა ახასიათებთ და ნამდვილი გოლკიპერი ყოველთვის ყველა მოთამაშეზე მოტივირებულია.

**- თქვენს კარიერაში ხშირად იყო მომენტები, როდესაც თანაგუნდელებს თქვენთვის ერთი სიტყვის თქმაც კი ეკრძალებოდათ...**

- მთლად ასეც არ ყოფილა, ერთი ან ორი სიტყვის თქმა ყოველთვის ყველას შეეძლო. უბრალოდ, იყო შემთხვევები, როდესაც თანაგუნდელებს ვეუბნებოდი, სანამ რამეს მეტყვით, რამდენჯერმე დაფიქრდით, ღირს თუ არა ამის თქმა-მეთქი. ისე კი, დღესდღეობით მედიისგან წამოსული ზეწოლა იმდენად მძიმეა, რომ ფეხბურთელები ხშირად ვერ ამბობენ იმას, რისი თქმაც სურთ. ეს იმიტომ, რომ მათ ეშინიათ, არ თქვან ისეთი რამ, რაც არასწორად აღიქმება. ეს კი ძალიან ცუდია. სამწუხაროდ, დღეს უკვე აღარ არსებობენ ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც კრიტიკის და ზოგადად პრესის არ ეშინიათ. შტეფან ეფენბერგის, მარიო ბასლერისა და მათიას ზამერის ტიპის მოთამაშეებს ვგულისხმობ.

**- თავის დროზე „ბაიერნმა" „კარლსრუეს" თქვენს სანაცვლოდ 4.5 მილიონი ევრო გადაუხადა. იმ დროისთვის კი ეს ძალიან დიდი ფული იყო...**

- არა, 3.5 მილიონი გადაიხადეს. ეს ზუსტად ვიცი. სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსოვს ფრანც ბეკენბაუერის სიტყვებიც, რომელმაც მაშინ თქვა, ხომ არ გაგიჟდით, მეკარეში ამდენ ფულს როგორ იხდითო...

**- საიდან მოდის თქვენი შემართება და ე.წ. „კანის ფილოსოფია", რომელიც შემდეგს გულისხმობს: „არცერთი ნაბიჯი უკან!"**

- ეს ფილოსოფია მე ვინფრიდ შეფერისგან და მერე ოტმარ ჰიტცფელდისგან მივიღე. ამ მწვრთნელებმა ჩემს პროგრესში უმთავრესი როლი შეასრულეს. ჰიტცფელდი უფრო მაღალი კალიბრი იყო და თამამად ვიტყვი, რომ ოტმარის წინაშე ყოველთვის მოვიხრი ქედს.

**- რა მნიშვნელობა ჰქონდა თქვენს კარიერაში ული ჰიონესს?**

- ული ჰიონესი ჩემთვის „ბაიერნთან" ასოცირდება. „ბაიერნის" და ჰიონესის გახსენებისას კი თავში მხოლოდ ერთი წინადადება მომდის: „30-წლიანი სიყვარული!" „ბაიერნი" ხომ გარკვეულწილად ული ჰიონესია.

**- როგორ ფიქრობთ, გახდებით ოდესმე მისი შემცვლელი გენერალური მენეჯერის პოსტზე? ან გსურთ კი ეს?**

- ამ თემაზე საუბარი ძალიან დიდი ხანია მიდის. არადა, მე არასდროს მითქვამს, „ბაიერნის" გენერალური მენეჯერობა მინდა-მეთქი. რაც კარიერა დავამთავრე, სულ უფრო ხშირად მეკითხებიან, შესაძლებელია თუ არა ის, რომ გავხდე რეკორდმაისტერის მენეჯერი იმ დროს, როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანია. პირველ რიგში, იმის თქმა მსურს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, გუნდის თავკაცი კლინსმანია თუ ვინმე სხვა. ადრეც ვთქვი, რომ ჩვენს შორის წყენა წარსულს ჩაბარდა. „ბაიერნში" მუშაობა ნებისმიერისთვის დიდი პატივია – მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის ეს არ არის საინტერესო.

**- თვითონ როგორ შეაფასებდით საკუთარ იმიჯს კარიერის დასრულების შემდეგ?**

- თავიდან „ცუდი ბიჭის" იმიჯი მქონდა, ბოლოს კი მთელმა ერმა შემიყვარა, მაგრამ ეს ზოგადად მედიის მიერ შექმნილი იმიჯია. არადა, „ცუდი ბიჭი" არასდროს ვყოფილვარ. ვინც ასე ფიქრობს, ძალიან ცდება.

**- დღევანდელ გერმანიის ნაკრებს როგორ შეაფასებთ?**

- გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ ჯერ ადრეა იმის თქმა, რომ ბუნდესნაკრები მუნდიალზე აუცილებლად ითამაშებს. იოახიმ ლიოვის სამწყსოს წინ კიდევ არაერთი რთული მატჩი ელის. კარგად მახსოვს 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლი, რომლის დაძლევა ძალიან გაგვიჭირდა. როგორც გახსოვთ, ჯგუფიდან პირდაპირ ვერ გავედით და იძულებულები გავხდით, პლეი ოფში უკრაინასთან გვეთამაშა. საბოლოოდ, ფინალურ ეტაპზე მაინც მოვხვდით და მუნდიალის ფინალში ვითამაშეთ...

**- ცოტა ხნის წინ, ლიოვს მიხაელ ბალაკთან და ტორსტენ ფრინგსთან კონფლიქტი ჰქონდა...**

- მოდით, ნუ მივცემთ ამ დაპირისპირებას ასეთ სახეს. გაზაფხულამდე კონფლიქტის შესახებ არც ერთ მათგანს აღარაფერი ეხსომება. ბალაკი გერმანიის ნაკრების განუყოფელი ნაწილია და დღევანდელი ბუნდესგუნდი მის გარეშე ვერ წარმომიდგენია. იგივეს ვიტყოდი ტორსტენ ფრინგსზეც, რომელიც ნაკრებისთვის ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაკრებში ინტეგრირება ძალიან კარგია, მაგრამ ფაქტია, რომ ლიოვს გამოცდილი ფეხბურთელები ძალიან ჭირდება. ამასთან, გუნდში ისეთი მოთამაშეებიც აუცილებელია, რომელიც თავის აზრს თავისუფლად გამოხატავენ.

**- რაც შეეხება მეკარის საკითხს: თქვენი ფავორიტი ყოველთვის რენე ადლერი იყო და დღეს ბუნდესგუნდის კარს სწორედ ადლერი იცავს...**

- ადლერი ნიჭიერი გოლკიპერია, მაგრამ ნიჭი ერთია, ნიჭის გამოყენება კი უფრო მნიშვნელოვანია. თამამად ვიტყვი, რომ დღეს გერმანელ მეკარეებს შორის ადლერი ყველაზე დიდი ნიჭის პატრონია. ინგლისთან მატჩში დაშვებული შეცდომა მას პროგრესში დაეხმარება. ძალიან კარგი მეკარეა შალკელი მანუელ ნოიერიც, მაგრამ მე არ ვარ იმის მომხრე, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდესლიგაში ძალიან კარგად თამაშობენ, ეს ორი კიპერი ვაქოთ და ვადიდოთ. მეკარე მხოლოდ მაშინ ავლენს თავის რეალურ შესაძლებლობებს, როცა ის წნეხის ქვეშ ექცევა. მე თუ მკითხავთ, ტიმ ვიზემაც უდიდესი პროგრესი განიცადა. მიხაელ რენზინგიც უდიდესი ტალანტია. მაგრამ მე ისიც მახსოვს, რომ მასზე, როგორც გერმანიის ნაკრების მომავალ მეკარეზე, ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდნენ, როცა რენზინგი ჩემი შემცვლელი იყო...

**- როგორი იქნება 2009 წელი „ბაიერნისთვის"?**

- რეკორდმაისტერმა სეზონი მძიმედ დაიწყო და მერე, როცა კლინსმანმა ექსპერიმენტებს თავი დაანება და ჰიტცფელდისეულ ტაქტიკას დაუბრუნდა, ყველაფერი გამოსწორდა. კარგია, რომ იურგენმა დროულად შეამჩნია, „ბაიერნში" ექსპერიმენტების გაკეთება რომ არ შეიძლება. მოკლედ, მას მერე ყველაფერი იდეალურადაა – უკეთეს ტაქტიკას უკეთესი შედეგი მოაქვს. ვფიქრობ, „ბაიერნს" არასდროს ჰყოლია დღევანდელზე ძლიერი შემადგენლობა. ფული იმაში ჩაიდო, რომ გუნდმა ფურორი მოახდინოს. რატომ ვერ უნდა გავიდეს რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის ფინალში?

**- და ბუნდესლიგა? „ბაიერნს" „ჰოფენჰაიმი" ნერვებს უშლის...**

- ჰო და ფრანკ რიბერიმ ისიც კი არ იცოდა, სად არის სოფელი ჰოფენჰაიმი... ეს საკმაოდ სასაცილოა, მაგრამ ჩემი აზრით, „ჰოფენჰაიმმა" ბუნდესლიგას უდიდესი ინტრიგა შემატა და მე ძალიან მიხარია, რომ ეს გუნდი არსებობს. ახლა ბავარიელები უმთავრეს კონკურენტებად მხოლოდ „ვერდერს" ან „შალკეს" აღარ მიიჩნევენ. მე მაინც ვფიქრობ, რომ ბოლოს მაინც „ბაიერნი" იზეიმებს, რადგან გამოცდილება ყოველთვის თავისას შვება.

**- და რა მოხდება, „ჰოფემ" სასწაული რომ მოახდინოს?**

- ასეთ შემთხვევაში, ჰიონესი, რუმენიგე და ბეკენბაუერი ძალიან გაბრაზდებიან 2010 წელს კიდევ უფრო მაგარ „ბაიერნს" ვიხილავთ!

**გოტფრიდ ლენცი**



ოლივერ კანი






რეალი

# რამოსმა დიეტა დანიშნა

## ჭარბი ერთი კილოგრამი ხუთიათასიან ჯარიმას ნიშნავს

**საშობაო** არდადეგების დადგომას ფეხბურთელები მოუთმენლად ელიან. რამდენიმე თვიანი მარათონით დაღლილ მოთამაშეებს ერთი სული აქვთ, შვებულებაში წავიდნენ და ცოტა ხნით მაინც დაისვენონ. შობა და ახალი წელი ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დღესასწაულია, ამიტომ როგორც წესი ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვა არ წესდება ხოლმე, მაგრამ **ხუანდე რამოსმა** სამეფო კლუბში მისვლისთანავე გუნდს მკაცრად მოკიდა ხელი და ბევრი რამ შეცვალა. მადრიდული გრანდის მთავარმა მწვრთნელმა შობის წინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან მომთხოვნი და დისციპლინის მოყვარული სპეციალისტია. მან შვებულებაში გასვლამდე ფეხბურთელები დაიბარა და კატეგორიულად დაუსვა საკითხი. ის მოთამაშე, რომელიც წონაში მოიმატებს, მკაცრად დაისჯება.

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ისევ და ისევ ხუანდე რამოსის იმ განცხადებას გაგაცნობთ, რომელიც „დიარიო ასის" ფურცლებზე გამოქვეყნდა: *„მესმის, რომ შობა და ახალი წელი ყველას ახარებს, ამ დღეს მთელი წელი ველოდებით ხოლმე, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და ვერ დავუშვებ, რომ ფეხბურთელები ფორმიდან ამოვარდნენ და იანვრის დასაწყისში წამოზრდილი ღიპებით დამიბრუნდნენ. რამდენადაც ვიცი, „რეალს" ამის მწარე გამოცდილება აქვს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ანტონიო კასანო საშობაო არდადეგებიდან მომატებული ექვის კილოგრამით დაბრუნდა. რონალდომ*

კი თურმე რვა კილო მოიმატა. ასეა, როცა ყოველ დღე ინტენსიურად ვარჯიშობ, მკაცრად განსაზღვრული რაციონით იკვებები და ერთ მშვენიერ დღეს ვარჯიშს წყვეტ და თავისუფლად ჭამ, წონის მომატება გარანტირებული გაქვს. მე ყველა მკაცრად გავაფრთხილე, რომ ერთი გრამის მომატებასაც არავის ვაპატიებ. კეთილი ინებონ და რეჟიმი დაიცვან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალი წლის პირველი შეხვედრები ძალიან მაღალ დონეზე ჩავატაროთ და ქულები მოვიპოვოთ. ამიტომ, ღიპიანი ხალხი არ მჭირდება. ნაკლებად მაინტერესებს, რომ შობას კარგი ღვინო და კარგად შებოლილი ღორის ლორი უხდება. მე შევჭამ, მაგრამ ფეხბურთელებს ჩემზე დიდი ხელფასი აქვთ და თუნდაც მხოლოდ ამის გამო უნდა შეიკავონ თავი."

აღსანიშნავია, რომ ხუანდე რამოსმა შვებულებაში წასვლის წინ ყველა ფეხბურთელი აწონა და ციფრები პირად დღიურში ჩაინერა. არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ, ბიჭებს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მოუწევთ სასწორზე შედგომა და იმის დამტკიცება, რომ მწვრთნელის მითითება პირნათლად შესრულდა. ის, ვინც ხუანდეს ბრძანებას მაინც ფეხებზე დაიკიდებს და გუნდში წონამომატებული დაბრუნდება, პირველსავე ხელფასზე მინუმიმ 5 ათასი ევრო დააკლდება. დიახ, სენიორ რამოსმა ერთი ზედმეტი კილოგრამი ხუთ ათას ევროდ შეაფასა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ჩეზარე პრანდელი

# ფიორენტინა ახალ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ


ჩეზარე პრანდელის სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს

**იტალიაში სეზონის პირველი ნახევარი უკვე არა ერთმა ექსპერტმა შეაფასა. გამოქვეყნდა შემაჯამებელი ინტერვიუები და გაკეთდა დასკვნები. ამასობაში, „გაძეტა დელო სპორტმა" „ფიორენტინისთვისაც" მოიცალა - გუშინდელ ნომერში, ჟურნალისტი გუნდის თავკაცს, ჩეზარე პრანდელის შეხვდა და მისთვის საინტერესო ექვს საკითხზე ჩამოუგდო სიტყვა. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

**- როგორი იყო „ფიორენტინის" ტაქტიკა სეზონის პირველ ნახევარში და რას უნდა ველოდოთ 2009 წელს?**

- ძირითადად, კლასიკურ 4-4-2-ს ვიყენებდით, რაც ალბათ თქვენთვისაც ცნობილია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ტაქტიკა იმ ფეხბურთელების მიხედვით უნდა შეარჩიო, რომლებიც შენს განკარგულებაში არიან. ამ ეტაპზე, „ფიორენტინას" ორი გამორჩეულად ძლიერი ფორვარდი ჰყავს და შესაბამისად, ტაქტიკაც ორფორვარდიანი გვაქვს. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ნახევარი სეზონი ერთი და იმავე სქემით ვითამაშეთ, ბუნებრივია, იყო ვარიაციებიც. მაგალითისთვის 4-3-3 ტაქტიკის მოყვანაც შეიძლება - სხვათა შორის, ამ სქემამ იმედები არ გამიცრუა. ასეთ დროს, მუტუსა და ჯილარდინოს ან მარიო სანტანას ვახმარდი, ან ჯამპაოლო პაცინის. რა იქნება მომავალში? - გამომდინარე იქიდან, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში არსებითი საკადრო ცვლილება არ გვექნება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ტაქტიკური კუთხით იქნება მნიშვნელოვანი სიახლეები.

**- როგორ აფასებთ თქვენი გუნდის გამოსვლას ევროასპარეზზე?**

- ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ - ჩემპიონთა ლიგაზე „ფიორენტინამ" ღირსეულად ითამაშა და ტურნირს ამაყად გამოემშვიდობა. უკმაყოფილო მხოლოდ „სტიაუასთან" საშინაო მატჩის შემდეგ ვიყავი, რუმინელებთან ქულების დაკარგვა ძვირად დაგვიჯდა. „ლიონთან" და „ბაიერნთან" ჩემმა შეგირდებმა ძალიან კარგად ითამაშეს და ფორტუნა ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო, შემდეგ ეტაპზე აუცილებლად გავიდოდით. ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ საფრანგეთში, თამაში 2:0-ზე მიგვყავდა და საბოლოოდ, მხოლოდ ქულას დავჯერდით. ამ მატჩებმა დიდი გამოცდილება შეგვძინა, რომელიც მომავალში უნდა გამოვიყენოთ. „ფიორენტინა" სწორი გზით მიდის და მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ. რაც შეეხება ჩვენს ევროამბიციებს სეზონის მეორე ნახევარში - უეფას თასზე რამდენიმე ისეთი გუნდია, ლიგას რომ დაამშვენებდა. მარტო „მილანი - „ვერდერის" წყვილი რად ღირს. მიუხედავად ამისა, ვეცდებით, ფინალში მოვხდეთ.

**- რომელმა ფეხბურთელებმა გაამართლეს თქვენი იმედები და პირიქით?**

- მოდით, იმათზე ვისაუბროთ, რომლებმაც ჩემი იმედები ბოლომდე გაამართლეს. უპირველეს ყოვლისა, მინდა ორიოდე სიტყვა რიკარდო მონტოლივოზე ვთქვა. ასეთი ტალანტის ფეხბურთელი იშვიათად შემხვედრია, მას აქვს ყველა ის თვისება, რაც ვარსკვლავს სჭირდება. უზადო ტექნიკა, მოედნის ხედვა, ზუსტი პასი, დაყენებული დარტყმა და ლიდერისთვის დამახასიათებელი ქარიზმა. თანაც, რიკარდო ყოველწლიურად პროგრესირებს და მთავარი სწორედ ეს არის. მონტოლივო ისეთივე მნიშვნელობის ფეხბურთელია „ფიორენტინისთვის", როგორიც ჯერარდი „ლივერპულისთვის". მუტუ-ჯილარდინოს დუეტზე არა ერთხელ მისაუბრია და აღარ განვმეორდები. ეს ფეხბურთელები თავის სიტყვას მოედანზე ამბობენ და ამას ყველანი ვხედავთ. ვისურვებდი, რომ ადრიანმა და ალბერტომ „ვიოლაში" რაც შეიძლება დიდხანს იასპარეზონ.

**- თქვენი გუნდის მიზანი?**

- გუნდის საამსეზონო მიზანს ნაწილობრივ უკვე შევეხე. ვეცდებით, უეფას თასზე ფინალში გავიდეთ და შემდეგ ტიტულს დავეუფლოთ. ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ. წელს უეფას თასის ბოლო გათამაშებაა და მისი მოგება ჩვენთვის უაღრესად საპატიო იქნება. რაც შეეხება სერია A-ს, აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ოთხეულში. ეს ამოცანა უფრო რთული შესასრულებელია და მიზანს მხოლოდ სრული მობილიზაციის ხარჯზე თუ მივაღწევთ. კონკურენტები? - „ინტერი", „იუვენტუსი" და „მილანი" ოთხეულში აუცილებლად მოხვდებიან, ვაკანტური კი მხოლოდ ერთი ადგილია. ამ ერთი ადგილისთვის კი რამდენიმე გუნდი იბრძოლებს. პირველი „ნაპოლი" გამახსენდა, გუნდი, რომელმაც ყველანი სასიამოვნოდ გაგვაოცა. შემდეგ „ლაციო" და „ჯენოა". თუმცა ყველაზე სახიფათო კონკურენტად მაინც „რომა" მიმაჩნია, სპალეტის გუნდი ფორმას იბრუნებს და ბუნებრივია, ლიგაში მოხვედრასაც შეეცდება.

**- და გრძელვადიანი გეგმა...**

- გუნდის მესვეურებს დიდი გეგმები აქვთ და მიხარია, რომ ამ დიდ გზაზე ჩემი როლი მაკისრია. დელა ვალეები ბოლომდე მენდობიან და მეც ისლა დამრჩენია, მშვიდად ვიმუშავო. დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მგონი არც თქვენ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ მიზანი გუნდის ახალ სიმაღლეზე აყვანაა. „ფიორენტინა" დღეს კონკურენტუნარიანია, ხვალ კი ისეთივე მძლავრი უნდა იყოს, როგორიც რამდენიმე წლის წინ გახლდათ. სულ მალე ახალი სტადიონის მაკეტი დამტკიცდება და სამუშაოებიც გაჩაღდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რაოდენ სერიოზულად უდგებიან საქმეს „ფიორენტინის" მესვეურები. ამას ფეხბურთელებიც ხედავენ და არსად წასვლა არ სურთ. ისინი კარგად აცნობიერებენ, რომ „ვიოლას" დიდი მომავალი აქვს.

**- პრანდელის საშობაო სურვილები...**

- ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და სპორტის უპირველესი სახეობის გარეშე თავი ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. მიუხედავად ამისა, ჩემი სურვილები ფეხბურთს არ ეხება. მინდა, რომ მშვიდობა იყოს დედამიწაზე და ხალხმა მხოლოდ იმაზე იფიქროს, ერთმანეთს რითი ასიამოვნოს. სწორედ ეს აკლია დღეს სამყაროს და ჩემი ნატვრაა, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. საკუთარ თავს მხოლოდ ჯანმრთელობას ვუსურვებდი, იმასაც, რასაც ფულით ვერ იყიდი.

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

# მოურინიოს ერთი ტიტული არ ეყოფა

## პორტუგალიელი მწვრთნელი ყველაფრის მოგებას აპირებს

**ჟოზე მოურინიო** საშობაო დღესასწაულს ძალიან კარგი განწყობით შეხვდა. პორტუგალიელი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ „ინტერთან" ერთად ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევს: *„წლევანდელი სეზონის მიმდინარეობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, „ინტერი" ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ სეზონის ბოლოს სკუდეტო მოვიპოვოთ. ეს ჩემი უდიდესი მიზანია. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტი ჩამაცივდა, საშობაო სურვილად რა ჩაიფიქრეთო. არაფერი-მეთქი, მაგრამ არ მომეშვა და იქვე ჩამაფიქრებინა. ჩემს ნატვრას თქვენც გაგაცნობთ: მინდა, რომ სკუდეტო მოვიპოვო, რითაც ერთგვარი წრე შეიკვრება. ძალიან მინდა, რომ პრემიერლიგასა და სერია A-ში გამარჯვებული მწვრთნელი მერქვას. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგასაც ვერ ავუვლი გვერდს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ინტერმა" ორივე ფრონტზე ღირსეულად იასპარეზოს და ტიტულები მოიპოვოს - ხაზს ვუსვამ, ტიტულები და არა მხოლოდ ერთი ტიტული. შეუძლებელია, ჩემი და ჩემი გუნდის მიზანი იმდენად მოკრძალებული და თავშეკავებული იყოს, რომ მხოლოდ ერთი ტიტულით დავკმაყოფილდე. ჩემპიონთა ლიგაში 2004 წელს გავიმარჯვე და ასეთი სიხარული პროფესიულ ასპარეზზე მას შემდეგ იშვიათად თუ განმიცდია. არ შემიძლია, რომ ჩემს თავს ასეთი სიამოვნება მოვაკლო. მოკლედ, „ინტერი" ყველანაირ საშუალებას მაძლევს იმისთვის, რომ ჩემი იდეები განვახორციელო და ორივე ფრონტზე ტრიუმფალურად გავიმარჯვო."*

**შალვა ბიბილაშვილი**


ჟოზე მოურინიო

ბარსელონა

# ინიესტას დაბრუნება გადაიდო

„**ბარსელონის**" გულშემატკივრებმა ძალიან უსიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. კატალონიური გრანდის ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ **ანდრეს ინიესტა** იანვრის ბოლოს საუკეთესო ფორმაში ჩადგებოდა და ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებოდა... მაგრამ ოპტიმისტური პროგნოზი არ გამართლდა. გუშინ გაირკვა, რომ ინიესტას მკურნალობას დამატებით სულ მცირე ორი თვე სჭირდება. არადა, რამდენიმე დღის წინ, ანდრესმა იძუნძულა კიდეც, მაგრამ მორიგმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მისთვის ვარჯიში აღარ შეიძლება. ინიესტა ამით, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული დარჩა:

*„შობის წინ ამაზე საშინელ საჩუქარს ვერც კი წარმოიდგენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ იანვრის ბოლოს დავბრუნდებოდი და ჩემპიონთა ლიგისთვის მზად ვიქნებოდი. ახლა კი ვხვდები, რომ „ლიონთან" თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ძალიან დასანანია, მაგრამ რა გაეწყობა. ისღა დამრჩენია, ექიმების ნებას დავემორჩილდე. მათ რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ და საკუთარი ჯანმრთელობით არასოდეს ვრისკავ,"* - აღნიშნა მან.

**პეპ გვარდიოლამ** ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საგანგებო განცხადება გაავრცელა. მთავარი მწვრთნელი შეეცადა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ფეხბურთელი გაემხნევებინა. სენიორ გვარდიოლა ინიესტას არწმუნებს, მხარში ამოგიდგები და გამოჯანმრთელების შემდეგ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ძირითად შემადგენლობაში რაც შეიძლება მალე დაბრუნდეო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

იტალია

# აბატეს საახალწლო სურვილი: ტოტი ნაკრებში

## მალე ამაური იტალიელი გახდება, მაგრამ დუნგა მას არ ივიწყებს

„კორიერეს" ჟურნალისტმა წლის შემაჯამებელი ინტერვიუ ფედერკალჩოს პრეზიდენტ **ჯანკარლო აბატეს** ჩამოართვა და მეტად საინტერესო საკითხებზე ესაუბრა. აბატემ წელი დადებითად შეაფასა და კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ სეზონის პირველმა ნახევარმა მშვიდობიანად ჩაიარა: *„2007-08 წლების სეზონი ძალიან მძიმე იყო, რაც ტიფოზების აგრესიით გახლდათ განპირობებული. რამდენიმე თამაში ჩაიშალა და ერთი ტური გადაიდო კიდეც. ბუნებრივია, ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის და ამაზე რეაგირება გახლდათ საჭირო. სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ზომები მივიღეთ და შედეგიც სახეზეა. სტადიონებზე გულშემატკივარმა აშკარად იმატა, რაც ასევე ძალიან სასიხარულო ამბავია. მართალია, ჯერ იმას ვერ მივაღწიეთ, რომ ხალხმა თამაშებზე ოჯახებით იაროს, მაგრამ არც ეგ დრო უნდა იყოს შორს. მთავარია, ასევე გავაგრძელოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

ჟურნალისტი დაინტერესდა თუ რას ისურვებდა აბატე 2009 წელს და ძალიან საინტერესო პასუხი მიიღო: *„2010 წელს ზუსტად ვიცი რასაც ვისურვებ, ახლა კი ცოტა მიჭირს რაიმეს თქმა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ძალიან მინდა 2009 წელს ფრანჩესკო ტოტი ეროვნულ ნაკრებში დაბრუნდეს. ამ ფეხბურთელის დიდი თაყვანისმცემელი ვარ და ჯერაც ვერ მომინელებია, რომ მან სანაკრებო კარიერა დაასრულა. აუცილებლად დაველაპარაკები კიდევ ერთხელ და ვეცდები, აზრი შევაცვლევინო. ტოტი მუნდიალზე ძალიან დაგვჭირდება".*

აბატეს **ამაურისა** და ბრაზილიასთან მოახლოებულ ამხანაგურ პაექრობაზეც დაეკითხნენ: *„ამაური მალე იტალიის მოქალაქე გახდება და შემდეგ უკვე ყველაფერი მარჩელო ლიპიზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, როგორც გავიგე, კარვალიოს გამოძახება დუნგასაც სდომებია, რაც საქმეს ართულებს. ჩემი აზრით, კარვალიო უნდა გაერკვეს თუ რომელი ქვეყნის ღირსების დაცვა სურს და ამის შესახებ ღიად განაცხადოს. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. რაც შეეხება 10 თებერვლის შეხვედრას, ამ პაექრობის ორგანიზებაზე ბევრი ვიმუშავეთ და ძალიან მიხარია, რომ შედეგსაც მივაღწიეთ. პენტაკამპეონებთან ჯახი ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იქნება. ფავორიტი? - ბრაზილიამ პორტუგალიას შავი დღე აყარა და ყველას დაგვანახვა, რომ კრიზისზე საუბარი გადამეტებულია, თუმცა არც ჩვენ ვართ ნაკლებნი და იმედია, გამარჯვება სწორედ აძურას დარჩება".*

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთი

# დელ ბოსკემ ბარსას ხასიათი გაუფუჭა

**ვისენტე დელ ბოსკემ** კატალონიელ გულშემატკივრებს შესაძლოა, სამუდამოდ შეაძულოს თავი. "სელექსიონის" მთავარი მწვრთნელი აცხადებს, რომ „ბარსა" პრიმერა დივიზიონის გამოკვეთილი ფავორიტი არ არის. ეროვნული გუნდის თავკაცის მხრიდან ასეთი თამამი განცხადება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: *„არ მესმის, კატალონიაში ეიფორია რატომ სუფევს? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გულშემატკივრები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდის მესვეურები ჩემპიონობაში დარწმუნებული არიან. არადა, ჩემი აზრით, ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. მთავარი ბრძოლები წინ არის. მოდით, ვაღიაროთ, რომ გადაწყვეტილი არაფერია. თავისუფლად შეიძლება, რომ „ბარსას" ჩავარდნა დაეწყოს და ქულები გაფლანგოს. ყოველ შემთხვევაში, დიდი უპასუხისმგებლობაა, როცა 22 ტურით ადრე რომელიმე გუნდის ჩემპიონობაზე ვსაუბრობთ..."*

ვისენტე დელ ბოსკეს **ჩიკი ბეგირისტაინმა** უპასუხა. კატალონიური გრანდის გენერალური დირექტორი "სელექსიონის" მთავარი მწვრთნელის გამოხდომით გაოცებული და განრისხებული დარჩა: *„არ მესმის, დელ ბოსკემ საიდან მოიტანა, რომ ჩემპიონობაში დარწმუნებული ვართ. ჩვენ გვჯერა, რომ ჩემპიონობის უნარი შეგვწევს, მაგრამ არასოდეს წამომცდენია, „ბარსელონა" სეზონის დასრულებამდე 22 ტურით ადრე ჩემპიონია-მეთქი. უბრალოდ, გაუგებარია, სენიორ ვისენტეს ამ თემის წამოწევა რაში დასჭირდა. არ დაგიმალავთ, ნერვები ამეშალა, რადგან ჩვენ ყოველთვის იმას ვამბობთ, რომ გუნდი ეიფორიამ არ უნდა მოიცვას. დელ ბოსკეს გასაგონად ვამბობ, 22 ტურით ადრე ჩემპიონი ვერ გახდები, და კიდევ ერთი, სენიორ ვისენტე, ორჯერ ორი არის ოთხი..."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის თემა პარლამენტში



# ესეც საქმეა, თანაც დიდი საქმე...

ვერ დავიჩემებთ, რომ რასაც ქვემოთ ვიტყვით, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მუშაობის ურთიერთშედარების შედეგია, მაგრამ იმაზე კი ვართ პასუხისმგებელი, რომ ხმამაღლა განვაცხადოთ: არასდროს სპორტის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომიტეტი თუ კომისია ისე აქტიური, ქმედუნარიანი და, რაც მთავარია, საქმიანი არ ყოფილა, როგორც დღევანდელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტია. დამოუკიდებლად მისი შექმნა ჩვენი სასიქადულო ოლიმპიური ჩემპიონისა და პარლამენტის წევრის, **გიორგი ასანიძის** დამსახურებაა და კოლეგა დეპუტატებმა სწორედ მას ანდეს კომიტეტის გაძღოლა. ბირთვი ამ საპარლამენტო ორგანოსი გახდა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც დარგის გამორჩეული სპეციალისტები გაერთიანდნენ. და აი, გუშინ დღემდე გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამდა.

პირველად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ისტორიაში, სამი საპარლამენტო კომიტეტი გაერთიანებულ სხდომაზე შეიკრიბა, რათა ერთობლივად განეხილათ უკვე უაღრესად შემაშფოთებელ ზღვრამდე მისული ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრობლემა. სპორტისა და ახალგაზრდობის, განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, საპარლამენტო კომიტეტები, ცხადია, ერთად შეკრებაზე შემთხვევით არ შეთანხმებულან. სამივე კომიტეტი არა ირიბად, არამედ პირდაპირაა ვალდებული იზრუნოს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე, მათ ჯანმრთელობის განმტკიცებასა და სპორტისთვის ნიჭიერთა სწორ ორიენტაციაზე.

*„ჩვენ ღრმად შევისწავლეთ შექმნილი ვითარება. დაგვიგროვდა ზღვა მასალა და გამოიკვეთა ის მიზეზები, რამაც საქართველოში მკვეთრად გააუარესა ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მდგომარეობა“*, - თქვა თავისი მოხსენების შესავალში კომიტეტის მთავარმა სპეციალისტმა, საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა **ვაჟა შუბლაძემ**. მანვე იქვე ჩამოთვალა, ღრმად და არგუმენტირებულად გააანალიზა ის 7 მთავარი მიზეზი, რამაც საგანგაშო ვითარებამდე მიგვიყვანა.

ცხადია, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს გიორგი ასანიძემ, რომელიც სხდომას უძღვებოდა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ **გოკა გაბაშვილმა**, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ოთარ თოიძემ**, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკა რურუამ**, კომიტეტების წევრებმა და სამინისტროების წარმომადგენლებმა.

გამოიკვეთა პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში აზრთა თანხვედრა. ფაქტობრივად, მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ შეჯერდა პოზიციები. პრობლემამ ყველა დააფიქრა. ჯერჯერობით ესეც საქმეა, თანაც დიდი საქმე...

**თენგიზ თომაშვილი**

სპორტული მედიცინა

# ახალკაცთან, კლინიკაში...

**ჩვენმა** სპორტულმა მედიცინამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სპორტსმენთა წარმატებებში საერთაშორისო სარბიელზე. ყველამ კარგად იცის, რომ ეს უპირველესად არის სპორტული მედიცინის ასოციაციის დამსახურება, რომელსაც საარაკოდ უნარიანი ახალგაზრდა კაცი, პროფესორი ზურაბ კახაბრიშვილი ხელმძღვანელობს. მან ასევე თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები შემოიკრიბა. ერთი მათგანია ვალერი ახალკაცი, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის თავკაცი. სპორტული მედიცინის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სფფ-ს სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელი.

„ჩვენი ცენტრი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შეიქმნა, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს. 6 თვეა ვმუშაობთ და შემიძლია თამამად ვთქვა, ცენტრმა გაამართლა“, - ამბობს ბატონი ვალერი.



ვალერი ახალკაცი

**- გაამართლაო, თქვით, რას გულისხმობთ?**

- ჯერ ერთი, უკვე 2 ათასამდე სპორტსმენს მოვემსახურეთ. ისინი ჩვენთან გადიან სამედიცინო შემოწმებას, დიაგნოსტიკას, მკურნალობენ, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კი რეაბილიტაცია.

**- მხოლოდ ნაკრები გუნდების წევრებს ემსახურებით?**

- არ აქვს მნიშვნელობა, ყველას. არც ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებად ვყოფთ კონტინგენტს.

**- ტარიფები როგორია?**

- ყველასთვის ხელმისაწვდომი. ჩვენ არ ვართ კომერციული დაწესებულება, ეს არც არის ჩვენი მიზანი. ყველა მიმართულების სპეციალისტი გვყავს. ასე რომ, შესაძლებელია კომპლექსური გამოკვლევაც და მკურნალობაც.

**- 2 ათასამდე პაციენტი მიგიღიათ 6 თვეში, ცოტაა ეს თუ ბევრი?**

- არც ცოტაა და არც ბევრი. დაახლოებით ის არის, რაც ივარაუდებოდა. ისე, ჯობია ცოტა იყოს, ანუ მეტი ჯანმრთელი სპორტსმენი გვყავდეს.

**- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმესთვის გერჩიათ სპორტისთვის თავის დანებება?**

- ზოგიერთისთვის, თუ მისი ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვა შეუთავსებელია პროფესიულ სპორტთან, რეკომენდაცია მიგვიცია ან შეიცვალოს სპორტის სახეობა ან შეამციროს დატვირთვა. განსაკუთრებით პროფესიონალ სპორტსმენებს მართებთ ამ მხრივ სიფრთხილე.

**- როგორია, ასეთ რჩევებზე სპორტსმენის რეაგირება?**

- ცხადია, მტკივნეული, უარყოფითი...

**- რა ასაკში გვხვდება ძირითადად გადახრები?**

- 16-18-წლიანებში. როგორი საქმეა, ამ ასაკში უკვე წლებია შეწირული სპორტზე და უცებ... ვთქვათ, ჭაბუკი ფეხბურთს უკავშირებდა თავის მომავალს, სკოლაშიც არ დადიოდა, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ფეხბურთი თურმე მისი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ეს ძალან რთული საკითხია. არ შეიძლება ალტერნატივა იყოს სპორტი და განათლება.

**- რა არის მიზეზი, რატომ მიდის აქამდე საქმე?**

- მიზეზია მოზარდთა სპორტული დაოსტატების არასწორი ორგანიზაცია, უხეირო ინფრასტრუქტურა, არაკომფორტულ პირობებში მეცადინეობა, არათანამიმდევრული სამედიცინო კონტროლი...

**- მწვრთნელთა განათლებაზე რას იტყვით? ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს ვგულისხმობთ...**

- ფაქტია, რომ ყველა მათგანს არ გააჩნია სპეციალური განათლება. ამიტომ შემოიღეს ლიცენზირება. არც მოკლევადიან სემინარებზე შეიძლება სრულყოფილად ყველაფრის ათვისება, მაგრამ ეს მაინც რაღაცას ნიშნავს. მწვრთნელს, რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ფიზიოლოგიაში, ანატომიაში, ფსიქოლოგიაში, გნებავთ, პედაგოგიკაში, მით უფრო ნაკლებია ანომალია და რისკები. ასე რომ, საფიქრალ-საზრუნავი თავზე საყრელია...

**- გმადლობთ საუბრისთვის.**

**თენგიზ თომაშვილი**

ავტორის ფოტოები

***P.S.* ცენტრში ჩვენი სტუმრობისას, ძიუდოისტთა ნაკრები გუნდების წევრები გადიოდნენ მორიგ სამედიცინო გამოკვლევას.**





ტყვიის სროლა

# ვერცხლის ბედი მეათედმა ქულამ გადაწყვიტა

ოლიმპიური ჩემპიონის - **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გრძელდება საქართველოს თასის ღია გათამაშება ტყვიის სროლაში. გუშინ შეჯიბრებაში ვაჟები ჩაებნენ. ცეცხლის ხაზზე მთავარი პრიზის 18 მაძიებელი გავიდა, მათ შორის აზერბაიჯანელი სტუმარი **რუსლან ლუნიოვი**, რომელსაც ჩვენებურთაგან სათანადო წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ბაქოელმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 569 ქულა მოაგროვა და დაწინაურდა. ფინალში 100,5 ქულა შემატა მონაგარს და 669,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა მეორე ადგილისთვის. წინასწარ ეტაპზე **გივი ბურჭულაძემ** (561) შეძლო, ორი ქულით გაესწრო **ლევან ქადაგიძისთვის**. მართალია, ფინალში მან მთავარ კონკურენტზე 1,9 ქულით ნაკლები მოაგროვა, მაგრამ მაინც შეძლო კვარცხლბეკის მეორე საფეხურის შენარჩუნება, რადგან ქადაგიძეს 0,1 ქულით აჯობა. მესამე-მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, **გია სვანიძე** (650,1) და **ილია მაჭარაშვილი** (648,7) გავიდნენ.



მარცხნიდან: გივი ბურჭულაძე, რუსლან ლუნიოვი და ლევან ქადაგიძე

**ვლადიმერ ლუნიოვი**, აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: - ორგანიზატორებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას. კარგი შეჯიბრებაა. უკვე ფინალებიც იმართება. უწინ ასე არ იყო. კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა შვილმა ზედიზედ მეორედ მოიგო თბილისის თასი, თუმცა მან საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ წარმოაჩინა. აქ ჩამოსვლამდე ლუქსემბურგის საერთაშორისო ტურნირზე ვიყავით, სადაც რუსლანმა ორი მეორე ადგილი დაიკავა, თანაც 573 ქულით. ეს ორი შეჯიბრება ერთგვარი ეტაპია იუნიორთა ევროპის პირველობის წინ, რომელსაც 19-23 თებერვალს პრაღა უმასპინძლებს.

რაც შეეხება შეჯიბრების სხვა მონაწილეებს, ლევან ქადაგიძეზე შემიძლია ვთქვა, რომ საგრძნობლად აუმაღლებია ოსტატობა. მომეწონა გივი ბურჭულაძეც. კარგი ახალგაზრდებიც გეზრდებათ. აზერბაიჯანის ჩემპიონატში მაქსიმუმ 10 სპორტსმენი მონაწილეობს, აქ კი თასის გათამაშებაში ორ ათეულამდე მსროლელმა იასპარეზა. ეს კონკურენციას გაზრდის და დარწმუნებული ვარ, თქვენს ჩუბინებს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებიც ექნებათ.

**ვახტანგ სალუქვაძე**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, თასის გათამაშების მთავარი არბიტრი: - შეჯიბრებამ შესაძლებლობა მოგვცა, კიდევ ერთხელ შევამოწმოთ ქართველი სპორტსმენების მომზადების დონე. სამწუხაროდ, შედეგები მაღალი არ არის. ბაქოელი ლუნიოვი ჩვენს ბიჭებს აშკარად სჯობდა...

ბურჭულაძე ფინალში 561 ქულით შევიდა. ეს არის მაქსიმუმი, რისთვისაც მას აქამდე მიუღწევია. ორი ქულით ჩამორჩა ქადაგიძე, რომელსაც ვარჯიშებსა და საკონტროლო შეჯიბრებებზე ბევრად მაღალი შედეგები აქვს, აი, ოფიციალურ ტურნირებზე საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახდენს. ეტყობა, მეტი ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება. მაჭარაშვილმა ამას წინათ 558 ქულით სახელოვანი სპორტსმენის - შოთა ქველიაშვილის თასი მოიგო. წინსვლის ნაცვლად, ამჯერად 4 ქულით ნაკლები მოაგროვა.

წლეულს გაზაფხულზე ჯუმბერ ოქრუაშვილმა 560 ქულით საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზე გაიმარჯვა. მერე რამდენჯერმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამოვცადეთ, მაგრამ საკუთარი შედეგი ვერსად გააუმჯობესა. ახლაც 537 ქულით ფინალში ვერ მოხვდა. ჩანს, რომ აქაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მდგრადობა გვაკლია.

ლიდერები გვჭირდება, საერთაშორისო სარბიელზე ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები რომ მოვიპოვოთ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მედლები მოვიხვეჭოთ. საამისოდ, ოსტატობასთან ერთად ხასიათის სიმტკიცეც აუცილებელია. ნინოს მაგალითზე შემიძლია გითხრათ - ისეთი ჟინით ებმებოდა ტურნირებში, რომ ბევრად უკეთეს შედეგებს აჩვენებდა, ვიდრე ვარჯიშებისას. არადა, ეს ჩვენი სპორტსმენებისთვის ნორმა უნდა იყოს, იმდენად კარგი და მაღალკვალიფიციური მწვრთნელები გვყავს. მე რომ თავის დროზე ამგვარი დამრიგებლები მყოლოდა, რომის ოლიმპიურ თამაშებშიც ვიასპარეზებდი და უმედლოდაც არ დავბრუნდებოდი. იმის მიუხედავად, რომ მახმუდ უმაროვს 1960 წელს ჩემთვის შეჯიბრება და საკონტროლო შეხვედრები არ მოუგია, იტალიის დედაქალაქში მაინც ის წაიყვანეს, როგორც 1958 წლის მსოფლიოს და 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ჩემპიონი. რომში მან საკმაოდ დაბალი შედეგით - 552 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა (560 ქულით „ოქრო“ ალექსეი გუშინმა დაიმსახურა), არადა, ოლიმპიადის დღეებში მოსკოვმა დოსაafის საკავშირო ჩემპიონატს უმასპინძლა. 557 ქულით პირველი ადგილი დავიკავე. ეს, უბრალოდ, გახსენებისთვის და იმის შესადარებლადაც, რომ დღეს, ბევრად უფრო მოდერნიზებული იარაღების მეშვეობით, შედეგებიც ექვსი ათეული წლის წინანდელ მაჩვენებლებზე უკეთესი უნდა გვქონდეს. ჩვენი ფედერაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და ქალაქის მერიის მესვეურები საგაისოდ თანამედროვე სასროლეთს შეგვპირდნენ. თუ ეს შესრულდა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მსროლელები საგრძნობლად აიმაღლებენ ოსტატობას და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატთა რიცხვიც შესაბამისად გაიზრდება...

თბილისის თასის გათამაშებაში დღეს ახალგაზრდები ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# საქართველოს სადღეგრძელო

## ხუან სებრიანი სტრაბონისა და კასტელის კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი ორი კვირის წინ შევახვედრეთ კატალონიის კალათბურთის ფედერაციის პრესცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, ხუან კარლოს სებრიანს, რომელმაც თავისი სააგენტო გახსნა და ჟურნალისტობით იშვიათად თუ ირთობს თავს. იგი საქართველოს ერთი კვირით სტუმრობდა, ჩაინიშნა მისთვის საინტერესო კალათბურთელთა გვარები და ესპანეთში დაბრუნების შემდეგ კასტელისა და სტრაბონის საქმეს მიჰყო ხელი: საქართველოზე საინტერესო ჩანახატი გამოაქვეყნა. ხუან კარლოს სებრიანის ნაშრომი, რომელსაც "საქართველოს სადღეგრძელო" ჰქვია, მთავარ ესპანურ საკალათბურთო საიტზე გამოქვეყნდა. ესპანელმა ჟურნალისტმა პუბლიკაცია ორ ნაწილად გაყო. მის მაგალითს მივბაძავთ და "საქართველოს სადღეგრძელოს" პირველ ნაწილს დღეს შემოგთავაზებთ, მეორეს – ხვალ.

მაშ ასე, მოვუსმინოთ ბატონ ხუანს.

"საქართველო ბევრისთვის უცნობი ქვეყანაა. თუმცა, მასში არაერთი მარგალიტი მოიპოვება. საკმარისია მხოლოდ ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ზაზა ფაჩულიასა და გიორგი შერმადინის გვარების ხსენება. საქართველოში რომ მივდიოდი, ქვეყნის ისტორიით დავინტერესდი. ინტერნეტში აღმოვაჩინე, რომ ძველად კავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყანას იბერია ერქვა. მაშინვე გამიჩნდა კითხვა – რა კავშირია კავკასიის იბერიასა და მისგან ათასობით მილით დაშორებულ იბერიის ნახევარკუნძულთან. მალევე აღმოვაჩინე, რომ ამ კითხვაზე პასუხი მე კი არა, მსოფლიოს ისტორიის მკვლევრებსაც არ აქვთ.

თბილისის აეროპორტში ჩასულს მწვრთნელი, კალათბურთელის მშობელი და რამდენიმე სხვა პიროვნება დამხვდა. მათთან შეხვედრისთანავე აღმოვაჩინე, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთში იბერია შემთხვევით არ გვხვდება – ქართველებსა და ესპანელებს შორის დიდი მსგავსებაა. მაგალითად: სამზარეულო ქართველებშიც კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, ფეხბურთი კავკასიელებსაც გენებში აქვთ და, რაც მთავარია – ესპანეთის დარად, საქართველოშიც ამბობენ სადღეგრძელოებს. თბილისში ეს ტრადიცია გაცილებით კარგადაა შემონახული: საკმარისია, სუფრასთან 4-5 ადამიანი მოხვდეს, რომ ყოველი სიტყვა "გაუმარჯოთი" იწყება.

მოდით, კალათბურთზე გადმოვერთოთ, თბილისში ხომ სწორედ სპორტმა ჩამიყვანა.

საქართველოს ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობს და ტურნირს სუპერლიგა ჰქვია. რაც შეეხება, ქალთა კალათბურთს, ამ მხრივ საქართველოში საინტერესო არაფერი ხდება. მართალია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რამდენიმე პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ ქალთა კალათბურთში საერთაშორისო არენაზე წარმატებას მიაღწია, მაგრამ მათ რიგებში ქართველთა მითვლა არ შეიძლება.

სუპერლიგაში მაღალი დონე არ არის (ესპანეთის მეორე დივიზიონის დონეს შევადარებდი), მაგრამ გამონაკლისები იქაცაა. ასეთთა შორის, პირველ რიგში გიორგი შერმადინი უნდა ვახსენოთ, რომელიც გასულ სეზონში "მაკაბის" ღირსებას იცავდა, ხოლო ახლახან ბერძნულ "პანათინაიკოსთან" გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი. მეორე მარგალიტია მიხეილ ბერიშვილი. იგი 1987 წელსაა დაბადებული და 203 სმ სიმაღლისაა. მიხეილი NBA-ს განვითარების ლიგის ბინადარმა "ოკლაჰომამ" დრაფტზე აირჩია. ქართველი ფორვარდი ამერიკაში მაისამდე ითამაშებს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ესპანეთის ახალგაზრდულ ლიგებში არაერთი ქართველი თამაშობს. მათზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ახალგაზრდების აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევენ. ჰოდა, თავიდანვე დავინტერესდი იუნიორთა გუნდების ვარჯიშებით. დავესწარი ნიკოლოზ ცქიტიშვილისა და ბექა ჩიკვილაძის (ესპანური "გალეგო") აღმზრდელის, ვაჟა კვარაცხელიას წვრთნას.



ხუან კარლოს სებრიანი

საყურადღებოა, რომ დარბაზში შესვლის წინ პატარა კალათბურთელები გაივლიან დერეფანს, სადაც დიდი ფოტოა გამოფენილი – ნიკა ცქიტიშვილისა და მაიკლ ჯორდანის დაპირისპირების გამოსახულებით. სკიტა 215 სმ სიმაღლისაა. მის მაგალითს ახალგაზრდები მხოლოდ თამაშში კი არა, ზრდაშიც მისდევენ – ვარჯიშზე მოსული კალათბურთელების უმეტესობა 2 მეტრს აღემატებოდა.

ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ევროპული და ამერიკული ლიგები უახლოეს მომავალში ქართველი მეფარეებით შეივსება.

სუპერლიგის მატჩები ძირითადად კვირას და უმეტესად ერთ დარბაზში იმართება (სპორტის სასახლე). არენა მართლაც შთამბეჭდავია – 10 ათას გულშემატკივარს იტევს. იგი კომუნისტების მემკვიდრეობაა.

ვესაუბრე არაერთ ახალგაზრდა კალათბურთელს. თითოეულის მიზანი NBA-ში მოხვედრაა. ისინი იქვე დასძენ, ამერიკაში თუ ვერ გამოვიდა, შემდეგი საოცნებო წერტილი ესპანეთიაო. ქართველები უცხოეთში ბრმად არ მიდიან, ჯერ საქართველოში, ევროპული კალათბურთის ვარსკვლავებთან ვარჯიშობენ და მათთან დაპირისპირების წყალობით აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს. მაგალითისთვის ნიკა ცქიტიშვილი გამოდგება, რომელიც საქართველოში ვარჯიშს არავისთან თაკილობს და ყველას საკუთარ გამოცდილებას უზიარებს.

კალათბურთით გატაცებულმა ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ ევროპის კლუბების დასაინტერესებლად აუცილებელია კარგი ფიზიკური მომზადება და დაყენებული სროლა.

ძალიან ძნელია უამრავ ახალგაზრდას შორის მომავალი ვარსკვლავის გამოცნობა, მით უმეტეს, რომ მათი უმეტესობა 2 მეტრსაა გადაცილებული. ამიტომ, ვინ მომეწონა საქართველოში, ამაზე არაფერს ვიტყვი. მხოლოდ მათ გვარებს ჩამოგითვლით, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ვარჯიშობენ და უახლოეს მომავალში შეიძლება ევროპის წამყვან კლუბებში ვიხილოთ: გიორგი შარაბიძე და თორნიკე შენგელია "ვალენსიას" ღირსებას იცავენ, კოკა ტომარაძემ ორი წელი "ბარსელონაში" გაატარა, ხოლო ბექა ჩიკვილაძე "გალეგოში" ირიცხება. იტალიური "მონტეპასკის" ღირსებას იცავს ცენტრი ნიკა მეტრეველი, რომელიც ერთი წლის წინათ NBA-ს კემპის (ტრევიზოში) საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

დღეს ამით დავასრულოთ. ხვალ გადმოგცემთ რეპორტაჟს ნიკა ცქიტიშვილის ოჯახიდან, ასევე შეგახვედრებთ გიორგი შერმადინის აღმზრდელ ჯამლეტ ხუხაშვილს, შევეხებით ქართველთა რელიგიასა და ორიოდე სიტყვას შევაწევთ იქაურ მძღოლებს."

მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

რაგბი

ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან

# საუკეთესო სამეულში მოხვედრაც დიდი პატივია

საქართველოს ნაკრებისა და საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიეს" მეორეხაზელი მამუკა გორგოძე, საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის გამოკითხვაში, ნოემბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს. თუმცა, გამოკითხვის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ნაციონალურმა ლიგამ გამოკითხვის მონაცემები შეცვალა. მამუკას, რომელიც თბილისში მოკლე შვებულებითაა ჩამოსული, ამ უცნაურ ფაქტსა და ფრანგული კარიერაზე ველაპარაკეთ.

- ჩემთვის ძნელი სათქმელია, რა მოხდა. ფაქტია, რომ ხმების უმრავლესობა მე დავაგროვე, მაგრამ მერე, რამდენიმე დღეში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მართალი გითხრათ, ამას ძალიან არ განვიცდი. ჩემთვის, თვით ის ფაქტი, რომ თვის საუკეთესო სამეულში დამასახელეს, დიდი პატივია.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ დაგასახელეს ნოემბრის თვის საუკეთესო სამ მოთამაშეს შორის?**

- აბა, რა გითხრათ. ცოტა მოჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ისე, მართლაც კარგად ვითამაშე რამდენიმე მატჩში. რვა ნომრის პოზიცია ისეთია, მეორე ხაზთან შედარებით უფრო ჩანს შენი თამაში. თუმცა მერე, საფრანგეთის ჩემპიონატის განვლილ ტურში „ტულონთან" მეორე ხაზში ვითამაშე და საკმაოდ კარგადაც. მეტოქეს ორი ლელო გავუტანე. მესამეც შემეძლო, თუმცა ბურთი დროულად ვერ გადმომცეს.

**- „მონპელიეში", რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყველაზე ახლო, მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთის ნაკრების წევრ ლუი პიკამოლთან გაქვთ. რომელიც ასევე რვა ნომერია და გუნდის შემადგენლობაში თქვენი კონკურენტია.**

- პიკამოლი ძალიან კარგი რვა ნომერია. ძლიერი მოთამაშეა. „მონპელიე" წარმატებული რომ იყოს, ჩვენ ორივე მოედანზე უნდა ვიყოთ - ეგ რვა ნომერზე, მე მეორე ხაზში. ასეც არის. ამ პოზიციაზე ძირითადად ის თამაშობს. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ის ფრანგია და პოლიტიკაა ასეთი, სწორედ მან, 22 წლის ახალგაზრდა მორაგბემ უნდა ითამაშოს რეგულარულად, რათა ნაკრებს ძლიერი რვა ნომერი გაუზარდონ.

შესაბამისად, ურთიერთობაში პრობლემა არ გვაქვს. ია ძალიან კარგი ადამიანია. საერთოდ, გუნდში მეგობრული, საქმიანი ატმოსფეროა. ყველა ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობით.

**- ყოველივე ამის ფონზე რომელიმე უფრო ძლიერი კლუბიდან შემოთავაზება ხომ არ მიგიღიათ?**

- წინასწარი შეთანხმება ოფიციალურად „ბრივთან" მქონდა გაფორმებული. მაგრამ „მონპელიეში" ახალი პრეზიდენტი მოვიდა, რომელმაც ჩემი გუნდში დატოვება განიზრახა და კონტრაქტი გამოისყიდა. ახლა, „მონპელიესთან" ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს.

**- როგორ ფიქრობთ, „მონპელიეს" შემადგენლობაში ასპარეზობა რამდენად წაადგება თქვენს სარაგბო კარიერას?**

- ადრეც მითქვამს, რომ თუ „ტულუზი", „სტად ფრანსე" ან სხვა ამ კლუბების დონის გუნდი არ მიმიწვევს, ისევ „მონპელიეში" მირჩევნია თამაში. მით უმეტეს, რომ ახალი პრეზიდენტი საკმაოდ ამბიციური იდეებითა და მიზნებით მოვიდა. გუნდთან უკვე გააფორმეს ხელშეკრულება საფრანგეთის ნაკრების მეორეხაზელებმა სებასტიან შაბალმა და ლიონელ ნალემ. გეგმაში აქვთ, კიდევ რამდენიმე მაღალი დონის მორაგბის მოწვევაც. ერთი სიტყვით, ძლიერი, ყველასგან ანგარიშგასაწევი გუნდის შექმნას აპირებენ.

**- ზემოთ „ტულონთან" თამაში ახსენეთ, რომლის შემადგენლობაშიც დავით ქუბრიაშვილმა ითამაშა. დათო ამ კლუბში სწორედ „მონპელიედან" გადავიდა. როგორია მისი ფუნქციონალური მდგომარეობა?**

- დათო თამაშიდან თამაშამდე უმატებს. 22 წლის ბიჭი ელიტარულ დივიზიონში შერკინების ბურჯის ორივე პოზიციაზე თამაშობს, როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივ. დამეთანხმებით, ასეთ მაღალ დონეზე ასპარეზობისას ეს ადვილი არ არის. ამ პოზიციაზე და ათ ნომერზე თამაში ყველაზე რთულია, მით უფრო ახალგაზრდა მორაგბისთვის. ქუბრიაშვილი ყოველივეს ჯერჯერობით თავს წარმატებითართმევს.

**- კიდევ ერთ ტულონელს, გია ლაბაძეს მიმდინარე სეზონში ავადმყოფობის გამო ჯერ არ უთამაშია. როდის ვიხილავთ მას მწვანე მინდორზე?**

- გიამ ვარჯიში უკვე დაიწყო. ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით. გუნდს ალბათ მალე შეუერთდება. კარგი იქნება, სათამაშო ფორმას რაც შეიძლება მალე თუ აღიდგენს. მისი ცოდნა და გამოცდილება ეროვნულ ნაკრებში დიდად წაგვადგება.

**- ერთა თასის გათამაშების დაწყებამდე თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი. ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლაზე გუნდიდან პრობლემა ხომ არ შეგექმნება?**

- არ მგონია, რამე პრობლემა შემექმნას. ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვეცდები ყველა მნიშვნელოვან თამაშზე ჩამოვიდე. ერთა თასის ეს გათამაშება, მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა და, ცხადია, ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი მაქვს.

ბესიკ ჯანგავაძე

ხელბურთი

ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

# ბაკაუ ჩემს კარიერაში საუკეთესო გუნდია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარის, შოთა თევზაძის გუნდმა, რუმინულმა "ბაკაუმ" ჩემპიონატის პირველი ნახევარი ლიდერის რანგში დაასრულა. რუმინეთში ეს სენსაციად შეფასდა, რადგან "ბაკაუს" ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად არავინ განიხილავდა. შოთა საახალწლოდ თბილისშია ჩამოსული და საკლუბოსთან ერთად, სანაკრებო ამბებზეც გავესაუბრეთ.



**- როგორია ამჟამად სატურნირო მდგომარეობა რუმინეთის ჩემპიონატში?**

- "ბაკაუს" და "კონსტანცას" თანაბარი რაოდენობის ქულები აქვთ, მაგრამ მეტოქეს ვუსწრებთ ურთიერთშეხვედრაში გამარჯვების წყალობით. ჩემპიონატის დასრულებამდე 13 ტურია დარჩენილი და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ პირველი საფეხური არ დავთმოთ. აქვე გეტყვით, რომ რუმინეთის ჩემპიონატში პლეიოფი არაა.

**- "ბაკაუ" ყოფილა ოდესმე რუმინეთის ჩემპიონი?**

- არა და ამას არც ახლა მოელოდა ვინმე. სეზონის დასაწყისში ხემძღვანელობამ მიზნად ოთხეულში მოხვედრა დაგვისახა, მაგრამ ჩემპიონატი მაღალ დონეზე დავიწყეთ და ნელ-ნელა ვირწმუნეთ, რომ რეალურად შეგვეძლო ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

**- ზამთრის პერიოდში გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები ხომ არ იგეგმება?**

- შემადგენლობა უცვლელი დარჩება. როგორც ვიცი, მხოლოდ ერთ ხელბურთელს იმატებენ, უკრაინის ნაკრების ხაზის მოთამაშეს. "ბაკაუ" ყველა რგოლში ისედაც ძლიერადაა დაკომპლექტებული. რამდენიმე დღეში რუმინეთში ვიქნები და მეორე ეტაპისთვის მზადებას შევუდგებით.

**- კლუბის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

- "ბაკაუსთან" ორწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. კიდევ ერთი წელიწადი დამრჩა და თუ შემომთავაზეს, ხელშეკრულებას კიდევ გავაგრძელებ. იქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და იმედია, დიდხანს დავრჩები. "ბაკაუ" ჩემი კარიერის საუკეთესო გუნდია. მოედანზეც ყველაფერი გამომდის და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც მაქვს.

**- საქართველოს ნაკრების თამაშით თუ დარჩი კმაყოფილი?**

- პოლონეთში ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და მასთან გამარჯვების შანსი არ გვქონია, აი ახალგაზრდულის ძლევა კი ნამდვილად შეგვეძლო. რომ არა ტენდენციური მსაჯობა, ამას აუცილებლად შევძლებდით.

**- პოლონეთში სტუმრობამ ნაკრების წევრებს ბევრი რამ შემატა?**

- უდავოდ ასეა. ნაკრებს არაერთი ახალგაზრდა ხელბურთელი ჰყავს, რომლებიც ასეთი მაღალი დონის მატჩებით აუცილებელ გამოცდილებას მიიღებენ. ცუდია, რომ წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ვერ ვიასპარეზეთ. იმედია, შემდეგი ციკლი უჩვენოდ არ ჩაივლის და მთელი შრომა წყალში არ ჩაგვეყრება.

**- თბილისში მერიის თასის ფინალს თუ დაესწარი...**

- ძალიან მაგარი თამაში იყო, გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა "თბილისმა" სტუ-"შევარდენს" მაინც დამსახურებულად აჯობა. კარგია, რომ საქართველოში ორი ასეთი მაღალი დონის გუნდი გვყავს, იმედია, ეროვნული ჩემპიონატი მალე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქართველთა გამარჯვება ამერიკაში...

## მოლოდინი ჰოლანდიაში

ოკეანის გაღმა საჭადრაკო ტურნირების რაოდენობა არცთუ მცირეა. გასაგებ მიზეზთა გამო ქართველ მოჭადრაკეებს ხელი არ მიუწვდებათ იქაურ შეჯიბრებებზე, თუმცა ხანდახან ქართველთა სახელ-გვარებსაც შევხვდებით აქა-იქ. ამჯერად ორი მათგანის შესახებ უნდა მოგითხროთ, რომლებიც კალიფორნიის ქალაქ ბარკლიში ასპარეზობდნენ თანაც ისე კარგად, რომ პირველობა არავის დაანებეს. დიდოსტატი **გიორგი ყაჭეიშვილი** რამდენიმე თვეა, ამერიკაში ცხოვრობს და სათამაშო პრაქტიკასაც არ უჩივის, **ზვიად იზორია** კი მესამე წელიწადია იქ იმყოფება. იზორია საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრიცაა, რომელმაც ერთი თვის წინათ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადაზე კარგად ითამაშა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში... ქართველთა კვალიფიკაცია რომ მაღალია, ამჯერადაც გამოჩნდა და შვეიცარიული სისტემით [illegible] ტურად გამართულ საერთაშორისო ტურნირში 7,5 ქულით ერთპიროვნულად გაიმარჯვა ყაჭეიშვილმა; იზორია დიდად არ ჩამორჩა თანამემამულეს და 7 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მდევრებს ქართველები, ფაქტობრივად არ შეუწუხებია, რადგანაც საბოლოო განლაგებით მესამე ადგილზე გასულმა ამერიკელმა **ჯოშ ფრაიდელმა** მხოლოდ 6 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე დააგროვეს ამერიკელებმა – **ირინა კრუშმა** და **დანიელ რენშმა**, მაგრამ კოეფიციენტით კრუშს მეოთხე, ხოლო დანიელს მეხუთე ადგილი ერგო.

ქართული დესანტი ევროპაშიც გვყავს და ამაში საკვირველი არც არაფერია, მით უმეტეს, როცა საუბარი დიდოსტატ **მერაბ გაგუნაშვილზეა**, – მერაბი ცნობილია თავისი საჭადრაკო „მოგზაურობებით“ და მეტწილად ტიტების ქვეყანას წყალობს ხოლმე. ამჯერადაც ჰოლანდიაშია და ქალაქ გრონინგენის ტრადიციულ საახალწლო ტურნირში ასპარეზობს. დღეისათვის ოთხი ტურია გასული. ჩვენებური ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა, ჯერჯერობით, 3,5 ქულით რამდენიმე მეტოქესთან იყოფს მეორე ადგილს. ერთპიროვნული ლიდერი გერმანელი დიდოსტატი **არკადი როდშტეინია**.

მეხუთე ტურში გაგუნაშვილი შავი ფერით მეორე დაფაზე ხვდება ჰოლანდიელ დიდოსტატ **დიმიტრი რეიდერმანს**; პირველ დაფაზე კი ჰოლანდიელი **ერიკ ვან დენ დოელი** თეთრებით ეცდება **როდშტეინის** დამარცხებას.

**ზვიად შათირიშვილი**

ჰოკეი

# ჰოკეისტები არჩაიას აირჩევენ

ორი წლის წინ საქართველოს ჰოკეის ფედერაციაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ფედერაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა **გიორგი ჩარკვიანმა** პოსტი საკუთარი ნებით დატოვა და ჰოკეისტებმა რიგგარეშე ყრილობაზე ახალ პრეზიდენტად საქართველოში ბალახის ჰოკეის ფუძემდებლის **თემურ არჩაიას** ვაჟი **კოტე არჩაია** აირჩიეს. ამ ორი წლის განმავლობაში ჰოკეის ფედერაციამ საქმიანი ურთიერთობები დაამყარა ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებთან და მათგან მნიშვნელოვანი დახმარებაც მიიღო, ძირითადად ეს ეხება ინვენტარს. მრავალწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, ქართულმა გუნდებმა იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირებზე. შინაურ სარბიელზე კი საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გარდა, ხშირად ეწყობოდა სხვადასხვა ტურნირი ინდურ ჰოკეიში. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ჰოკეის ფედერაციას პრობლემებიც აქვს. პირველ რიგში, ჰოკეისტების მთავარი თავსატეხი სტანდარტული მოედნის არქონაა. თუმცა მომავალ წელს ქუთაისში ჰოკეის მოედნის მოწყობა იგეგმება და ამ პრობლემასაც მოევლება.

გარდა ამისა, ფედერაციას არეალის გაზრდაზეც მოუწევს ზრუნვა. ამჟამად ჩემპიონატში ქუთაისის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის გუნდები ასპარეზობენ. გაისად მათ ბათუმიც შეემატებათ და კარგი იქნება თუკი სხვა ქალაქებშიც მოახერხებენ ჰოკეის სექციების ჩამოყალიბებას. ამ საკითხებზე მომავალი წლიდან ახალარჩეულ ფედერაციას მოუწევს ზრუნვა. 26 დეკემბერს გრიგოლეთში, სასტუმრო „ანდამატში“ საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ყრილობა იმართება, სადაც დღის წესრიგში იქნება: 2006-2008 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში და ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის არჩევნები. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ჰოკეის ფედერაციას კვლავინდებურად კოტე არჩაია უხელმძღვანელებს, რადგანაც პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ მისი კანდიდატურაა წარდგენილი. დიდი ცვლილებები არც აღმასკომშია მოსალოდნელი და სავარაუდოდ ჰოკეის ფედერაცია კვლავ ახლანდელი კადრებით გააგრძელებს მუშაობას.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

გამოიწერეთ ელვა
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი“
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ჭიდაობა

# გოგშელიძე პირველობას არავის უთმობს


გიორგი გოგშელიძე

ჭიდაობის მსოფლიო რეიტინგი 2007 წლის შემოდგომიდან ყოველწლიურად ქვეყნდება, თუმცა ამ რეიტინგმა ვერაფრით მიიღო ოფიციალური სტატუსი (ფილა ოფიციალურ რეიტინგებს არ აქვეყნებს). სარეიტინგო სისტემა ჭიდაობის სამმა მოწინავე ფედერაციამ ერთობლივად შეიმუშავა: ირანმა, აშშ-მ და ბულგარეთმა. სხვათა შორის, სისტემა საკმაოდ სრულყოფილია და ობიექტურ სურათს გვთავაზობს, თუმცა ჯერჯერობით მას მხოლოდ არაოფიციალური სტატუსი აქვს. მაგალითისთვის, ოლიმპიადის მოგებისთვის მოჭიდავეს 25 ქულა ერიცხება (პირველი ხუთეული იღებს ქულებს, ასეთი სისტემით: I - 25, II - 20, III - 15, V - 13), მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებისთვის – 20, კონტინენტის პირველობა 10 ბალად ფასობს. ფილა-ს ეგიდით გამართული უმაღლესი კლასის ტურნირების მოგებისთვის 8 ბალი, მეორეხარისხოვანი საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებისთვის – 5. ათვლის წერტილი ბაქოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატია (2007 წ.).

21 დეკემბერს მორიგი რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც წლეულს გამართული ყველა ტურნირის შედეგი შევიდა. ბუნებრივია, კლასიფიკაციაში უამრავი ქართველი მოჭიდავეა, ჩვენ მხოლოდ მოწინავეებს დავასახელებთ თავიანთ წონებში. კლასიკური ჭიდაობით დავიწყოთ - 55 კგ წონით კატეგორიაში ჩვენებურთაგან საუკეთესო **ლაშა გოგიტაძეა** (7 ქულა), იგი რეიტინგში 22-ე საფეხურზეა. 60 კგ-ში 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე** 24 ქულით მეექვსეა. შემდეგ წონაში (66 კგ) საქმე ცუდად გვაქვს, **მუხრან მაჭუტაძეს** 5 ქულა აქვს, ის 28-ე პოზიციაზეა. 74 კგ-ში **მანუჩარ კვირკველია** (37 ქულა) პირველობისთვის იბრძვის, ქართველი 2 ქულითღა ჩამორჩება ბულგარელ ფალავან **იავორ იანაკიევს**. მოწინავეთა შორისაა **ბადრი ხასაია** (84 კგ), მას 26 ქულა აქვს (მე-6 ადგილი). 2007 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი **რამაზ ნოზაძე** (96 კგ) თავის წონით კატეგორიაში მსოფლიოში მე-5 ფალავანია (24). მძიმე წონაში (120 კგ) ჩვენი საუკეთესო მოჭიდავე **გურამ ფერსელიძეა**, რომელსაც 4 ქულა აქვს (29-ე ადგილი), ამავე წონაში 2 ქულა აქვს **რევაზ ჭელიძეს** (41-ე).

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის **ბესარიონ გუჩაშვილი** 12 ქულით მე-15 ადგილზეა 55 კგ. წონით კატეგორიაში. 60 კგ-ში ჩვენებში ყველას **მალხაზ ზარქუა** (7 ბალი) სჯობს, ის 25-ე ადგილზეა. შემდეგ წონაში (66 კგ) ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** მე-4 ადგილზეა 27 ქულით. 74 კგ-ში გვიჭირს – **გელა სალირაშვილს** მხოლოდ 3 ქულა აქვს (50-ე ადგილი), **გიორგი მარსაგიშვილს** – 2 (58-ე). 84 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** მესამე საფეხურზეა, მას 38 ქულა აქვს. სხვათა შორის, ამ წონაში ქართველთა მეორე მოჭიდავეც საკმაოდ მაღლაა რეიტინგში – **ნიკოლოზ გაგნიძეს** 12 ქულა აქვს და ის მე-16 ადგილზეა. და აი, ქართველთაგან ერთადერთ პირველადგილოსანსაც მივადექით: ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96 კგ) თავის წონაში პირველია 38 ქულით, ის ერთი ქულით უსწრებს რუს **შირვანი მურადოვს**. მძიმე წონაში, კლასიკოსებისა არ იყოს, აქაც გვიჭირს – **ლაზარე მარსაგიშვილი** (6 ქულა) 23-ე ადგილზეა, **გიორგი ნიკურაძე** (4) – 30-ეზე.

მოჭიდავეებს ქულები ემატებათ და არ აკლდებათ, ალბათ საინტერესოა, ვის აქვს ყველაზე მეტი ქულა დაგროვილი, ანუ ვინ არის ის ფალავანი, რომელსაც შინაური კონკურენტები ხელს ვერ უშლიან საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობაში, უცხოეთში კი სხვები - ტიტულების მოგებაში. ერთი სიტყვით, ვინ არის დღეისათვის საუკეთესო მოჭიდავე? რეიტინგის პასუხი საკმაოდ დამაჯერებელია – კუბელი „კლასიკოსი“ **მიხაილ ლოპესი**, ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ მძიმეწონოსანს 73 ქულა აქვს. ქართველთა შორის კი ორხელისუფლებიანობაა – მინდორაშვილსა და გოგშელიძეს 38-38 ქულა აქვთ, მათ მხოლოდ ქულით ჩამორჩება კვირკველია. ვფიქრობთ, საინტერესო რეიტინგია, რომელიც კარგად აჩენს, თუ რომელ წონით კატეგორიაში გვიჭირს და რომელში გვილხინს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული ჭიდაობა


დავით ხიზამბარელისა და თათარ ალლარას შერკინება


მარცხნივ - დავით ხიზამბარელი

# აღმოჩენილია ლეგენდარული ფალავნის დავით ხიზამბარელის ფოტოსურათი

გამოჩენილი ფოტოშემოქმედი და მკვლევარი **დიმიტრი ერმაკოვი** ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფოტოხელოვნების განვითარებას საქართველოში. იგი თბილისში 1846 წელს დაიბადა და აქვე გარდაიცვალა 1916 წელს, დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე. მას ჰქონდა საკუთარი ფოტოსტუდია თბილისში, სადაც იღებდა პორტრეტებს, მოგზაურობდა მთელ კავკასიაში და აღბეჭდავდა კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებას, ტიპაჟებს, ჩაცმულობას და სხვა. ეს ფოტოები შემდეგში იქცნენ კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, კულტურის ამსახველ უმდიდრეს და უნიკალურ მასალად. მას აქვს გადაღებული ჩვენი ლეგენდარული ფალავნების **კულა გლდანელის, ნესტორ ესებუას, სანდრო კანდელაკის** და სხვათა ფოტოსურათები. ეს ფოტოები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორი საჭიდაო ტანსაცმელი ეცვათ ჩვენს სახელოვან მოჭიდავეებს.

დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა ის გარემოება, რომ ნუთუ ამ სახელოვანმა ფოტოხელოვანმა თავის ობიექტივში არ დააფიქსირა თავისივე დროის უდიდესი ფალავნის **დავით ხიზამბარელის** პორტრეტი?

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ვარაუდი გამართლდა...

საქმე იმაშია, რომ ჯერჯერობით შემონახულია დავით ხიზამბარელის ერთი ნახატი, რომელიც შესრულებულია სახალხო მხატვრის **ალექსანდრე მრევლიშვილის** მიერ, ხოლო ჩემი აზრით, სურათი, რომელიც რატომღაც ნახატად არის მიჩნეული, მოთავსებულია **დავით ლაზარევის** (ლაზარაშვილის) მიერ 1905 წელს გამოცემულ წიგნში „ჭიდაობის სცენები ჩვენი ძველი ფალავნის ხიზამბარელის ცხოვრებიდან“.

დავით ხიზამბარელის ფოტოსურათის კვლავა-ძიებაში, სულ ახლახან მთელი გულმოდგინებით დავაკვირდი ფოტოსურათს ორი მოჭიდავის გამოსახულებით (იხ. ფოტო მარჯვნივ), რომლებსაც აცვიათ ქართული საჭიდაო ჩოხები. ეს ფოტოსურათი შევადარე ლაზარევის წიგნში გამოსახულ დავით ხიზამბარელისა და **თათარ ალლარას** შერკინებას (იხ. ფოტო მარცხნივ) და დავასკვენი, რომ ეს ორივე ფოტოსურათი გადაღებულია ერმაკოვის ფოტოსტუდიაში და რომ ორივეზე აღბეჭდილია ლეგენდარული ფალავნის ხიზამბარელის პორტრეტი.

ამიერიდან, ქართული ჭიდაობის ისტორიის შემსწავლელთ და მომავალ თაობებს ხელთ ექნებათ არა მარტო ხიზამბარელის ამსახველი ნახატი, არამედ ფოტოსურათიც, რაც, ვფიქრობ, ახალ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს.

**იური იმერლიშვილი,**
*საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, ჟურნალისტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა

კალათბურთი

## ფრენსისი მემფისში გადავიდა

"ჰიუსტონ როკეტსმა" ვეტერანი მცველი **სტივ ფრენსისი** "მემფის გრიზლისში" გაუშვა, სანაცვლოდ კი 2011 წლის დრაფტში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

ამ გაცვლამ "ჰიუსტონს" სახელფასო ბიუჯეტში გარკვეული თანხა გამოუნთავისუფლა, რაც, თავის მხრივ, კლუბს სხვა მოთამაშის დამატების საშუალებას მისცემს.

## დანლივიმ ვარჯიში დაიწყო

"ინდიანა პეისერსის" ფორვარდმა **მაიკ დანლივიმ**, რომელიც ამ სეზონში მუხლის ტრავმის გამო ერთხელაც არ გასულა მოედანზე, ინდივიდუალური პროგრამებით ვარჯიში დაიწყო.

*"ჩემი აზრით, სწორ გზას ვადგავარ. ჩემი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება, თუმცა ჯერ არ ვიცი, როდის შევძლებ რეგულარულ ჩემპიონატში დაბრუნებას"*, - განაცხადა დანლივიმ.

## მუტომბო: სპურსი ან სელტიქსი

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ 42 წლის ცენტრი **დიკემბე მუტომბო** დიდ კალათბურთში აპირებს დაბრუნებას. ვეტერანმა კალათბურთელმა გასული სეზონის შემდეგ დატოვა "ჰიუსტონ როკეტსი" და გარკვეული პერიოდი უკლუბოდ იყო დარჩენილი, მაგრამ ახლა აფრიკელ ცენტრს კარიერის გაგრძელების რეალური შანსი გაუჩნდა.

*"ახალი წლის შემდეგ კონტრაქტს "ბოსტონ სელტიქსთან" ან "სან ანტონიო სპურსთან" გავაფორმებ*, - ამბობს მუტომბო.

## აივერსონი თამაშგარეშია

"დეტროიტ პისტონზს" გარკვეული პერიოდი თავისი ერთ-ერთი ლიდერის ალენ **აივერსონის** გარეშე მოუწევს თამაში.

33 წლის კალათბურთელმა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ჩიკაგო ბულზთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა და გარკვეული პერიოდი გამოეთიშა სეზონს. ექიმები ზუსტად ვერ ასახელებენ აივერსონის მოედანზე დაბრუნების თარიღს.

## ჯექსონს უორიორზის დატოვება უნდა

ტელეკომპანია ESPN-ის ცნობით, "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ფორვარდმა **სტივენ ჯექსონმა**, შესაძლოა, სხვა კლუბში გააგრძელოს კარიერა. კალათბურთელი აცხადებს, რომ მზად არის ნებისმიერი სერიოზული წინადადების განსახილველად.

ჯექსონის თქმით, ის "მეომრების" რიგებში თავს არაკომფორტულად გრძნობს და ამის გამო სურს გუნდის დატოვება. შეგახსენებთ, რომ ფორვარდმა ამ სეზონის წინ გააგრძელა კონტრაქტი "უორიორზთან".

## პარგო ასოციაციაში ბრუნდება?

"ლოს ანჯელეს თაიმსის" ინფორმაციით, მოსკოვის "დინამოს" მცველი **ჯანერო პარგო**, შესაძლოა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნდეს და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შემადგენლობაში გააგრძელოს კარიერა. კალიფორნიულ კლუბში ერთი ვაკანტური ადგილია.

*"სიტუაციას უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი. ჯანეროს რუსულ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აქვს, მაგრამ მაინც არსებობს მისი ამერიკაში დაბრუნების შანსი, მით უმეტეს, რომ ბევრ გუნდს სურს მისი გადაბირება"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა მოსალოდნელ ტრანსფერს პარგოს აგენტმა **მარკ ბარტელშტეინმა**.

ველოსპორტი

## არმსტრონგი მეოთხე შვილს ელის

ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი** უახლოეს მომავალში მეოთხე შვილის მამა გახდება. ლენსის მეგობარმა **ანა ჰანსენმა** ივნისში უნდა იმშობიაროს, ზუსტად ტურ დე ფრანსის წინ, რომლის შვიდგზის ჩემპიონიც გახლავთ ამერიკელი ველომრბოლი.

არმსტრონგს, რომელიც სამწლიანი პაუზის შემდეგ, იანვარში განაახლებს პროფესიულ კარიერას, სამი შვილი ჰყავს ყოფილი ცოლისგან **კრისტინ რიჩარდსისგან**.

*"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მე და ანას შვილი გვეყოლება. მოუთმენლად ველი ამ მომენტს"*, - განაცხადა 37 წლის ველომრბოლმა.

ჩოგბურთი

## გონსალესი ჩილეს რჩეულია

პეკინის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **ფერნანდო გონსალესი** ჩილელმა ჟურნალისტებმა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

წარმოშობით სანტიაგოელმა ჩოგბურთელმა გასულ სეზონში ორი ტურნირი მოიგო - მან ვინია დელ მარსა (ჩილე) და მიუნხენში (გერმანია) მოიპოვა მთავარი პრიზი. გარდა ამისა, ფერნანდომ ჩილეს ნაკრების რიგებში დევისის თასზე ითამაშა და ამ გუნდს მსოფლიოს ლიგაში შეუნარჩუნა ადგილი.

პეკინის ოლიმპიადაზე გონსალესმა მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, ესპანელ **რაფაელ ნადალთან** წააგო ფინალური მატჩი.

ჩოგბურთი

# საჩემპიონო ვახშამი მელბურნში

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები საზეიმო ვახშამს გაუმართავენ ლეგენდარულ ავსტრალიელ ჩოგბურთელ **როდ ლეივერს**, რომელსაც 1962-69 წლებში "დიდი სლემის" ოთხი ტურნირი აქვს მოგებული. ეს ღონისძიება "დიდ სლემზე" ლეივერის ბოლო გამარჯვების 40 წლისთავს ეძღვნება.

ვახშამი 2009 წლის 31 იანვარს გაიმართება და მასზე მიწვეული იქნება ის ოთხი ჩოგბურთელი, რომლებიც ლეივერმა "დიდი სლემის" ტურნირების ფინალებში დაამარცხა. ესენი არიან: **ანდრეას ხიმენო, კენ როზუოლი, ჯონ ნიუკომბი** და **ტონი როუჩი**.

*"დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ხუთი ჩოგბურთელი დიდი ხანია ერთად არ შეკრებილა. თუ ჩვენ მათ მიერ მოგებულ ყველა პრიზს ერთად შევკრებთ, მას ვერც ერთი სპორტული მუზეუმის ყველაზე დიდი დარბაზიც კი ვერ დაიტევს"*, - აცხადებს ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორი **კრეიგ ტილი**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფორმულა 1

# ბერნი ექლსტოუნი: ფერარი პრივილეგირებული გუნდია



ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ბრიტანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მრავალი წლის განმავლობაში, იტალიური საჯინიბო "ფერარი" ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა და ფორმულა 1-დან შემოსული მოგების განაწილებისას, სხვა გუნდებთან შედარებით მეტ თანხას იღებდა.

*"ბოლო წლებში "ფერარი" ფედერაციისგან დამატებითი თანხებით იყო წახალისებული. ამის მიზეზად სახელდებოდა ის, რომ თურმე იტალიური გუნდი მთელი ფორმულა 1-ის საწყისი ყოფილა და მის გარეშე ჩვენი სარბოლო სერია შეწყვეტდა არსებობას*, - ამბობს ექლსტოუნი. - *საერთო ჯამში, "ფერარის" შემოსავალი 80 მილიონი დოლარით აღემატებოდა სხვა გუნდების შემოსავალს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ სეზონში კონსტრუქტორთა თასის მოგებით, "სკუდერიამ" 80 მილიონი დოლარით მეტი მიიღო, ვიდრე ანალოგიურ სიტუაციაში "მაკლარენი" მიიღებდა"*.

ფედერაციამ მსგავსი ტაქტიკით მოქმედება 2003 წლიდან დაიწყო. მაშინ, FIA-ის მუშაობით უკმაყოფილო გუნდები ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარებით იმუქრებოდნენ და "ფერარი" აღმოჩნდა ერთადერთი გუნდი, რომელმაც BMW-სთან, "რენოსთან", "მერსედესთან" და "ტოიოტასთან" მიღწეული საერთო შეთანხმება დაარღვია და ფედერაციის მხარე დაიჭირა. *"ამის მიზეზი სწორედ ის 80 მილიონი დოლარი გახდა. ჩვენ უბრალოდ ვიყიდეთ ამ გუნდის ლოიალობა"*, - განაცხადა ბერნიმ.

ექლსტოუნის ასეთი აღიარების მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ, "ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** ექლსტოუნი საერთო მოგებიდან დიდი წილის დაკანონებაში დაადანაშაულა. იტალიელი ბოსის თქმით, ბერნი გუნდებს "გროშებს" უტოვებს და მონტეძემოლომ მოუწოდა გუნდებს, ხმა აიმაღლონ "დიქტატორ" ექლსტოუნის წინააღმდეგ.

■ ■ ■

ამასობაში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ზედიზედ მეხუთედ აპირებს პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას. არადა, თავის დროზე, მოსლიმ განაცხადა, რომ 2009 წლის ოქტომბერში დატოვებდა თანამდებობას.

მაქს მოსლიმ წელს ფორმულა 1-ში რევოლუციური რეფორმები გაატარა - მსოფლიოს ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, ბრიტანელმა საჯინიბოებს ხარჯების შემცირებისკენ მოუწოდა და მიაღწია კიდეც საწადელს.

69 წლის პრეზიდენტი ამბობს, რომ პოსტიდან წასვლა-არწასვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი წლის ივნისში მიიღებს.

კრივი

# პაკიაო წლის მოკრივეა




მსოფლიო კრივის საბჭომ (WBC) 2008 წლის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო მოკრივედ ფილიპინელი **მენი პაკიაო** გამოაცხადა.

პაკმენმა (პაკიაოს მეტსახელი) თავისი პირველი საჩემპიონო ტიტული 50.8 - კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოიპოვა და მას შემდეგ, კიდევ სამ წონაში გახდა პლანეტის საუკეთესო მოკრივე.

წელს პაკიაომ სამი ბრძოლა გამართა. მარტში მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** დაამარცხა და 59 - კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ჩემპიონი გახდა. ამას მოჰყვა ივნისში, 61.2 კილოში **დავიდ დიასთან** ბრძოლა და აქაც ყველაფერი ფილიპინელის ტრიუმფით დასრულდა.

6 დეკემბერს კი ლას ვეგასში წლის ბრძოლა გაიმართა, სადაც მენიმ 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მასზე გაცილებით მძიმე **ოსკარ დე ლა ჰოიას** ტექნიკური ნოკაუტით მოუგო და კრივის ლეგენდებს შორის დაიკავა ადგილი.

WBC-მა კიდევ რამდენიმე ნომინაციაში გამოავლინა ლაურეატი. პრიზი - "ათწლეულის დაბრუნება" უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** მიიღო. ის სამწლიანი შესვენების შემდეგ ავიდა რინგზე და სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტული დაიბრუნა. უკრაინელმა ქულებით დაამარცხა ნიგერიელი **სამუელ პიტერი**.

წლის ბრძოლად მიჩნეული იქნა მექსიკელების - **ისრაელ ვასკესისა** და **რაფაელ მარკესის** დაპირისპირება. 2008 წლის მარტში გამართული ბრძოლის მეოთხე რაუნდში მარკესმა მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა, მაგრამ მე-12 რაუნდში თავად აღმოჩნდა ანალოგიურ მდგომარეობაში. მსაჯების გადაწყვეტილებით, გამარჯვება ვასკესს მიენიჭა, რომელმაც შეინარჩუნა ტიტული 55.3 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

■ ■ ■

ჯერჯერობით უცნობია 2009 წელს მენი პაკიაოს გეგმები. ფილიპინელის ყველაზე სავარაუდო მეტოქედ ბრიტანელი რიკი ჰატონი სახელდება, რომლის მენეჯერებიც აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ პაკმენთან ბრძოლის ორგანიზებისთვის. თავად ბრიტანელი მოკრივე აცხადებს, რომ **ფლოიდ მეივეზერ-უფროსის** ხელმძღვანელობით მენისთან ბრძოლისთვის მზადებას 1 თებერვალს დაიწყებს.

*"მხოლოდ საუკეთესოებთან მსურს ბრძოლა. გასულ წელს მეივეზერ-უმცროსს შევხვდი, ახლა კი პაკიაოსთან შეხვედრა მინდა. საუკეთესო მოკრივე უნდა დავამარცხო იმისთვის, რომ თავად გავხდე საუკეთესო"*, - განუცხადა ბრიტანულ პრესას ჰატონმა.

ოლიმპიზმი

# ჩინეთს ზამთრის თამაშების მოუნდა

პეკინში წარმატებით ჩატარებული ოლიმპიადის შემდეგ, ჩინეთი 2018 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებს. თეთრი ოლიმპიადის სავარაუდო მასპინძელი ქალაქი ჰარბინი იქნება.

ეს ქალაქი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და ის უკვე ემზადება დიდი სპორტული ფორუმის სამასპინძლოდ. კერძოდ, 2009 წელს ჰარბინში ზამთრის უნივერსიადა გაიმართება. სტუდენტური თამაშებისთვის არენების ასაგებად და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ქვეყნის მთავრობამ 450 მილიონი დოლარი დახარჯა და ჩინელები სწორედ ამ ობიექტებს გამოიყენებენ 2018 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ.

*"თუ 2009 წლის უნივერსიადის გამართვა დადებით რეზონანს გამოიწვევს მსოფლიოში, ეს 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე ჩვენს შანსებს ერთი ორად აამაღლებს"*, - აცხადებს **ლი ჩანსუ**, იმ პროვინციის გუბერნატორი, რომელშიც ქალაქი ჰარბინი მდებარეობს.

სხვათა შორის, ჰარბინი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზეც აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ მაშინ ეს ქალაქი ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კანადის ქალაქ ვანკუვერს მიანიჭა უპირატესობა.

*"თუ 2018 წელს არ გაგვიმართლებს, მთელს ძალისხმევას 2022 წლის ოლიმპიადაზე გადავიტანთ. ვოცნებობთ ჩინეთის ისტორიაში ზამთრის პირველი თამაშების გამართვაზე"*, - დაამატა ლი ჩანსუმ.

უკვე ცნობილია ჰარბინის ორი კონკურენტი. 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზია განაცხადეს მიუნხენმა და საფრანგეთის ერთ-ერთმა ქალაქმა (სავარაუდოდ, ნიცა ან გრენობლი). შესაძლოა, ეს სია კიდევ გაიზარდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ბრძოლა კორტს მიღმა

ჩოგბურთელები არა მხოლოდ კორტზე, არამედ მის მიღმაც ებრძვიან ერთმანეთს - მაგალითად გაუთავებელ პრესკონფერენციებზე. მათი სიტყვიერი პაექრობები არანაკლებ დაძაბული და სასეიროა, ვიდრე სპორტული დაპირისპირება.

ტელეკომპანია ESPN ATP-ისა და WTA-ის მოთამაშეების ყველაზე რეზონანსული გამონათქვამების გახსენებას გვთავაზობს.



## სიტყვიერი ომები

1. *„თავს კარგად ვგრძნობ, მას კი ახლა 16 ტრავმა აქვს... ზურგი და ბარძაყი... ციებ-ცხელება... ქათმის გრიპი... ციმბირის წყლული, ატიპური პნევმონია“*, - ჩამოთვალა **ენდი როდიკმა ნოვაკ ჯოკოვიჩის** ტრავმები ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალის წინ.

2. *„ენდი ამბობდა, რომ წინა მატჩში თურმე 16 ტრავმა მაწუხებდა. როგორც ხედავთ, არანაირი დაზიანება არ მქონია“*, - ვალში არ დარჩა ჯოკოვიჩი მას შემდეგ, რაც როდიკი მეოთხედფინალში დაამარცხა.

3. *„მე ის მძულს იმდენად, რომ, სულ ცოტა, ვიტყვი - მე ის მეზიზღება“*, - ასეთი სიტყვები წარმოთქვა რადიოშოუში **ჯასტინ გიმელსტობმა ანა კურნიკოვას** მისამართით, რითაც ბევრი პრობლემა შეიქმნა. ამერიკელმა აგრეთვე საკუთარი მოსაზრებები გაგვაცნო კურნიკოვასა და WTA-ის სხვა ჩოგბურთელების სექსუალურ ხასიათებზე, შემდეგ კი იძულებული გახდა წერილობით მოეხადა ბოდიში.

4. *„მე არ მომწონს მისი ჩაცმულობა... ეს დამატებით მოტივაციას მაძლევს მის დასამარცხებლად“*, - განაცხადა **ალა კუდრიავცევამ** უიმბლდონზე **მარია შარაპოვას** დამარცხების შემდეგ. პრესის მხრიდან გადამეტებულ ყურადღებას მიუჩვეველმა კუდრიავცევამ მოგვიანებით გაკვირვება გამოთქვა იმ „ხმაურის“ გამო, რაც მის სიტყვებს მოჰყვა.

5. *„ისინი უბრალოდ აკეთებენ იმას, რაც სურთ, და გვითითებენ ჩვენ, რა უნდა ვაკეთოთ. თანაც ისე იქცევიან, თითქოს ისინი იყვნენ ვარსკვლავები“*, - ასეთი სიტყვები წარმოთქვა მარია შარაპოვამ WTA-ის ოფიციალური პირების შესახებ. რუსმა ჩოგბურთელმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ მას რომის ტურნირის დროს ფოტოსესიაში მონაწილეობა აიძულეს.

6. *„ამ ადამიანთან არაფერი მაქვს სალაპარაკო“*, - **რაფაელ ნადალმა** უკმაყოფილება გამოთქვა ATP-ის შეფ **ეტიენ დე ვილიერსის** მიმართ. ესპანელმა გააკრიტიკა გასულ სეზონში თიხნარის ტურნირების ძალიან გადატვირთული კალენდარი.

7. *„მეფე მოკვდა“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა ჯოკოვიჩის დედამ **დიანამ** ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მისი ვაჟის **როჯერ ფედერერზე** გამარჯვების შემდეგ.

8. *„მსოფლიოს რეიტინგში მეცამეტე ადგილი საუკეთესო არ არის ჩემს კარიერაში, მაგრამ ის მაინც მაღლა დგას თქვენს პირველ ადგილზე, რომელიც ტყუილზე და სიყალბეზეა დაფუძნებული“*, - თქვა **კარლოს მოიამ** ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **პედრო მუნიოსთან** სიტყვიერი ომის დროს. ეს ინციდენტი ერთ-ერთი ეპიზოდი იყო იმ ხანგრძლივი კონფლიქტისა, რომელიც მუნიოსსა და ესპანეთის ნაკრების მოთამაშეებს შორის წარმოიშვა. დავის საგანი გახლდათ დევისის თასზე ესპანეთისა და ამერიკის ნაკრებების მატჩის ჩატარების ადგილი.

8. *„ენდი როდიკი არ ჩამოვიდა როლან გაროსზე და ჩვენ ვიცით, რატომ მოხდა ასე. მე მხედველობაში მაქვს ის, რომ თიხნარი მისი საყვარელი საფარი არ არის. ასე რომ, მან მეტი თავისუფალი დრო გამონახა უიმბლდონისთვის მოსამზადებლად. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა“*, - განაცხადა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ექიმმა **ბერნარ მონტალანმა**, რომელიც აუღელვებლად ამტყუნებდა როდიკს როლან გაროსის შეგნებულად იგნორირებაში და ამტკიცებდა, რომ ამერიკელი ამისთვის ტრავმებს იმიზეზებდა. თავად როდიკის სიტყვებით, ის ძალიან დამწუხრებული იყო საფრანგეთის ღია პირველობის გამოტოვებით, რადგან თიხნარის სეზონის მსვლელობისას რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

9. *„ისევ გინდა დედაჩემზე ლაპარაკი?“*- უთხრა ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** რომის ტურნირის პირველი წრის მატჩის მსვლელობისას. მას შემდეგ, რაც მიურეიმ დაადანაშაულა დელ პოტრო იმაში, რომ მან შეგნებულად გაარტყმა ბურთი წინა გეიმში, არგენტინელმა საკმაოდ უხამსი სიტყვებით მოიხსენია ბრიტანელის დედა.

## საინტერესო შენიშვნები

1. *„სამწუხარო და დასანანია, რომ ჩვენ ჩამოვრჩებით სპორტის სახეობას, რომელშიც ოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ის უნდა აკეთო, რომ საჭე მარცხნივ ატრიალო“*, - განაცხადა ენდი როდიკმა ამერიკაში ნასკარის რბოლების მაღალი პოპულარობის შესახებ.

2. *„რა თქმა უნდა, ეს სამართლიანია. ჩვენ ხომ უნდა ველოდოთ, სანამ მამაკაცები თავიანთ ხუთსეტიან მატჩებს დაასრულებენ. ნამდვილად არ ვაპირებთ მათ ლოდინში ფულის გადახდას“*, - ასე ფიქრობს მარია შარაპოვა კაცებსა და ქალებს შორის საპრიზო თანხების გათანაბრების შესახებ.

3. *„მე შევქმენი მონსტრი“*, - თქვა როჯერ ფედერერმა იმის შესახებ, რომ მისგან ყველა ტურნირზე მხოლოდ გამარჯვებას ელიან.

4. *„იმ დროს, როცა გუნდისგან მილოცვებს ვიღებდი, ხელი საკმაოდ ღრმად გავიჭერი. დაჯილდოების ცერემონიისას სისხლი მდიოდა. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ამიტომაც ექიმი რამდენჯერმე გამოვიძახე და ერთი პირობა კორტის მიტოვებასაც ვფიქრობდი“*, - ნოვაკ ჯოკოვიჩმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა იუმორის გრძნობა. ამ ხუმრობით მან ხაზი გაუსვა მიდრეკილებას სამედიცინო პაუზებისა და ტურნირიდან მოხსნის შესახებ.

5. *„გავიფიქრე, რომ თეთრებმა თამაში არ იციან“*, - განაცხადა **ელენა იანკოვიჩმა სერენა უილიამსთან** მაიამის ტურნირის ფინალში, როცა ტრიბუნაზე თვალი მოჰკრა მსახიობ **ვუდი ჰარელსონს**. ჰარელსონის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფილმს ჰქვია - „თეთრებმა ხტუნვა არ იციან“.

6. *„მეორე შემთხვევითობა“*, - ასე უპასუხა ფრანგმა **ჟილ სიმონმა** კითხვას იმის შესახებ, თუ რა კომენტარს გაუკეთებდა სეზონში როჯერ ფედერერის მეორედ დამარცხებას. სიმონმა გაიხსენა ის, რომ შვეიცარიელზე მისი პირველი გამარჯვება ყველამ მოულოდნელობად მონათლა.

7. *„ბერლინში გამგზავრებამდე ჩვენ ცოტათი წავიჩხუბეთ, შემდეგ მან მითხრა, რომ თურმე ყველაფერს არასწორად ვაკეთებ... მაგრამ, შეხედე, ძმაო, მე ხომ სწორ გზას ვადგავარ“*, - განაცხადა დინარა საფინამ ბერლინის ტურნირის მოგების შემდეგ იმ დღეს, როცა მისი უფროსი ძმა **მარატ საფინი** ჰამბურგის ტურნირის კვალიფიკაციას თამაშობდა.

8. *„მისი სიმაღლე“* - **ივო კარლოვიჩმა** (208 სმ) ეს გარემოება დაასახელა **სემ კუერის** (198 სმ) მოწოდებების მიღებისას მთავარ პრობლემად. ერთი კვირით ადრე, კარლოვიჩი **ჯონ ისნერის** (205 სმ) წინააღმდეგ თამაშობდა და აღნიშნა: *„ახლა მე ვიცი, რას გრძნობენ დანარჩენები ჩემ წინააღმდეგ თამაშისას“*.

9. *„ეს არ არის ჩემი მთავარი მიზანი - გავხდე პირველი ლუქსემბურგში“*, - **ჟილ მიულერმა** მოკრძალებით შეაფასა ამერიკის ღია პირველობაზე თავისი მიღწევა: ის გახდა პირველი მოთამაშე ლუქსემბურგიდან, რომელმაც „დიდი სლემის“ ტურნირს კვირაზე მეტხანს შემორჩა. მიულერი ATP-ის რეიტინგში 95-ე ადგილზე იმყოფება, ხოლო შემდეგი ლუქსემბურგელი ჩოგბურთელი კლასიფიკაციაში 1395-ე პოზიციას იკავებს.

10. *„საკმაოდ დიდი მატრასი მაქვს“*, - როჯერ ფედერერი იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება მსოფლიოს ფინანსურ კრიზისთან შესახვედრად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იაპონია** | |
| გამბა ოსაკა-ნაგოია | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| ვირტუსი-ფერარა | 78:63 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მნ)-ხიმიკი | 5:2 |
| ცსკა-აკ ბარსი | 3:5 |
| **გერმანია** | |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 1:2 |

TV სპორტი

### 26 დეკემბერი. პარასკევი

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**07:40** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
**09:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**10:35** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**13:25** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
**15:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**16:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი (LIVE).
**18:55** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი (LIVE).
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი (LIVE).
**23:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
**01:20** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
**03:05** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი.
**04:55** ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**06:40** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**09:40** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**10:05** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**10:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-უდინეზე.
**11:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-ბორდო.
**13:40** ფეხბურთი. ევრო 2008. ხორვატია-გერმანია.
**15:25** წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
**15:55** ნიჩბოსნობა.
**16:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
**18:45** ფრენბურთი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი (LIVE).
**21:15** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი (LIVE).
**23:15** სპორტკლუბი.
**00:15** პროფესიული კრივი. საუკეთესო ბრძოლები.
**01:40** ფეხბურთი. ევრო 2008. ჩეხეთი-პორტუგალია.
**03:30** სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. I დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**05:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-დეტროიტი (LIVE).
**07:45** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** მულტისპორტი.
**12:00** ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.
**13:00** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**14:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. პრაჯელატო. იტალია.
**16:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჩფილცენი. ავსტრია.
**17:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**17:30** მულტისპორტი.
**18:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. პრაჯელატო. იტალია.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. საუკეთესო ფინალები 2001-2008.
**21:00** ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. 2000-2001. ფინალი. ლივერპული-ალავესი.
**22:00** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია.
**23:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ლიგა. უკრაინა.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:00** პოკერი. საფრანგეთი.
**04:00** მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** სნოუბორდი.
**15:00** ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
**15:30** ახალი ამბები.
**17:00** კარომი. მსოფლიოს სერია.
**18:00** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დინამო (რუსეთი)-დავოსი (შვეიცარია). შვეიცარია (LIVE).
**20:15** ახალი ამბები.
**20:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ბერლინი (გერმანია)-სიდნეი (ავსტრალია).
**22:45** ახალი ამბები.
**23:15** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. კანადის ნაკრები-კარლოვი ვარი (ჩეხეთი). შვეიცარია.
**01:30** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დინამო (რუსეთი)-დავოსი (შვეიცარია). შვეიცარია.
**02:30** მულტისპორტი.
**03:00** ახალი ამბები.

რაგბი



# ავსტრალია ბარბაროსებს დაუხვდება

ავსტრალიის ნაკრები 2009 წლის 6 ივნისს ამხანაგურ მატჩს გამართავს ვარსკვლავების ნაკრებთან, რომელსაც "ბარბაროსები" ეწოდება. შეხვედრას სიდნეის საფეხბურთო არენა უმასპინძლებს.

"ბარბაროსებთან" მატჩი პირველი იქნება ავსტრალიის ნაკრებისთვის საკუთარ მოედანზე ბოლო 60 წლის წლის განმავლობაში. როგორც წესი, ვარსკვლავების ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრები ევროპული ტურნეს დროს იმართება. შეგახსენებთ, რომ ამა წლის დეკემბერში, ავსტრალიამ ლეგენდარულ "უემბლიზე" 18:11 დაამარცხა ეს გუნდი.

"ინგლისში გამართული მატჩის მოგების შემდეგ გადავწყვიტეთ, პირველი შეხვედრა გაგვემართა ავსტრალიაში "ბარბაროსების" წინააღმდეგ. ამ პერიოდში, ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული ნაკრები სამხრეთ აფრიკაში იქნება ტურნეს გასამართად, მაგრამ ევროპაში საკმარისად არიან ზელანდიელი, აფრიკელი, არგენტინელი და ავსტრალიელი მორაგბეები, რომელთაგანაც კარგი გუნდი შეიკრიბება და ჩვენს ნაკრებს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს", - განაცხადა ავსტრალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ჯონ ო'ნილმა**.

ავსტრალია 22-ე ქვეყანა გახდება, ვინც "ბარბაროსების" წინააღმდეგ ითამაშებს. "ვოლაბებს" ამ გუნდის წინააღმდეგ ბოლო 6 შეხვედრა აქვთ მოგებული სულ კი 10 გამართულ შეხვედრაში მათ 7 გამარჯვებისთვის მიუღწევიათ.

# წლის ფოტოები როიტერისგან: I ნაწილი



ბერნარდ ჰოპკინსი (ცენტრში) ნოკდაუნში გზავნის პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ ჯო კალზაგეს. ბრძოლის რეფერი ჯო კორტესი გაოგნებულია. ნოკდაუნის მიუხედავად, კალზაგემ ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა.



ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში პეკინის ოლიმპიადაზე ქვიშას წმენდს ამერიკის ნაკრების წევრ მისტი მეი-ტრინორს.



NHL-ის დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის პირველი მატჩის წინ "დეტროტ რედ უინგზის" გულშემატკივარი ყინულზე რვაფეხას ისვრის. "დეტროიტის" ფანატების ეს ტრადიცია 50 წელიწადს ითვლის.



საკალათბურთო გუნდ "ჰარლემ გლობტროტერსის" მოთამაშე, მეტსახელად აეროპორტი ფარზე ეკიდება ბურთის ჩატენვის შემდეგ.



ეშმაკის კოსტიუმში გამოწყობილი ცნობილი გულშემატკივარი, სახელად დიდი ტურ დე ფრანსის მეხუთე ეტაპის დროს.



"ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ "ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. იტალიელი ლუკა ტონი თავზე ასხამს ლუდს მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს



ლეგენდარული ავტომრბოლი მიხაელ შუმახერი ბურთით ჟონგლიორობს უნგრეთის ვეტერანი ვარსკვლავების ნაკრებსა და ფორმულა 1-ის პილოტების გუნდს შორის საქველმოქმედო მატჩის დროს.

